პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8-81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებები, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

კვირა, 25 აგვისტო 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 195 (2541)

დღიური

- ნადირ-ხანმა კვლავ დაამარცხა ბაჩე-საქაოს ჯარები
- ხმები გერმანიის ფინანსთა მინისტრის ჰილფერდინგის გადადგომის შესახებ
- საფრანგეთის მუშურ-გლეხურმა ბანკმა განაახლა ოპერაციები
- ბელგრადის ტრამვაის მუშათა და შოფერების გაფიცვა
- ინგლისის ფეიქრებს 6 ნახ. პრ ოც. შეუმცირეს ხელფასი
- დემონსტრაციები საკოსა და ვანცეტის მოკვლის წლის თავზე შეერთ. შტატებში
- დირიჟაბლი „გრაფი ცეპელინი" ტოკიოდან ამერიკისაკენ გაფრინდა

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა სექტემბრისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

გავაძლიეროთ ქვეყნის თავდაცვა

(კავკასიის წითელდროშოვან არმიის მანევრებისათვის)

იწყება კავკასიის წითელდროშოვან არმიის დიდი მანევრები. ესაა ჩვენი შეიარაღებული ძალების სამხედრო გაწვრთნისა და ბრძოლის უნარის პრაქტიკული შემოწმება. ამავე დროს მანევრებმა უნდა გვიჩვენონ, თუ რამდენად არიან მომზადებული ქვეყნის თავდაცვისათვის მშრომელი მასები, მათი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სახელმწიფო აპარატი.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის ლოზუნგი დღეს ყველაზე აქტუალურია. ომის საფრთხე სულ უფრო ძლიერდება. კაპიტალისტური მსოფლიო, ცხადია, ვერ ურიგდება სოციალისტური მშენებლობის წარმატებას ჩვენში, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთ წლიანი გეგმის განხორციელებას, ვინაიდან ეს ძირს უთხრის კაპიტალისტურ რეჟიმს და აღფრთოვანებს ბურჟუაზიულ ქვეყნების მუშათა კლასს ბრძოლისათვის მონობის უღლის დასამსხვრევად. ამავე დროს იმპერიალისტები ცდილობენ საბჭოთა რესპუბლიკების ხარჯზე, მათი დამხობის და ამით მიღებულ ნადავლის ხელში ჩაგდებით, შეანელონ ბურჟუაზიულ წყობილების კრიზისი და ის წინააღმდეგობანი, რომელნიც მათ ღრღნიან. აქედან—ჩვენ ვხედავთ მათ გაძლიერებულ მზადებას პროლეტარიატის დიქტატურის სამშობლოზე თავდასხმისათვის.

თავხედური პროვოკაციონური გამოსვლები ჩინელ ბანდიტებისა, რომელთა ზურგს უკან მთელი მსოფლიოს იმპერიალისტური ხროვა სდგას, ამას ყველაზე უფრო მჭერმეტყველურად აშკარავებს.

ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლება, რომელიც გრანდიოზულ სააღმშენებლო მუშაობას ეწევა, იმთავიდანვე მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკას აწარმოებს. იგი ყოველ ზომას ღებულობს სხვა სახელმწიფოებთან ნორმალურ ურთიერთობის დასამყარებლად. ის გამოდის საყოველთაო განიარაღების პროგრამით, რომლის გატარება ერთად-ერთი უტყუარი საწინდარია სისხლისღვრის ასაცილებლად. მაგრამ ჩვენი სამშვიდობო ცდები აწყდებიან ბოროტ წინააღმდეგობას იმპერიალისტების მხრით, რომელნიც აძლიერებენ შეიარაღებას, კრავენ სამხედრო კავშირებს, კანიდან ძვრებიან მთლიანი ანტისაბჭოთა ფრონტის ორგანიზაციისათვის, გვიწყობენ ათასნაირ პროვოკაციას ჩვენი ჩასაბმელად ომში.

ამიტომ ჩვენ ფხიზლად და მზად უნდა ვიყოთ. ერთი მხრით სოციალისტური მშენებლობის გაშლა, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დაჩქარება, რაც ჩვენი თავდაცვის უნარის განმტკიცების საფუძველია, მეორე მხრით წითელი არმიის სამხედრო მომზადების დონეს აწევა და მშრომელთა აქტიური ჩაბმა ქვეყნის თავდაცვის საქმეში და მათი მჭიდროდ დაკავშირება პროლეტარიატის დიქტატურის შეიარაღებულ ძალებთან — ასეთია ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

კავკასიის წითელდროშოვან არმიის მანევრებმა ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრას უნდა შეუწყონ ხელი. წითელი არმიის რიგების უფრო გაკაჟება და მათი აყვანა სამხედრო ხელოვნების უფრო მაღალ საფეხურებზე, ომის საფრთხის შეგნების გამახვილება და თავდაცვის ლოზუნგის უფართოესი პოპულიარიზაცია მშრომელ მოსახლეობაში — აი რა უნდა მოგვცეს მანევრებმა.

კავკასიის წითელდროშოვან არმიის მანევრები საქართველოს ტერიტორიაზე ტარდება. გარდა ჩვენს ქვეყანაში მყოფ სამხედრო ნაწილებისა, მასში მონაწილეობას მიიღებენ მეზობელ რესპუბლიკებიდან — სომხეთიდან და აღერბეიჯანიდან ჩამოსული ჯარები. ეს განამტკიცებს მოძმე რესპუბლიკათა ეროვნულ სამხედრო ნაწილების ცოცხალ კავშირს და ამავე დროს წარმოადგენს ამიერ-კავკასიის ხალხთა ინტერნაციონალურ სოლიდარობის დემონსტრაციას, რაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკების პირობებში, რომელმაც ძირფესვიანად აღმოფხვრა თვითმპყრობელობისა და მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატელების დროს აქ გაბატონებული მტრობა და მის მაგივრად ხალხთა ძმური თანამშრომლობა დაამყარა.

წითელ არმიასთან ერთად მანევრებში ამა თუ იმ სახით მონაწილეობენ მუშათა ათასეულები, პროფკავშირები, ავიაქიმი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მათ უნდა დაგვანახვონ თავის ორგანიზაციულ-ტეხნიკური მომზადება თავდაცვისათვის და ჯეროვანი დისციპლინა.

წითელი არმია უშუალოდაა დაკავშირებული მშრომელ მოსახლეობასთან. და ეს არა მარტო იმით, რომ მისი შემადგენლობა მუშურ-გლეხურია და ის მშრომელთა ინტერესებს ემსახურება. ამასთან ერთად წითელი არმია თავის ყოველდღიურ მუშაობაში ზრუნავს ფართო მასების პოლიტიკურ და კულტურულ გათვითცნობიერებაზე. ახლანდელი მანევრები იქნება ახალი ნაბიჯი წითელი არმიის უფრო ცოცხლად და მტკიცედ დაკავშირებისათვის მშრომელ მოსახლეობასთან.

ამგვარად, მანევრებს უაღრესი მნიშვნელობა აქვთ. საჭიროა მათი წარმატებით ჩატარებას ყოველ მხრივ შეუწყოთ ხელი. ამ მხრივ კერძოდ დიდი მოვალეობა აწევთ იმ რაიონების ხელისუფლების ორგანოებს და პარტიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, სადაც მანევრები მოხდება. მათ, სათანადო ორგანიზაციულ მუშაობასთან ერთად, ფართედ უნდა განუმარტონ გლეხობას მანევრების მიზანი და დანიშნულება და ყოველნაირად შეეცადონ მის დაკავშირებას წითელ არმიის ნაწილებთან.

მანევრები ჩვენი თავდაცვისათვის მზად-ყოფნის გამოცდაა. ეჭვი არ არის, რომ ამ გამოცდას ჩვენ ღირსეულად დავიჭერთ მასების შეგნებული და აქტიური დახმარებით.

ჰააგის კონფერენციის სრული კრახი

დიპლომატები „მოხერხებულ" საბაბს ეძებენ მოლაპარაკების შესაწყვეტად

გერმანიის წრეები იმედგაცრუებული არიან.—ბერლინში შესაძლებლად სთვლიან მთავრობის გადადგომას

პეკინის დიპლომატიური კორპუსი ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში ჩარევის წინააღმდეგ

ჰააგის კონფერენცია ჩაშლის წინ

ორი საკითხი, რომლებისკენაც მიპყრობილია კონფერენციის ყურადღება

ჰააგა, 23 აგვისტო. ჰააგის კონფერენციის მონაწილეების ყურადღებას უმთავრესად ორი საკითხი იპყრობს: პირველი—როგორ უნდა იქნას უზრუნველყოფილი იუნგის გეგმის შესახებ მოლაპარაკების გაგრძელება კონფერენციის აუცილებელი ჩაშლის შემდეგ და მეორე—როგორ უნდა დააღწიონ თავი პასუხისმგებლობას კონფერენციის ჩაშლისათვის. პირველი საკითხის შესახებ ფიქრობენ გამოაცხადონ, რომ კონფერენცია „გადაიდო" ან „გადატანილია სხვა ადგილას". ამით იმედი აქვთ, რომ თავიდან აიცილებენ კონფერენციის ჩაშლის ოფიციალურად აღიარებას. ინგლისის დელეგაციის წრეებში კი ამბობენ, რომ ინგლისი მხოლოდ იმ შემთხვევაში დასთანხმდება კონფერენციის გაგრძელებას, თუ ჰააგაშივე მიღებული იქნება მისი მთავარი მოთხოვნილებები. მეორე საკითხთან დაკავშირებით, ინგლისის და საფრანგეთის დელეგაციები ერთმანეთს აბრალებენ კონფერენციის ჩაშლას. გერმანიის დელეგაციის წრეები სასოწარკვეთილებამ მოიცვა, რადგან დელეგაციამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია. (ადს).

ჰავასის ცნობა

პარიზი, 25 აგვისტო. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„საფრანგეთის, ბელგიის, იტალიისა და იაპონიის წარმომადგენლებმა ჰააგის კონფერენციის ფინანსიურ კომისიაში აღიარეს, რომ კონფერენციის შედეგებს უფრო სერიოზული მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე იმ მცირე დამატებით მსხვერპლს, რომელიც უნდა გაიღოს ხსენებულმა ოთხმა სახელმწიფომ, რათა იუნგის გეგმის ფარგლებში დააკმაყოფილოს ინგლისის მოთხოვნები და ამით მიაღწიოს იმას, რომ სნოუდენი ამ გეგმის განხორციელებას დაეთანხმოს. ამავე დროს კრედიტორ სახელმწიფოთა წარმომადგენლები მოითხოვდნენ მოლაპარაკებას გერმანიის დელეგაციასთან იმის შესახებ, რომ გერმანიამ, სხვა სახელმწიფოების მსგავსად, ინგლისის სასარგებლოდ უარი სთქვას იმ 300 მილ. მარკაზე, რომელიც მას უნდა დარჩენოდა იუნგის გეგმის მოქმედების პირველი ექვსი თვის განმავლობაში და რომელიც შეადგენს განსხვავებას იუნგის გეგმით და დაუესის გეგმით შესატან გადასახადებს შორის. (ადს).

ბრიანი შტრეზემანის წინადადების წინააღმდეგ

პარიზი, 23 აგვისტო. ჰავასის სააგენტო ჰააგიდან იუწყება:

„შტრეზემანთან მოლაპარაკების დროს ბრიანმა ნათლად დაუმტკიცა მას, რომ იურიდიულად და ფინანსიურად შეუძლებელია ეგრედ წოდებული გარდამავალი პერიოდი, როდესაც ადგილი არ ექნება არც იუნგისა და არც დაუესის გეგმის მოქმედებას. კრედიტორ-სახელმწიფოების დელეგატები ცდილობენ გამონახონ საშუალება ინგლისის პოზიციასთან თავიანთი თვალსაზრისის შემდგომ დასაახლოებლად, მაგრამ საფრანგეთმა და ბელგიამ უკვე დასთმეს, ყველაფერი, რაც შეიძლებოდა, და დამატებითი მსხვერპლი უნდა მოითხოვოს მხოლოდ იაპონიას, გერმანიასა და იტალიას".

გერმანიის დელეგაციას ახალი „კომპენსაციების" იმედი აქვს

ჰააგა, 23 აგვისტო. გერმანიის დელეგაცია მზადაა გაიღოს ახალი ფინანსიური მსხვერპლი. ამ გზით მას პოლიტიკურ სფეროში ახალი შესაფერი „კომპენსაციების" მიღების იმედი აქვს. (ადს).

ახალი წინადადება.—ინგლისი კვლავ უარზეა

ჰააგა, 23 აგვისტო. ოთხი სახელმწიფოს (საფრანგეთი, ბელგია, იტალია და იაპონია) წარმომადგენლებმა ინგლისის დელეგაციას გადასცეს ახალი წინადადება, რომელიც, გერმანიის დელეგაციის თანდასწრებით, შემუშავებულ იქნა თათბირზე.

წინადადება ყველა ძირითად საკითხში ითვალისწინებს ახალი მსხვერპლის გაღებას გერმანიის მხრით, კერძოდ კი სარეპარაციო გადასახადის ეგრედწოდებული უპირობო ნაწილის საგრძნობლად გადიდებას. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, გერმანიის წარმომადგენლებმა თანხმობა განაცხადეს გაიღონ ახალი მსხვერპლი, თუ რეინის ოლქის უკანასკნელი ზონის ოკუპაცია შესწყდება არა უგვიანეს 1930 წლის აპრილისა. საფრანგეთის დელეგაციამ გადაჭრით გაილაშქრა ოკუპაციის შეწყვეტის ასეთი ვადის დაწესების წინააღმდეგ.

გერმანიის დელეგაციის წრეებში შიშს იწვევს ფრანგების წინადადება, რომლითაც სადაო ფინანსიურ საკითხებში გერმანია და ინგლისი უშუალოდ უნდა მორიგდნენ. თუ ასეთი მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდება, მაშინ გერმანიას დაეკისრება პასუხისმგებლობა ჰააგის კონფერენციის ჩაშლისათვის.

ჰააგა, 23 აგვისტო. სნოუდენმა უარჰყო ოთხი სახელმწიფოს ახალი წინადადება და განაცხადა, რომ ეს წინადადება არ არის საკმაო. მიუხედავად ამისა, მოლაპარაკება გრძელდება, და ყველა ცდილობს გააჭიანუროს კონფერენცია რამდენიმე დღით კიდევ, როცა შესაძლებელი გახდება მისი დახურვა იმ საბაბით, რომ მისი მონაწილენი გაემგზავრებიან ჟენევაში ერთა ლიგის სხდომაზე.

პარიზი, 23 აგვისტო. როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის, ბელგიის და იტალიის დელეგაციები ჰააგაში შეთანხმდნენ მიიღონ ინგლისის თვალსაზრისი ეკონომიური საკითხების შესახებ, მაგრამ იმ პირობით, რომ ინგლისი და გერმანია უშუალოდ შეთანხმდნენ სადაო საკითხებში. (ადს).

დამნაშავეებს დაეძებენ

ბერლინი, 23 აგვისტო. დაიწყო იმათი მოძებნის კამპანია, ვინც დამნაშავეა იმ მიზნების არ განხორციელებაში, რომლებსაც გერმანია ჰააგაში ისახავდა. „დოიჩე ალგემეინე ცაიტუნგ"-ის ცნობით, ავტორიტეტულ წრეებში ფიქრობენ, რომ ახლო მომავალში შესაძლებელია მთავრობის კრიზისი. ხმები დადის, რომ ფინანსთა მინისტრ ჰილფერდინგს განზრახული აქვს გადადგეს (ადს).

„მომჭირნეობა" უმუშევართა ხარჯზე

უმუშევართა დაზღვევის რეფორმის კანონპროექტი

ბერლინი, 23 აგვისტო. რეიხსტაგის სოციალური პოლიტიკის კომისიამ დაიწყო განხილვა მთავრობის იმ კანონპროექტისა, რომელიც შეეხება უმუშევრობის დაზღვევის რეფორმას.

შრომის მინისტრმა სოციალ-დემოკრატმა ვისელმა განაცხადა: უმუშევრობისაგან დაზღვევის ხარჯების შემცირების კანონპროექტის შემდგომი გაფართოვება ესაჭიროება, ვინაიდან მთავრობის მიერ დასახელებულ ღონისძიებათა მიუხედავად, ჯერ კიდევ 47 მილიონი მარკის დეფიციტი რჩება. სახალხო პარტიისა და ნაციონალისტების წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს მთავრობის კანონპროექტს. გერმანიის პროფკავშირების გაერთიანების წარმომადგენელი მხოლოდ იმას დასჯერდა, რომ უმნიშვნელო კრიტიკული შენიშვნები გაუკეთა კანონპროექტს და განაცხადა, რომ პრინციპიალურად იგი ემხრობა მას.

კანონპროექტის წინააღმდეგ წავიდა მხოლოდ კომპარტიის წარმომადგენელი რედელი. მან სთქვა: იმ დროს, როცა გერმანიაში სოციალური კანონმდებლობა მეტის-მეტად დაბლა დაეცა, საბჭოთა კავშირში სამეურნეო დარგის ყოველგვარ წარმატებას თან სდევს სოციალური კანონმდებლობის გაფართოვება.

მუშათა შორის მწვავე ხასიათს იღებს აღშფოთება კანონპროექტის გამო. გამოაქვთ მრავალი საპროტესტო რეზოლიუცია; ზოგიერთ მათგანში წამოყენებულია ბრძოლის ლოზუნგი საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების პროექტით. (ადს).

ჩინეთი და საბჭოთა კავშირი

ნანკინი განზრახ ამწვავებს ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტს

ტოკიო, 23 აგვისტო. „ხოცი"-ის და „კოკუმინ"-ის აზრით, შესაძლებელია ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტის შემდგომი გართულება. ეს ორგანოები აცხადებენ, რომ ნანკინი განზრახ ამწვავებს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კონფლიქტს, რათა ამ გზით დიპლომატიური მოლაპარაკების უფლება წაართვას მუკდენს. (ადს).

დიპლომატიური კორპუსი პეიპინში წინააღმდეგია კონფლიქტში ჩარევის.

ტოკიო, 23 აგვისტო. დეპპო ცუსინის სააგენტოს ცნობით, დიპლომატიურმა კორპუსმა პეიპინში დაადგინა—არ ჩაერიოს ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტში, რა წინადადებაც არ უნდა მიიღოს მან ამ საგანზე ნანკინის მთავრობისაგან. (ადს).

სამხედრო წესები მანჯურიის სადგურის რაიონში

ტოკიო, 24 აგვისტო. როგორც სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება, მანჯურიის სადგურის მოსაზღვრე რაიონში მოსახლეობას საღამოს 10 საათის შემდეგ ქუჩაში გამოსვლა აეკრძალა. ამ დროს მოსახლეობას ზარების რეკით ატყობინებენ. მოსახლეობის ცხრა მეათედი ქალაქიდან წავიდა. (ადს).

თათბირი მუკდენში

ტოკიო, 23 აგვისტო. ცაი გაემგზავრა გირინში იმ მიზნით, რომ ჯან ძო-სიანს წარუდგინოს ინფორმაცია მუკდენის სამხედრო თათბირის შესახებ. სააგენტოს წარმომადგენელს ცაიმ განუცხადა:

„მუკდენში უმთავრესად განიხილეს საკითხები იმის შესახებ, თუ რა არ უნდა გააკეთონ. ხმები იმის შესახებ, ვითომ თათბირმა უნდა შეიმუშაოს ენერგიული ზომები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, არაფერზე არ არის დამყარებული. სავსებით შესაძლებელია ოფიციალური მოლაპარაკება ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის". (ადს).

ნივთიერი დახმარება საბჭოთა მოქალაქეებს მანჯურიაში

მოსკოვი, 24 აგვისტო. საკავშირო მთავრობამ გადასდო 100.000 იენი ნივთიერი დახმარების აღმოსაჩენად მანჯურიაში დარჩენილ საბჭოთა მოქალაქეებისათვის, რომლებსაც სდევნიან და ავიწროვებენ ჩინეთის ხელისუფალნი. ფული იგზავნება გერმანიის ხარბინელი გენერალური კონსულის შტუბეს განკარგულებაში. (ადს).

მედგრად ვიბრძოლებთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე

ჩიტა, 24 აგვისტო. აქ მოვიდა შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებული არმიის სარდალი ამხ. ბლიუხერი, რომელსაც სადგურზე საპატიო ყარაული და მუშათა დელეგაციები დახვდნენ. სახელდახელოდ გამართულ მიტინგზე მშრომელებმა და წითელარმიელებმა დაუდასტურეს სარდალს, რომ არმია და ზურგი სავსებით მზად არიან საბრძოლველად. „საბჭოთა ქვეყნისათვის მედგრად ვიბრძოლებთ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდეო", — განაცხადეს მათ. (ადს).

ჩინელ იმპერიალისტთა პროვოკაციის პასუხად

მოსკოვი, 24 აგვისტო. საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-მა მიიღო შემდეგი დეპეშა სტანიცა ტიფლისკაიადან (ჩრდილოეთი კავკასია): „იმპერიალიზმის მიერ მოსყიდულ ჩინელ მილიტარისტთა ვერაგულ თავდასხმას გერმანელებით დასახლებულმა ბანოვის რაიონმა უპასუხა იმით, რომ პურის დამზადების აგვისტოს გეგმა 21 აგვისტოსთვის 147 პროცენტით შესრულდა" (ადს).

საფრანგეთის მუშურ-გლეხური ბანკი ანახლებს თავის ოპერაციებს

ბრალდებების სრული უსაფუძვლობა

პარიზი, 23 აგვისტო. გამომძიებელმა ოდიბერმა, რომელიც აწარმოებდა გამოძიებას მუშურ-გლეხური ბანკის საქმეზე, დანიშნა სამი ექსპერტი ბუღალტერი ბანკის ანგარიშების შესასწავლად. ანგარიშების ქაღალდები კონფისკაციაქმნილი იყო განმეორებული ჩხრეკის დროს. ამავე დროს გაიცა განკარგულება ბანკის სადგომებიდან ბეჭდების მოხსნის შესახებ. ბანკი უახლოეს დღეებში განაახლებს ნორმალურ ოპერაციებს მთავრობის მიერ დანიშნული დროებითი ადმინისტრატორის ვალენტენის მეთვალყურეობით. ბანკის დაცვის კომიტეტი უკვე აერთიანებს ინდივიდუალურ და კოლექტიურ შეანაბარეთა ჯგუფს, რომლის განკარგულებაში 9 მილიონი ფრანკი კაპიტალია. ქალაქში გაკრულ განცხადებებში კომიტეტი იუწყება, რომ მის მიერ გაერთიანებული შეანაბარენი სტოვებენ ბანკში შეტანილ ანაბარებს და შეიტანენ ახალ ანაბარებს, ბანკის აქტივი აღწევს 32 მილიონ ფრანკს, ხოლო მისი პასივი 27 მილიონი. კომიტეტი ააშკარავებს მთავრობის გაზეთების მიერ ბანკის წინააღმდეგ გამართული კამპანიის პოლიტიკურ ხასიათს და მოითხოვს ბანკის ნორმალური საქმიანობის განახლებას.

„პოპიულერ"-ი, რომელიც დღემდე სდუმდა, ეხლა მთელი რიგი შენიშვნებისა და კომპარტიის წინააღმდეგ გამოსვლების შემდეგ, მეტად უხალისოდ აღიარებს ბანკის წინააღმდეგ მიღებული ზომების სრულ უსაფუძვლობას, ხოლო მთავრობის მოქმედებას ახასიათებს, როგორც სრულიად თვითნებურს და მხოლოდ პოლიტიკური მიზნებისათვის დაწყებულს. (ადს)

ანაბარების რიცხვის ზრდა

პარიზი, 23 აგვისტო. მუშურ-გლეხური ბანკი თავის ოპერაციებს მომავალ კვირაში განაახლებს. ეს შეფერხება იმით აიხსნება, რომ სამოსამართლო ორგანოებს ჯერ კიდევ არ დაუბრუნებიათ ჩხრეკის დროს ჩამორთმეული საქმის წარმოებისა და ანგარიშების ქაღალდები.

„ლუმანიტე"-ს ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ ბანკი ფაქტიურად ჯერ კიდევ დახურულია, ამ უკანასკნელ დღეებში ბანკში შეტანილია ახალი ანაბარები 50.000 ფრანკის რაოდენობით. „ლუმანიტე"-ს სასარგებლოდ დაწყებული ფულის შეგროვების კამპანიით პირველ 4 დღეს მიღებულ იქნა 49 ათასი ფრანკი. (ადს).

მოითხოვენ დაპატიმრებულთა განთავისუფლებას

პრაღა, 23 აგვისტო. პრესის ცნობებით, ქარხნებში დაიწყო კამპანია წითელ დღესთან დაკავშირებით დაპატიმრებულთა განთავისუფლების სასარგებლოდ. პრაღის სამ დიდ საწარმოს მუშები მოითხოვენ კომუნისტ დეპუტატის გარუსის განთავისუფლებას და პროტესტს აცხადებენ პოლიციის ტერორის წინააღმდეგ. იმ ქარხანაში, სადაც გარუსი მუშაობდა, 3000 მუშამ ერთსულოვნად მოაწყო დემონსტრატიული გაფიცვა და აირჩია დელეგაცია, რომელმაც იუსტიციის მინისტრს გადასცა მოთხოვნა გარუსის განთავისუფლების შესახებ. ორი კვირის შიმშილობის შემდეგ გაანთავისუფლეს ჩერნოცკი, რომელიც 1 აგვისტოს დააპატიმრეს მარავიის ოსტრავაში. დანარჩენი ოთხი პატიმარი შიმშილობას განაგრძობს (ადს).

კომინტერნის აღმასკომის ხაზის დასაცავად

ბერლინი, 23 აგვისტო. გერმანიის კომპარტიის ბერლინ-ბრანდენბურგის, ქვემო-რეინისა და ვიურტემბურგის ოლქების კომიტეტებმა ერთხმად მოიწონეს კომინტერნის აღმასკომის მე-X პლენუმის გადაწყვეტილებანი.

კლასობრივი ბრძოლის ფრონტზე

ინგლისი

ფეიქრები უკმაყოფილონი არიან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამო

ლონდონი, 23 აგვისტო. საარბიტრაჟო კომისიამ, რომელიც არჩევდა ინგლისის ბამბის საქსოვ მრეწველობაში მომხდარ კონფლიქტს, გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს მუშების ყველა კატეგორიების ხელფასის შემცირებას 6,5 პროცენტით, მრეწველობის მიერ მოთხოვნილი 13 პროცენტის ნაცვლად. შემცირდება ძალაში შედის 14 სექტემბერს. გადაწყვეტილება კომისიამ ერთხმად მიიღო. გადაწყვეტილებას სავსებით შეუერთდნენ პროფკავშირთა წარმომადგენელნი. გადაწყვეტილების გამოცხადების წინ კომისიის თავმჯდომარემ სვიფტმა აცნობა მხარეების წარმომადგენელთ, რომ „კომისიამ დასაბუთებულად სცნო" მრეწველთა მოთხოვნა ხელფასის შემცირების შესახებ. ამიტომ კომისიამ წინადადება მისცა მხარეებს, შეთანხმებულიყვნენ შემცირების ფარგლების შესახებ. გაიმართა თათბირი მრეწველებსა და ფეიქართა პროფკავშირების წარმომადგენლებს შორის, მაგრამ თათბირი უშედეგოდ დამთავრდა, რის შემდეგაც თვით კომისიამ განსაზღვრა ხელფასის შემცირების პროცენტი.

ბამბის საქსოვი მრეწველობის მუშათა შორის სამედიატორო გადაწყვეტილებამ უკიდურესი უკმაყოფილება გამოიწვია. ფეიქართა კავშირის კომიტეტმა ნელსონში გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია:

„საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილება აშკარად არადამაკმაყოფილებელია. მუშები დარწმუნდნენ, რომ სამრეწველო კონფლიქტების გადაჭრის ახალმა საშუალებამ — არბიტრაჟმა — ვერ გაამართლა მასზე დამყარებული იმედები". (ადს)

ინდოეთი

ნავთის მრეწველობის კამპანიების მუშათა გაფიცვა კალკუტაში.

ლონდონი, 23 აგვისტო. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, კალკუტაში (ინდოეთი) გაფიცვა გამოაცხადა ნავთის სამრეწველო კამპანიების „ბირმა შელ"-ისა და „სტანდარტ ოილ"-ის 10.000 მუშამ. ჯუტის და ნავთის მრეწველობის გაფიცულ მუშათა რიცხვი კალკუტას მახლობლად 30.000 კაცს უდრის. (ადს).

პოლონეთი

იტალიური გაფიცვა დომბროვის ქვანახშირის სამრეწველო რაიონში

ვარშავა, 23 აგვისტო. დომბროვის ქვანახშირის სამრეწველო რაიონის ბევრ მაღაროში დაიწყო იტალიური გაფიცვა. მუშები მოითხოვენ რვა საათის სამუშაო დღის დაცვას. დაითხოვეს 5.000-მდე მუშა. (ადს).

სამხრეთ-სლავია

ბრძოლა ხელფასის მომატებისათვის

ვენა, 23 აგვისტო. ბელგრადში გაფიცვა გამოაცხადეს ტრამვაის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ტაქსომოტორების შოფერებმა. გაფიცვა გამოიწვია იმან, რომ ხელფასის მომატების მოთხოვნის საპასუხოდ, მუნიციპალიტეტმა, რომელსაც სატრანსპორტო საწარმოები ეკუთვნიან, შეამცირა სამუშაო ხელფასი და განსაკუთრებული ქირა უქმეებში მუშაობისათვის და გაახანგრძლივა სამუშაო დღე. მუშების დემონსტრაცია გაემართა მუშათა კამერისაკენ, სადაც იგი დახმარებას მოითხოვდა. სოციალ-დემოკრატებმა, რომელნიც კამერას მეთაურობენ, უარი განაცხადეს მათთან საქმის დაჭერაზე. დემონსტრანტები გაემართნენ მუნიციპალიტეტში. საქმეში ჩაერია პოლიცია, რომელმაც ბევრი დააპატიმრა, ბურგომისტრმა მოითხოვა მუშაობის დაუყოვნებლივ განახლება. მუშები დასთანხმდნენ გაფიცვის შეწყვეტაზე, მაგრამ პასიური წინააღმდეგობის ტაქტიკას მიმართავენ. ამავე დროს, როგორც გაზეთები იუწყებიან, ბელგრადის ყველა კომუნალურ საწარმოს მუშებს შორის სწარმოებს ენერგიული აგიტაცია საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების სასარგებლოდ. (ადს)

არგენტინა

ტრამვაის მუშათა გაფიცვა როზარიოში გრძელდება

ნიუ-იორკი, 23 აგვისტო. არგენტინიდან გადმოცემული ცნობით, ტრამვაის მუშათა გაფიცვა როზარიოში გრძელდება. გრძელდება აგრეთვე საწარმოთა 5.000 მუშის, მათ შორის ნავთსადგურის მუშების მიერ სოლიდარობის ნიშნად გამოცხადებული გაფიცვა. მუშაობა ნავთსადგურში ჩაკვდა. ტრამვაის კამპანია ცდილობს შტრეიკბრეხერების საშუალებით განაგრძოს ტრამვაის მოძრაობა. ხაზზე ტრამვაის ერთს ვაგონში, რომელზედაც შტრეიკბრეხერები მუშაობდნენ, აფეთქდა ყუმბარა. მოკვდა სამი კაცი. (ადს).

სხვადასხვა

— დირიჟაბლი „გრაფი ცეპელინი" ტოკიოდან ლოსანჟელოსისაკენ გაფრინდა. გზიდან მიღებული რადიოგრამების თანახმად, დირიჟაბლი მოულოდნელად მოექცა ქარიშხლიან ზონაში. დირიჟაბლი მიდის 80 მილის სისწრაფით საათში და მიემართება ალეუტის კუნძულებისაკენ. (ადს).

ბაჩე-საკაოს დამარცხება

ლონდონი, 23 აგვისტო. ინდოეთიდან მიღებული ცნობებით, ნადირ-ხანმა გარდეზის მახლობლად დაამარცხა ხაბიბულას არმია და ქალაქს ალყა შემოარტყა. მის არმიაში 16.000 კაცია.

„საბჭოთა ქვეყანა" განაგრძობს გადაფრენას

მოსკოვი, 24 აგვისტო. 23 აგვისტოს ჰაეროპლანმა „საბჭოთა ქვეყანამ" განაახლა ფრენა ნიუ-იორკისაკენ. დილის ოთხ საათზე ჰაეროპლანი აფრინდა მოსკოვის ცენტრალური ჰაეროდრომიდან და გეზი აიღო აღმოსავლეთისაკენ. ჰაეროპლანის ეკიპაჟი იგივეა: ჰაეროპლანის მეთაური ამხ. შესტაკოვი, საზღვაო მფრინავი — ამხ. ბოლოტოვი, ჰაერონავიგატორი — ამხ. სტერლინგოვი, ბორტ-მექანიკოსი — ამხ. ფუფაევი. ჰაეროპლანი პირველ შეჩერებას აპირებს კურგანში. (ადს)

ა.-კ. აბრეშუმის მრეწველობის რეორგანიზაცია

მოსკოვი, 24 აგვისტო. სრულიად საკავშირო საფეიქრო სინდიკატმა შეიმუშავა აბრეშუმის მრეწველობის რეორგანიზაციის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, ამიერ-კავკასიაში უნდა მოეწყოს ერთი ორგანიზაცია — „ამიერ-კავკასიის აბრეშუმი". ორგანიზაციას საკავშირო მნიშვნელობა ექნება. იგი საკავშირო საფეიქრო სინდიკატის გამგებლობაში იქნება, რადგან ამიერ-კავკასიის აბრეშუმის ქარხნების პროდუქციის 90 პროცენტი აბრეშუმის ტრესტში მიდის. სრ. საკავშირო საფეიქრო სინდიკატი წინადადებას იძლევა, რომ ამიერ-კავკასიის აბრეშუმის ტრესტის ძირითად აპარატად აღებულ იქნას „საქართველოს აბრეშუმის" აპარატი, რადგან ეს უკანასკნელი იმყოფება ფედერაციის დედა ქალაქში თბილისში, სადაც არის აგრეთვე სააბრეშუმო სადგური — აბრეშუმის საქმის ერთად-ერთი სამეცნიერო დაწესებულება ამიერ-კავკასიაში. (ადს).

აზერბეიჯანის პროფსაბჭოს ხელმძღვანელობის შეცვლა

ბაქო, 24 აგვისტო. აზერბეიჯანის პროფსაბჭოს პლენუმმა სამართლიანად დადროულად აღიარა საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება აზერბეიჯანის პროფსაბჭოს გამოკვლევის შესახებ.

პლენუმი მთლიანად უერთდება ამ დადგენილებას და აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის პროფსაბჭო არ უწევდა საკმაო ხელმძღვანელობას აზერბეიჯანის პროფსაბჭოს.

პლენუმის დადგენილებით, განთავისუფლებულ იქნენ აზერბეიჯანის პროფსაბჭოსა პრეზიდიუმის წევრობიდან ამხ. რაგიმოვი, ფროლოვი, გუტინი, კასიმოვი, პანახი, საფაროვი, აბდინოვი, გოდლევსკი და ადამიანი, ხოლო პრეზიდიუმის წევრის კანდიდატობიდან — ამხ. იტკინი და დულჩინი.

აზერბეიჯანის პროფსაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ზეინალოვი. 1920 წლამდე ამხ. ზეინალოვი 12 წელიწადი ბურღვის საქმეში მუშად იყო და პარტიაში ირიცხებოდა. ამის შემდეგ პარტიის დადგენილებით იგი დაწინაურებულ იქნას პასუხსაგებ სამუშაოზე ჯერ მაზრაში, ხოლო შემდეგ ბაქოში პროფხაზით. ბოლო დროს ამხ. ზეინალოვი ბინაგადის რაიკომის მდივნად იყო.

აზერბ. პროფსაბჭოს მდივნად არჩეულ იქნა ამხ. სუდიკი, საორგანიზაციო განყოფილების გამგედ — ამხ. მეშკოვი, რომელიც ბოლო დროს საფაბრიკო-საქარხნო რაიკომის მდივნად იყო, კულტურული განყოფილების გამგედ — ამხ. მინუხორიანი.

პლენუმმა აირჩია აზერბ. პროფსაბჭოს ახალი პრეზიდიუმი. (ადს).

ამხ. ბუხარინის შეცდომებისა და გადახრის შესახებ

უაღრესად სერიოზული ყურადღების ღირსია კომინტერნის აღმასკომისა და გერმანიის კომპარტიის ც. კ.-ის გამოქვეყნებული გადაწყვეტილებანი, რომლებშიაც ლაპარაკია ამხ. ბუხარინის ოპორტუნისტული შეცდომების შესახებ.

ამხ. ბუხარინი საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის აპრილის პლენუმამდე იყო „პრავდა"-ს რედაქტორი და კომინტერნის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი. საკმაოდ ფართოდ არის ცნობილი ის როლი, რომელსაც ამხ. ბუხარინი ასრულებდა ჩვენი პარტიისა და მთელი კომინტერნის ხელმძღვანელ მუშაობაში. მარტო ეს გარემოება გვავალებს გავაშუქოთ მთელი სიცხადით ის მძიმე ოპორტუნისტული შეცდომები, რომლებიც ჩაიდინა ამხ. ბუხარინმა უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში და ამ გზით ეს შეცდომები სრულიად ნათელი გავხადოთ, როგორც საკავშირო კომპარტიის, ისე მთელი კომინტერნის ფართო პარტიული მასებისათვის.

ჩვენი პარტიის მე-15 ყრილობის ხაზიდან საგრძნობი გადახრა ამხ. ბუხარინს დაეტყო საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კ.-ის ჯერ კიდევ შარშანდელი ივლისის პლენუმის წინა ხანებში. ეს გადახრა ეხებოდა პარტიის პოლიტიკის ისეთ მთავარ საკითხებს, როგორიცაა მუშათა კლასის დამოკიდებულება გლეხობასთან, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის საჭირო მუშაობის ტემპი და მიმართულება. ამ დროს ჩვენ უკვე ვხედავთ, სოფლის კულაკური ნაწილის ორგანიზაციულ საბოტაჟს, საშუალო გლეხობის ზოგიერთი ფენების გადახრას კულაკისაკენ. ჩვენმა პარტიამ გაითვალისწინა ერთგვარი დათმობანი საშუალო გლეხობის მიმართ (მარცვლეული კულტურების ფასების გადიდება), იგი საჭიროდ სცნობდა შეუჩერებლად განეგრძო იმ ღონისძიებათა განვითარება, რომლებიც შეეხებოდნენ სოფლის რეკონსტრუქციას მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე (კოლექტიური მეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი). ამ რეკონსტრუქციას პარტია საფუძვლად უდებდა გადამწყვეტ შეტევას კულაკის წინააღმდეგ და თავის გარშემო ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების შემოკრებას. ამხ. ბუხარინი მაშინ იხრებოდა იმ აზრისაკენ, რომ ხელი აგვეღო კულაკის წინააღმდეგ შეტევაზე, უკანა რიგზე დაგვეწია სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის საჭირო ღონისძიებათა გეგმა, შეგვესუსტებინა ვაჭრობის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება და წავსულიყავით კულაკის მიმართ სხვადასხვა პრინციპიალურ დათმობაზე სოფლად არსებულ კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების მიმართულებით.

პარტია გამოსავალს ეძებდა პურის სიძნელეებიდან სოფლის მეურნეობის კოოპერაციაში გაერთიანებისა და კოლექტივიზაციის გზით (საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცებით). ამხ. ბუხარინი კი იხრებოდა იქითკენ, რომ ეს გამოსავალი გამოენახა სოფლის კაპიტალისტური ზედაფენის გამაგრებისა და მისი მეურნეობის საქონლიანობის გაძლიერების გზით.

ამგვარად, ერთ წელიწადზე მეტია უკვე, რაც აღინიშნა ღრმა პრინციპიალური უთანხმოება ჩვენი პარტიის ხაზსა და ამხ. ბუხარინის ხაზს შორის. თუ მაშინ ამ უთანხმოებამ გამომჟღავნებული ხასიათი არ მიიღო, მხოლოდ იმიტომ, რომ ამხ. ბუხარინს იმ დროს ჯერ კიდევ საკმაო გაბედულება და თანმიმდევრობა არ შესწევდა იმ შეცდომების მედგრად დაცვისათვის, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ჩვენი პარტიის ხაზს.

კომინტერნის მე-6 კონგრესზედაც ადგილი ჰქონდა ბუხარინის სხვადასხვა შეცდარ თვალსაზრისს, რომელმაც ერთგვარი გამოხატულება ჰპოვა მის მოხსენებასა და საბოლოო სიტყვაში, კონგრესის დღის წესრიგის პირველი პუნქტის გარშემო: „საერთაშორისო მდგომარეობა და კომინტერნი". ამხ. ბუხარინმა განაცხადა, რომ ომის შემდგომი დროის კაპიტალიზმმა თავისი განვითარების მესამე პერიოდში შესდგა ფეხი. ამხ. ბუხარინი მზად იყო განეჭვრიტა იგი, როგორც კაპიტალიზმის ტეხნიკური რეკონსტრუქციისა და მისი შინაგანი ორგანიზაციულობის გაძლიერების პერიოდი და, ფაქტიურად, როგორც კაპიტალისტური სტაბილიზაციის განმტკიცების პერიოდი. კონგრესზე ეს უფრო გადაჭრით განაცხადეს სხვა დელეგატებმა (ებერტმა, ლევსტონმა, პეპერმა), რომელთაგან გამიჯვნა ამხ. ბუხარინმა საჭიროდ არა სცნო. კაპიტალისტურ სტაბილიზაციაში არსებულ წინააღმდეგობათა ანალიზის დროსაც ბუხარინის სიტყვით გამოდიოდა, რომ გადამჭრელი როლის ასრულებას იწყებენ კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არსებული საგარეო წინააღმდეგობანი და არა შინაგანი წინააღმდეგობანი კაპიტალსა და პროლეტარიატს შორის (ცალკე ქვეყნების შიგნით, აგრეთვე საერთაშორისო მასშტაბით). დასკვნა აქედან მხოლოდ ერთი შეიძლებოდა გამოგვეყვანა; რევოლიუციონურ სიტუაციას ჩვენ მხოლოდ ომი მოგვიტანს და არა კლასობრივი ბრძოლის გამწვავება კაპიტალისტური სისტემის შიგნით, რომლის დროსაც თავისთავად ცხადია, ომის საფრთხე გაიზრდება. ასეთი დასკვნა ადუნებდა კომუნისტური პარტიების რევოლიუციონურ აქტივობას და ერთგვარ საბაბს იძლეოდა, რომ სოციალ-დემოკრატიას დემაგოგიური აგიტაცია გაეწია იმის შესახებ, ვითომ კომინტერნმა იმედი დაჰკარგა მუშათა კლასის ფართო მასების მიმხრობისა და ხსნას ომში ეძებს.

კომინტერნის მე-6 კონგრესზე სრულიად აშკარად გამოირკვა, რომ ამხ. ბუხარინი არ სურდა ბრძოლა იმ ამხანაგებთან (მეტადრე გერმანიის კომპარტიასთან), რომლებსაც აშკარა შემარიგებელი დამოკიდებულება გამოიჩინეს მემარჯვენეებისადმი. მაგრამ ამხ. ბუხარინმა მე-6 კონგრესზედაც ვერ გამოიჩინა საკმაო გამბედაობა და თანმიმდევრობა, რომ ბოლომდე დაეცვა თავისი შეცდარი თვალსაზრისი და ტენდენციები. მე-6 კონგრესის რეზოლიუციებმა (მათ შორის, საერთაშორისო მდგომარეობისა და კომინტერნის ამოცანების შესახებ ამხ. ბუხარინის მიერ გაკეთებული მოხსენების გარშემოც მიღებულმა რეზოლიუციამ) კონგრესის პლენუმზე და კომისიებში, აგრეთვე ცალკე დელეგაციებში განხილვის შემდეგ მოგვცეს ნათელი, მკაფიო ბოლშევიკური პასუხი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ყველა მთავარ საკითხზე. მაგრამ, როდესაც საქმე ამ რეზოლიუციების განხორციელებაზე მიდგა, როდესაც კონგრესის დამთავრებისათანავე გერმანიის კომპარტიის მემარჯვენე და შემარიგებელმა ელემენტებმა ნამდვილი აჯანყება მოაწყვეს ცენტრალური კომიტეტისა და მე-6 კონგრესის ხაზის წინააღმდეგ, ჩვენ ვერ დავინახეთ ამხ. ბუხარინი ამ ხაზისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. ამხ. ბუხარინმა უმჯობესად სცნო დიპლომატიურად განზე გამდგარიყო და არც ეთქვა და არც დაეწერა ერთი სიტყვაც კი მე-6 კონგრესის ხაზის დასაცავად, რის მოლოდინიც ყველას უნდა ჰქონოდა, თუ კი მხედველობაში მივიღებთ ამხ. ბუხარინის როლს კომინტერნში, უფრო მეტიც ამხ. ბუხარინმა ერთი სიტყვითაც კი არ განაცხადა პროტესტი მისი სახელის სპეკულიაციის წინააღმდეგ, გერმანელ შემარიგებელთა განცხადების წინააღმდეგ მასთან სოლიდარობის შესახებ, იმ შემარიგებლებისა, რომლებმაც მემარჯვენეებთან ერთად ფაქტიური ბლოკი შეჰქმნეს გერმანიის კომპარტიის ც. კ.-ისა და, მაშასადამე, კომინტერნის წინააღმდეგაც.

ამის შემდეგ გერმანიაში შინაპარტიული ბრძოლის მონაწილეთა შორის არავის ექნებოდა ეჭვი, რომ ამხ. ბუხარინი მართლაც ეთანხმება შემარიგებლებს, რომლებიც იბრძოდნენ კომინტერნის ხაზის წინააღმდეგ.

სამაგიეროდ ამხ. ბუხარინმა დრო და შესაძლებლობა იპოვნა, რომ 1928 წლის შემოდგომაზე საჯაროდ გამოსულიყო საკავშირო კომპარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ თავისი სავალალო წერილით: „ეკონომისტის შენიშვნები". ამ წერილში ამხ. ბუხარინმა თავდასხმის მთავარ ობიექტად ამოირჩია ჩვენი ინდუსტრიალიზაციის ტემპი, რომელსაც ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. ამხ. ბუხარინის კრიტიკა ფორმალურად მიმართული იყო სახელმწიფო საგეგმო კომისიის სპეცების წინააღმდეგ, მაგრამ ფაქტიურად იგი ებრძოდა ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. მთელს წერილში მთავარ ზოლად გადიოდა ინდუსტრიალიზაციის ტემპის შეკვეცისა და „ვიწრო ადგილებზე" გეზის აღების ტენდენცია. ამ წერილში ამხ. ბუხარინის მეტად ორაზროვანი მსჯელობა სოფლის მეურნეობის დეგრადაციის შესახებ მკითხველებს შესაძლებლობას აძლევდა ეფიქრათ, რომ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის დეგრადაცია ხდება პარტიის შეცდარი პოლიტიკის გამო. რასაც, დიდი ხანია უკვე ამტკიცებენ ბურჟუაზიული პროფესორები. ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ამხ. ბუხარინმა ამჟამადაც ვერ გამოიჩინა საკმაო თანამიმდევრობა, რომ ბოლომდე დაეცვა „ეკონომისტის შენიშვნებში" გამოთქმული აზრები.

ერთი წელიწადიც კი არ გასულა ამ წერილის გამოქვეყნების დღიდან. იმ ტემპს, რომელსაც მაშინ ჩვენი მრეწველობისათვის ითვალისწინებდა სახელმწიფო საგეგმო კომისია და რომელსაც აკრიტიკებდა ამხ. ბუხარინი, ძალიან გაუსწრო ხუთწლიანმა გეგმამ, რომელიც მიიღეს ჩვენი პარტიის მე-16 კონფერენციამ და საბჭოების საკავშირო ყრილობამ. უკვე მიღწეულ 5 წლიან გეგმაში ამჟამად შეგვაქვს სხ.დასხვ. კონკრეტული შესწორება ტემპის შემდგომი გადიდების მიზნით. ცხოვრებამ ნამსხვრევებად აქცია „ეკონომისტის შენიშვნების" ავტორის უიმედო წინასწარმეტყველებანი, რომლებიც წარმოშვეს ურწმუნოებამ მუშათა კლასის ძალებისადმი, სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა გადაჭარბებულმა შეფასებამ; ცხოვრებამ ქვა ქვაზე აღარ დასტოვა და გააცამტვერა წერილის მთელი კაპიტულიანტური თვალსაზრისი. თუმცა პარტიამ თავიდანვე გადაჭრით და ერთსულოვნად უარყო ასეთი თვალსაზრისი. თუმცა ამხ. ბუხარინს 1928 წლის შემოდგომაზე გაბედულება აღარ ჰყოფნიდა ამ თვალსაზრისის დაცვისათვის და თუმცა საფიქრებელი იყო, რომ იგი დასძლევდა თავის მერყეობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამხ. ბუხარინმა მაინც არ შესწყვიტა ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ.

1929 წლის დამდეგს, ლენინის სიკვდილის დღეს, ამხ. ბუხარინმა „პრავდა"-ში მოათავსა წერილი, რომლითაც მიკიბულ-მოკიბულად განაახლა იერიში ც. კ.-ის წინააღმდეგ. წერილი გალაშქრებას წარმოადგენს ჩვენი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, რომელიც თითქოს არ შეეფერებოდეს უახლესი მეცნიერებისა და ტეხნიკის მოთხოვნილებებს. ეს შეუფერებლობა ამხ. ბუხარინს შეეძლო დაენახა მხოლოდ „არა სწორ პოლიტიკაში" ე. ი. იმაში, რომ პარტიას არ სურდა ინდუსტრიალიზაციის ტემპის შეკვეცა, წინააღმდეგ ამხ. ბუხარინის მეცნიერულ მოსაზრებათა, არ სურდა პოზიციების დათმობა კულაკისათვის და იმედის დამყარება სოფლის კაპიტალისტურ განვითარებაზე. „კულტურულმა" ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ კონდრატიევებისა და მათ მსგავსთა სახით უკვე დიდი ხანია ურჩია ჩვენს ქვეყანას და საბჭოთა ხელისუფლებას ეს გზა სიძნელეთა დასაძლევად.

კიდევ უფრო აშკარა და გულახდილი პოზიცია დაიჭირა ამხ. ბუხარინმა თავის სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა მოსკოვის პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების პლენუმზე და რომელსაც უწოდა „ლენინის პოლიტიკური ანდერძი". ამხ. ბუხარინმა თავისთავს ნება მისცა, რომ პარტიისათვის ლენინის ანდერძად მოეჩვენებინა საკუთარი ახლანდელი, უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკური ხაზი, რომელიც წარმოადგენს კაპიტულიანტურ დათმობას ქვეყნის კაპიტალისტური ელემენტების მიმართ. როდესაც ამის გამო ზოგიერთმა ამხანაგმა გაიხსენა ედუარდ ბერნშტეინი, რომელიც მარქსს რევიზიას უწევდა მარქსიზმის დროშით, ეს პოლიტიკური გადაჭარბება არ იყო. ამხ. ბუხარინმა დაიმსახურა ასეთი ანალოგია.

როგორ შეიძლებოდა სხვანაირად გამოვხმაურებოდით იმ ცდას, რომ ოპორტუნიზმი და კაპიტულიანტობა ლენინის დროშისათვის ამოეფარებინათ? ამხ; ბუხარინის მოხსენებით ისე გამოდიოდა, თითქოს ლენინი სხვას არაფერს გვასწავლიდა, გარდა „წიფრთხილის" გლეხობის მიმართ. თითქოს კულაკის შესახებ ხმაც არ ამოუღია თავის უკანასკნელ წერილებში. მაშ ამის შემდეგ პარტია ყოველ ნაბიჯზე რაღად ლაპარაკობს კულაკზე შეტევის შესახებ? და თითქმის კომუნიზმის მშენებლობას სოფლად (საბჭოთა მეურნეობანი და კოლექტიური მეურნეობანი) უდროოდ სთვლი და, ხოლო, ინდუსტრიალიზაციის განხორციელებას მხოლოდ სახელმწიფო აპარატის ეკონომიისა და გამარტივების ხარჯზე გვირჩევდა და არავითარ შემთხვევაში გლეხობის „ზედმეტი დაბეგვრის" გზით.

ამგვარად ბუხარინმა თანდათანობით ჩამოაყალიბა ოპორტუნისტული შეხედულებათა მთელი სისტემა და მთელი ტაქტიკური ხაზი, რომელიც ძირიანფესვიანად განსხვავდება პარტიული ხაზისაგან. საერთაშორისო საკითხებში — კაპიტალისტური სტაბილიზაციის განმტკიცების თეზისის ფაქტიური დაცვა და აქედან აუცილებელი დასკვნა — უარყოფა მე-6 კონგრესის მთელი გეზისა ახალ რევოლიუციონურ ამოძრავებაზე, აქედან მუშათა კლასსა და კაპიტალიზმს შორის არსებულ წინააღმდეგობათა ზრდის მიფუჩეჩება, აქედან კომინტერნის მემარჯვენე და შემარიგებელ მიმდინარეობათათვის მხარის დაჭერა (დროებით დიპლომატიური).

შინაურ საკითხებში — გეზის აღება ინდუსტრიალიზაციის შეკვეცაზე ვიწრო ადგილების მომიზეზებით, უარყოფა მე-15 ყრილობის ხაზისა — სოფლის მეურნეობის ფართო და ინტენსიური სოციალისტური გარდაქმნის პოლიტიკისა, იმედის დამყარება მთელი სოფლის განვითარებაზე (ინდივიდუალური მეურნეობის საფუძვლებზე) ე. ი. იმედის დამყარება სოფლად არსებული კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებაზე, კულაკთან მშვიდობიანი თანაარსებობისა და სოციალიზმთან კულაკის მშვიდობიანი შეზრდის თეორია თვითკრიტიკის საშუალებით სახელმწიფო აპარატში არსებულ ბიუროკრატიზმთან თანამიმდევრობითი და გადამწყვეტი ბრძოლის უარყოფა, რაც პრაქტიკულად იქნებოდა შემარიგებელი დამოკიდებულება კლასობრივი ხაზის დამახინჯებისადმი ამ აპარატის მუშაობაში, შემარიგებელი ტენდენციები ქალაქის ბურჟუაზიული სპეციალისტების იმ ნაწილისადმი, რომელსაც არ სურდა საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგება.

ყოველივე ეს ერთად აღებული წარმოადგენდა კაპიტულიაციას კაპიტალისტური ელემენტების წინაშე ჩვენი სოციალისტური მშენებლობის მთელ ფრონტზე. ამრიგად, ჩვენი პარტიის შიგნით ჩამოყალიბებულმა მემარჯვენე ოპოზიციამ ამხ. ბუხარინში იპოვა თავისი თეორეტიკოსი და ბელადი. მთელი ეს ოპოზიცია გადაიქცა ყველა იმ მემარჯვენე და შემარიგებელ ელემენტების მიმზიდველ ცენტრად, რომლებიც საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში დასცილდნენ ან სცილდებიან კომუნიზმის გზას.

აპრილის პლენუმისა და მე-16 პარტკონფერენციის შემდეგ, რომლებზედაც ფართოდ იქნა გაკრიტიკებული ამხ. ბუხარინისა და მისი თანამოაზრეების შეხედულებანი პარტიისა და კომინტერნის პოლიტიკის ყველა ძირითადი საკითხის შესახებ, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ჩვენი პარტიის მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენლები, თუ საჭიროდ არ აღიარებდნენ თავიანთ შეცდომებს, ხელს მაინც აიღებდნენ ბრძოლის გაგრძელებაზე პარტიის იმ ხაზის წინააღმდეგ, რომელიც ერთხელ კიდევ გაამართლა ბრწყინვალიად მთელმა ჩვენმა სოციალისტურმა მშენებლობამ კონფერენციის შემდეგ გავლილი უკანასკნელი თვეების განმავლობაში. მაგრამ ეს არ მოხდა.

ეს არ მოხდა, უპირველეს ყოვლისა, ამხ. ბუხარინის მხრით. პლენუმის გახსნის წინა დღით ამხ. ბუხარინმა დაბეჭდა წერილი სამეურნეო უთანასწორობის შესახებ, რომელშიც გაიმეორა, განავითარა და გააღრმავა თავისი შეცდომები, რომლებმაც ჯერ კიდევ მე-6 პლენუმზე იჩინეს თავი და [illegible] მაშინვე ფატალურად ეწეოდნენ მას მემარჯვენეებისა და შემარიგებლებისაკენ.

ახლა უფრო ღიად და აშკარად ლაპარაკობს ამხ. ბუხარინი კაპიტალისტური სისტემის შიგნით ორგანიზაციულობის ელემენტების ზრდის, წარმოებისა და ბაზრის ანარქიული ტენდენციების დაძლევას და შინაგან წინააღმდეგობათა შესუსტების შესახებ, ვიდრე ამას მე-6 კონგრესზე შვრებოდა. ამით ამხ. ბუხარინმა მონოპოლიური კაპიტალიზმის სისტემის მარქსისტულ-ლენინური შეფასებიდან სრულიად აშკარა ნაბიჯი გადადგა მარქსიზმის იმ სოციალ-დემოკრატიული ეპიგონების შეხედულებებისაკენ, რომლებიც ჰილფერდინგის სკოლას ეკუთვნიან. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ მე-10 პლენუმზე ეს ნაბიჯი ერთხმად და გადაჭრით იქნა დაგმობილი უკლებლივ ყველა სექციათა წარმომადგენლების მიერ. სწორედ ამის საპასუხოდ, მე-10 პლენუმმა, რომელმაც ამხ. ბუხარინი გაანთავისუფლა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრებისაგან, დაურთო თავის დადგენილებას პოლიტიკური რეზოლიუცია ამხ. ბუხარინის შეცდომების შესახებ, რაც გამოქვეყნებული იყო „პრავდა"-ში.

პარტია იცნობს ამხ. ბუხარინის დიდ დამსახურებას. იგი მრავალი წლის განმავლობაში იბრძოდა ჩვენს რიგებში ლენინის გვერდით. პარტია მეტად აფასებდა და აფასებს იმ უდიდეს მუშაობას, რომელსაც ეწეოდა ამხ. ბუხარინი უკანასკნელ წლებში, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობაში უკვე ლენინის გარდაცვალების შემდეგ და ტროცკიზმთან ბრძოლაში. მაგრამ პარტიას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ამხ. ბუხარინს უცქიროს, როგორც „ლენინის ანდერძის" უცოდველ დამცველს. პარტიას არ დავიწყებია ის დიდი შეცდომები, რომლებიც ამხ. ბუხარინს წარსულში აქვს ჩადენილი, არ დავიწყებია მისი მრავალი წლის ბრძოლა ლენინის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ამხ. ბუხარინი ჯერ კიდევ მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში აწარმოებდა და ქადაგებდა ერთის მხრით სახელმწიფოზე და პარტიის პროგრამაზე ნახევრად ანარქიულ შეხედულებებსა და მეორეს მხრით ტროცკის ტიპის აშკარა ცენტრისტულ ელემენტებთან და მათ ოპორტუნისტულ შეხედულებებს შემარიგებლობის შორის.

მთელი რიგი წლების განმავლობაში, ომის დროს და მის შემდეგ ამხ. ბუხარინი ეროვნულ საკითხში იცავდა ანტილენინურ ლიუქსენბურგიულ შეხედულებებს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმპერიალიზმის ეპოქაში. 1918 წელს ამხ. ბუხარინი აღმოჩნდა მემარცხენე კომუნისტების ფრაქციის სათავეში, რამაც ჩვენი პარტია კინაღამ გათიშვამდე მიიყვანა. ეს ფრაქცია თვითონ ყურებამდე წვრილბურჟუაზიულ ჭაობში იყო ჩაფლული და პარტიას (ლენინს) კი სწამებდა გადაგვარებას. 1919 წელს პარტიის მე-8 ყრილობაზე ამხ. ბუხარინი სათავეში ჩაუდგა პარტიის პროგრამის იმ პროექტის კრიტიკას, რომელიც ლენინის მიერ იყო შედგენილი. 1920 წელს მან დასწერა ბროშურა „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა", რომელმაც ლენინის მხრით გამოიწვია მწვავე წინააღმდეგობა (სხვათა შორის, აქ უკვე სჩანდა ამხ. ბუხარინის ახლანდელი იდეების ერთგვარი ჩანასახი „ორგანიზაციაქმნილ კაპიტალიზმის" შესახებ).

1921 წელს ამხ. ბუხარინი ტროცკისტულ ოპოზიციასთან ერთად იბრძოდა ლენინური ც. კ.-ის წინააღმდეგ და დაადგა ყოვლად დაუშვებელ დათმობის გზას მუშათა ოპოზიციის ნახევრად ანარქო-სინდიკალისტური იდეოლოგიის მიმართ. დასასრულ, იმავე 1921 წელს, კომინტერნის მესამე კონგრესის დროს, ამხ. ბუხარინი ებრძოდა ლენინს კომინტერნის ტაქტიკის ძირითადი საკითხების გარშემო.

მას შემდეგ, რაც ამხ. ლენინი მუშაობას ჩამოსცილდა, ამხ. ბუხარინი პარტიის მე-12 ყრილობაზე გამოვიდა იმ ქართველი უკლონისტების დამცველად, რომლებმაც შემდეგ ტროცკის მიემხრნენ და რომელთა დიდი უმრავლესობა ტროცკისტულ ოპოზიციასთან ერთად გაირიცხა პარტიიდან. 1925 წელს, როდესაც გაიმართა ბრძოლა ეგრედწოდებული ახალი ოპოზიციის წინააღმდეგ, ამხ. ბუხარინი, პარტიასთან ერთად გამოვიდა ამ ოპოზიციის წინააღმდეგ და დაუშვა მრავალი უხეში ოპორტუნისტული შეცდომა (ლოზუნგი „გამდიდრდით", განცხადება კულაკური კოოპერატიული ბუდეების შესახებ, რომლებიც თითქოს, საკონცესიო საწარმოებით ერთად შეიზრდებიან ჩვენს სოციალისტურ სისტემაში, მსჯელობა იმის შესაძლებლობის შესახებ, რომ ჩვენ „კუს ნაბიჯით" წავალთ სოციალიზმისაკენ), თუმცა ზოგიერთი მათგანი მაშინვე უარყო.

რაგინდ დიდიც არ უნდა იყოს ამხ. ბუხარინის დამსახურება წარსულში, მას ყველაზე ნაკლებ შეჰფერის პრეტენზია გამოვიდეს პარტიის წინაშე უცოდველი პაპის, ლენინის ნაანდერძევის ერთად ერთი ამხსნელის და მისი ალთქმის ერთად-ერთი შემნახველის როლში.

ის გარემოება, რომ საბჭოთა ხელისუფლების მე-12 წლის თავზე ამხ. ბუხარინი ჩვენი პარტიის მემარჯვენე ოპოზიციის ბელადი გახდა, ის გარემოება, რომ მისი შეცდომები უკვე გასცილდნენ ყველა წარსული შეცდომების ჩარჩოებს, გვიჩვენებს იმ საფრთხის სიდიდეს, რომელიც ემუქრება პარტიას მემარჯვენე ოპოზიციის მხრით და რომლის გამოაშკარავება და დაძლევის გარეშე წარმოუდგენელია ჩვენს ქვეყანაში წარმატებითი სოციალისტური მშენებლობა და პარტიის შემდგომი განმტკიცება.

წინა ოპოზიციების გამოცდილება საკმაო მჭევრმეტყველებით გვიამბობს იმას, თუ სით მივყავართ პარტიის წინააღმდეგ ბრძოლას. ეს გამოცდილება სერიოზულ გაფრთხილებას უნდა წარმოადგენდეს ამხ. ბუხარინისათვის.

მაგრამ როგორი პოზიციაც არ უნდა დაიჭიროს ამჟამად ამხ. ბუხარინმა — აღმოაჩნდება მას გამბედაობა უარყოს თავისი მძიმე ოპორტუნისტული შეცდომები, თუ შემდეგშიც განაგრძობს მათს განვითარებას და გაღრმავებას — ჩვენი პარტია გამოიჩენს საკმაო პროლეტარულ სიმტკიცეს და გამბედაობას იმისათვის, რომ განაგრძოს ბრძოლა პარტიის რიგების დამრღვეველი მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ და მიიყვანს ამ ბრძოლას სრულ გამარჯვებამდე.

„პრავდა", 24 აგვისტო.

ეპისკოპოსი-ჯაშუში

განაჩენი ეპისკოპოსს სამველიანის საქმის გამო

ერევანი, 24 აგვისტო. დამთავრდა ეპისკოპოსს სამველიანის გასამართლება. სამველიანი ერთ დროს ხარკოვში გრიგორიანთა ეკლესიის ბლაღოჩინად იყო და, როგორც წინასწარ გამოძიებამ დაამტკიცა, რევოლიუციის წინა ხანებში მსახურებდა ჟანდარმთა სამმართველოში, სადაც სთარგმნიდა პოლიტიკურ მოღვაწეთა და პოლიტიკური ორგანიზაციების საბუთებს. უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უკვე გაეპისკოპოსებულმა სამველიანმა პოლონეთის კონსულის მეშვეობით არა ერთხელ მიმართა წერილით ინგლისის მეფეს გეორგ მე-5-ს, საფრანგეთის პრეზიდენტს დუმერგს, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტს კულიჯს, მუსოლინის, კენტერბერიის მთავარ ეპისკოპოსს და, ერთა ლიგას. სამველიანი სთხოვდა მათ — მიექციათ ყურადღება სომეხ ლტოლვილებისთვის ევროპაში და ამერიკაში და შეექმნათ კუნძულ კიპროსზე კერა საბჭოთა უკრაინის სომხებისათვის. ინგლისის მეფის სახელით ეპისკოპოსმა მიიღო პასუხი ჩემბერლენის ხელის მოწერით. პასუხში აღნიშნული იყო, რომ კიპროსი სავსეა ლტოლვილებით, მაგრამ მომავალში შეიძლება მოხერხდეს რაიმე ზომების მიღება. სასამართლომ სამველიანს მიუსაჯა 10 წლის პატიმრობა სასტიკი იზოლიაციით. ბრალდებულის მოხუცებულობის გამო მას სასჯელი სამ წლამდე შეუმცირდა. (ადს).

ხანძარი

შამგონის ქარხანაში

(ტელეგრაფით საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ზუგდიდი, 24 აგვისტო. დღეს დილის 2 საათზე ცეცხლი გაუჩნდა შამგონის ხე-ტყის ქარხანას. ძლიერი ქარის გამო ცეცხლი ჩქარა ვითარდებოდა, მაგრამ ქარხნის მუშების, ადგილობრივი სახანძრო რაზმისა და ზუგდიდიდან ქარხანაში სასწრაფოდ გამოგზავრებულ ამხანაგების ენერგიული ღონისძიებების წყალობით, მალე ჩააქრეს. ზარალი უმნიშვნელოა, როგორც ირკვევა. ცეცხლი სამი დღის წინად გაუჩნდა ქარხანაში დაგროვილ დიდძალ ნახერხს და თანდათანობით ღვივდებოდა.

კოდუა.

27 აგვისტოს ღამის 12 საათზე დაიწყება კავკასიის წითელდროშოვან არმიის მანევრები

არმიის მანევრები, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ ამიერ-კავკასიის ყველა ეროვნების წითელი ჯარის ნაწილები, კიდევ უფრო განამტკიცებს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმურ კავშირს.—მანევრები გვიჩვენებს იმ დიდ მიღწევებს, რომლებიც აქვს მუშურ-გლეხურ წითელ არმიას თავის განვითარების ყველა დარგში.

ამიერ-კავკასიის მთავრობის მიმართვა

ამიერ-კავკასიის მუშებსა და მშრომელ გლეხობას, კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის წითელ-არმიელებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს

მსოფლიო იმპერიალიზმი, რომელიც დაღუპვის გზაზე დგას და რევოლუციონური მუშებისა, გლეხებისა და კოლონიალური და ნახევრად-კოლონიალური ქვეყნების ჩაგრულ ხალხთა შეტევისაგან სასიკვდილოთ განწირულია,—ისწრაფვის რა ახალ მსოფლიო იმპერიალისტურ ომისაკენ, უპირველეს ყოვლისა ამზადებს თავდასხმას საბჭოთა კავშირზე.

საბჭოთა კავშირის განმტკიცება, ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტების ზრდა, ნეპმანისა და კულაკის განდევნა, ჩვენი წარმატება სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში, მთელი ქვეყნის მშრომელთა ძმური სიმპატიების ზრდა სსრ კავშირისადმი, როგორც მსოფლიო კომუნიზმის კერასადმი,—იწვევს მთელი მსოფლიო ბურჟუაზიის ბოროტებით სავსე ზიზღს ჩვენი პროლეტარული სახელმწიფოს მიმართ.

მუშათა და გლეხთა წითელი არმია და მისი სახელოვანი რაზმი—კავკასიის მრავალეროვანი წითელდროშოვანი არმია, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მტკიცედ სდგანან საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხელუხლებლობის სადარაჯოზე და ყოველ წამს მზად არიან მოიგერიონ პროლეტარული სახელმწიფოს შეურიგებელი მტრების თავდასხმა.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მომავალი მანევრები იქნება ნათელი დემონსტრაცია საბჭოთა ქვეყნის სამხედრო ძლიერებისა; ეს მანევრები გვიჩვენებს იმ დიდ მიღწევებს, რაც საბჭოთა ქვეყანას აქვს წითელარმიელთა, უფროსთა და პოლიტმუშაკთა მიერ თავისი სამხედრო ცოდნის გასაუმჯობესებლად წარმოებული მტკიცე მუშაობის შედეგად.

ნაციონალური მშვიდობიანობა, ა-კფსსრ ხალხთა ძმური შეკავშირება ნამდვილი საწინდარია ჩვენი წინსვლისა სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

აღნიშნული მანევრები აგრეთვე ბრწყინვალე დადასტურება იქნება კავკასიის მრავალეროვანი არმიის რიგების ინტერნაციონალური შემჭიდროებისა და ამ არმიის ძმური კავშირისა ა-კფსსრ მრავალეროვან მოსახლეობასთან.

ამიერ-კავკ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა-კფსსრ სახალხო კომისართა საბჭო ესალმებიან კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სახელოვან ნაწილებს და გამოსთქვამენ რწმენას, რომ მანევრები კიდევ უფრო გაადიდებს არმიის რიგების შეუდრეკელ ძალას, კიდევ უფრო განამტკიცებს მის კავშირს მშრომელ მოსახლეობასთან და ამით ხელს შეუწყობს მედგარ მეომარ-რევოლუციონერთა მსოფლიო კომუნისათვის მებრძოლთა შექმნას.

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა წითელ არმიას—მშრომელთა მტკიცე დასაყრდენს სოციალიზმისათვის წარმოებულ ბრძოლაში!

გაუმარჯოს კავკასიის წითელდროშოვან არმიას—წითელი არმიის სახელოვან მებრძოლ ინტერნაციონალურ რაზმს!

გაუმარჯოს არმიის დაურღვეველ კავშირს მშრომელ მოსახლეობასთან!

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნიზმს!

ა-კფსსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.
ა-კფსსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბიქზადიანი.

შევამოწმოთ ჩვენი სამხედრო ძლიერება

ამხანაგებო წითელარმიელებო, მეთაურებო და პოლიტმუშაკებო!

კავკასიის წითელდროშოვანი არმია თავისი გამძაფრებული სამხედრო და პოლიტიკური სწავლების წლიწადს ამთავრებს მანევრებით.

მანევრები მარტო მასიური შემოწმება არ არის წითელარმიელის, მეთაურის, პოლიტმუშაკის და მთელი არმიის აპარატის საბრძოლო თვისებებისა. ეხლანდელი მანევრები წარმოადგენენ იმის მძლავრ დემონსტრაციას, რომ წითელი არმია მუდამ მზად არის მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცეს იმპერიალიზმს, რომელიც ომის მახვილს ლესავს.

ამხანაგებო! საბჭოების დიადი კავშირი განუწყვეტლივ წინ მიიწევს. ყოველი დღე მშვიდობიანი შრომისა ფაბრიკებსა და ყანებში გვაახლოვებს სოციალიზმის გამარჯვებას. ჩვენი მშენებლობის ბუმბერაზული ნაგებობანი სულ მაღლა და მაღლა იწევენ. ისინი შიშსა და სიძულვილს უნერგავენ კლასობრივ მტრებს და სიხარულით ავსებენ ჩვენი მეგობრების—ყველა ქვეყნის ჩაგრულთა და პროლეტართა გულს.

და რაც უფრო ბრწყინვალეა ჩვენი მიღწევები, რაც უფრო მკაფიოდ ისახება მშენებლობის პერსპექტივებში გამარჯვებული სოციალიზმის მოხაზულობა, მით უფრო ბოროტი ხდება მტერი, მით უფრო აქტიურად ამზადებს იგი ჩვენზე თავდასხმას.

მხოლოდ ბურჟუაზიის აშკარა აგენტებს, მხოლოდ მთლად დაბრმავებულებს, შეუძლიათ განაცხადონ, რომ „საბჭოთა და კომინტერნი აზვიადებენ ომის საფრთხეს" ჩვენ არ ვაზვიადებთ. დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების ხელმძღვანელობით ყოველ დღე და ყოველ საათს ირაზმებიან შავი რეაქციის ძალები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ყველგან, სადაც კი ბატონობს იმპერიალიზმი, ომის საწრაფო მზადება საბჭოთა კავშირის— ამ ყველა პროლეტარის, ყველა ჩაგრულის სამშობლოს—წინააღმდეგ.

იმპერიალიზმის უძლიერესმა სახელმწიფოებმა უკვე აამოძრავეს თავიანთი ჩინელი და თეთრგვარდიელი დაქირავებული დამქაშები. შორეულ აღმოსავლეთში, სწორედ ჩვენი ქვეყნის საზღვრებთან, ხდება სისხლიანი პროვოკაცია. ამ პროვოკაციის მიზანია—აიძულოს საბჭოთა კავშირი, რომ მან საპასუხო სამხედრო მოქმედება დაიწყოს.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის ხალხების მთელი მშრომელი ოჯახის თეთრგვარდიელთა ხროვას და მათ ბატონ-იმპერიალისტებს უპასუხებს ერთსულოვანი შეტევით სამეურნეო ფრონტზე; უპასუხებს სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის ენერგიული შესრულებით, პროლეტარულ სახელმწიფოს თავდაცვის უნარის მძლავრი განმტკიცებით.

ბურჟუაზიის საომარ მზადებას მუშათა კლასის მრავალმილიონიანმა მასებმა დედამიწის ყველა კუთხეში უპასუხეს იმით, რომ დაირაზმენ კომუნისტური ინტერნაციონალის შემდეგი ლოზუნგების ირგვლივ: „ძირს იმპერიალისტური ომი"! „დავიცვათ საბჭოთა კავშირი!". 1 აგვისტოს, წითელ დღეს, რევოლუციონურმა მუშებმა და გლეხებმა ფიცი დასდვეს, რომ თვალის ჩინივით დაიცავენ საბჭოთა ქვეყანას, დახმარებას გაუწევენ მას ბრძოლაში ჩვენს ფიცი დავსდეთ—მიუვალად გავხადოთ ჩვენი სოციალისტური ციხე-სიმაგრე კაპიტალიზმისათვის. და ამ ფიცს, თუ კი თავს დაგვესხმიან ჩვენ შევასრულებთ ჩვენი ძალღონისა და სიცოცხლის დაუზოგავად.

ამხანაგებო! ჩვენ უნდა მოვიგერიოთ მსოფლიო ბურჟუაზია, მაგრამ ამავე დროს უფრო მეტად უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა კლასობრივ მტერთან ჩვენი ქვეყნის შიგნით.

საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა მტერთან—კულაკთან, ნეპმანთან, რომელიც სცდილობს ჩაშალოს ჩვენი სოციალისტური შეტევა, შეაფერხოს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნა. გამოლოცხლებულ კონტრ-რევოლუციონური, შავრაზმული ძალების ყველა [illegible], კულაკებისა და მღვდლების ყველა გამოსვლას ჩვენ პასუხი უნდა გავსცეთ უფრო მეტის შემჭიდროებით ბოლშევიკთა ლენინური პარტიის ირგვლივ, მუშათა კლასისა და ღარიბ და საშუალო გლეხთა კავშირის უფრო მეტის განმტკიცებით, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ბუმბერაზული პროგრამისათვის ერთსულოვნად მხარის დაჭერით.

ყველანი ჩავაბათ სოციალიზმის სამსახურში!

ინდუსტრიალიზაცია ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის საფუძველია. ოდნავადაც არ უნდა შევანელოთ ინდუსტრიალიზაციის აღებული ტემპი.

თვითკრიტიკის გაშლილი ფრონტით შევუტიოთ ბიუროკრატს, ჩინოვნიკს, რომელიც აფერხებს ძლევამოსილ მსვლელობას, დავსცხოთ მავნებელს, რომელიც აქარწყლებს სოციალისტური მშენებლობის წარმატებებს.

დაუნდობლად მოვიშოროთ მხდალები, პანიკიორები, ლენინიზმიდან განდგომილნი, რომელნიც შეუშინდნენ სიძნელეებს, დაფრთხნენ კაპიტალისტური ელემენტების გააფთრებული წინააღმდეგობის გამო.

კომუნისტურმა პარტიამ აამოძრავა მუშათა კლასის უდიდესი ძალები და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები. ლენინის პარტია ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ლოზუნგებით გაბედულად გაუძღვება ამ მასებს, წაიყვანს მათ წინ სოციალიზმისაკენ და გადალახავს ყველა დაბრკოლებას თავისი პროლეტარული რაზმების უძლეველი ძალით.

ამხანაგებო! მანევრებზე გასვლით კავკასიის წითელდროშოვანი არმია აბარებს თავისი სამხედრო-პოლიტიკური სიმწიფის გამოცდილებას.

რამდენიმე დღის განმავლობაში ჩვენ უნდა ჩავატაროთ უდიდესი მუშაობა. მანევრების წარმატება უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყოველი წითელ-არმიელი, ყოველი მეთაური და პოლიტმუშაკი, ყოველი სამხედრო მოსამსახურე მანევრების აქტიური მონაწილე იქნება.

ჩვენ უნდა დავამტკიცოთ მუშაობის უნარი ისეთ მდგომარეობაში, რომელიც ძალიან წააგავს ნამდვილ ომს. მეომრისა და მეთაურის მაღალი ტაქტიკური ღირსებები, დიდი რევოლუციონური შეგნება, რკინისებური საველე დისციპლინა,—აი აუცილებელი პირობები იმისათვის, რომ გამოცდა ჩავაბაროთ.

ინიციატივა, გამბედაობა, სიმკიცე და ნებისყოფა,—აი რა მოითხოვება ყველას, დაწყებული წითელარმიელით და გათავებული უფროსი მეთაურით.

მანევრებზე ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა ჩვენი სამხედრო ნაწილი და რაზმი „დაუყოვნებლივ სწყვეტდეს, სწრაფად ეხმაურებოდეს ყოველ გაცემულ განკარგულებას. უამისოდ შეუძლებელია გამოცდილი ტაქტიკა".

საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციონურმა საბჭომ მოგვიწოდა—მივაღწიოთ მკვეთრ გარდატეხას გამბედაობისა, ინიციატივისა და აქტივობის საქმეში. ამ მოწოდებას უნდა გამოეხმაუროს მეომართა მთელი მასა და მეთაურთა შემადგენლობა.

მეომარისა და მეთაურის მომზადების ხარისხის ამაღლებაში, შეუძლია უდიდესი როლი ითამაშოს სოციალისტურმა შეჯიბრებამ სამხედრო ნაწილებს შორის.

შეჯიბრებაში ნაწილები უნდა სცდილობდნენ მიაღწიონ უფრო მაღალ ტაქტიკურ ჩვევათა შეთვისებას, ყოველი წითელ არმიელის მიერ თავისი სპეციალობის სრულ ცოდნას, საერთო სამხედრო წესდებათა სათანადოთ შეთვისებას, ბრძანებების სანიმუშოდ შესრულებას, ინიციატივის ფართოდ გამოყენებას, მატერიალური ნაწილისადმი ფრთხილად მოპყრობას და სხვ.

მეთაურებისა და პოლიტიკური შემადგენლობისაგან ჩვენ მოველით ყურადღებას საორგანიზაციო მუშაობისადმი, თავიანთი ნაწილებისა და რაზმების შენარჩუნებისადმი, მოქნილ ხელმძღვანელობას ამ ნაწილების მიმართ.

ამხანაგებო! სამანევრო ველზე მხარდამხარ იმუშავებს ჩვენი მრავალეროვნებიანი არმიის ყველა ნაწილი. მებრძოლი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განმტკიცება და შეურიგებელი ბრძოლა იმათთან, ვინც შეგნებულად ან შეუგნებლად შეეცდება დასთესოს ნაციონალური შუღლი—შეადგენს ჩვენს ერთ-ერთ მთავარ ამოცანას.

კავკასიის წითელდროშოვანი არმია მანევრებიდან უნდა გამოვიდეს ინტერნაციონალურად კიდევ უფრო შემჭიდროვებული. მტკიცედ ხელიხელ ჩაკიდებულნი, ერთი ნებისყოფით, ერთი მიზნით, ერთი მისწრაფებით შეკავშირებულნი, ხალხთა რევოლუციონური ძმობის დროშის ქვეშ წავლენ მრავალეროვნებიანი წითელი არმიის რკინის ბატალიონები ახალ ბრძოლებისა და ახალ გამარჯვებისაკენ.

ამხ. ავქსენტიევსკი
კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის სარდალი

ამხანაგებო! ჩვენი არმია მანევრებს ახდენს საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე. თავისი აქ ყოფნა ყოველმა ნაწილმა უნდა გამოიყენოს ძმური კავშირის განსამტკიცებლად მუშებსა და გლეხებთან. ჩვენ უნდა ვუჩვენოთ მშრომელ მოსახლეობას, თუ რა საუცხოვო დამცველთ, მებრძოლთ და ახალი საზოგადოების მშენებელთ ზრდის წითელი არმია. უნდა გამოვიყენოთ ყოველი თავისუფალი წუთი და უნდა გავსწიოთ ფართო პროპაგანდა გენერალური ხაზის სასარგებლოდ, ჩავაბათ მუშურ-გლეხური მასები ბრძოლაში სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის, დავარაზმოთ ისინი ბოლშევიკური პარტიის ლოზუნგების ირგვლივ.

დაე, ყოველი წითელარმიელის, ყოველი მეთაურის და პოლიტმუშაკის სახით მუშებმა და მშრომელმა გლეხებმა დაინახონ სოციალიზმისათვის ერთგული მებრძოლი, რომელიც სცოცხლობს მთელი ჩვენი ქვეყნის შემოქმედებითი დუღილით, რომელიც ფხიზლად სდგას ოქტომბრის სადარაჯოზე!

პარტიული ორგანიზაციებისა და პოლიტიკური აპარატის ნაცადი ხელმძღვანელობით კავკასიის წითელდროშოვანი არმია შეასრულებს მანევრების მიერ მის წინაშე დასმულ ყველა ამოცანას.

გაუმარჯოს მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ფხიზელ გუშაგს!

გაუმარჯოს მრავალეროვანი საბჭოთა ამიერ-კავკასიის მუშებსა და გლეხებს! გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

გაუმარჯოს მებრძოლ პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას!

ძირს იმპერიალისტური ომის გამღვივებლებს!

ძირს გამყიდველი ჩინელი მილიტარისტები!

გაუმარჯოს ჩინეთის მშრომელი მასების ძმურ კავშირს საბჭოთა კავშირის მშრომელებთან!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის სოციალისტურ სამშობლოს—საბჭოთა კავშირს!

კავკ. წითელდროშოვანი არმიის სამხედრო რევოლუციონური საბჭო:
ავქსენტიევსკი.
ივო.
ყარაიევი.
კოსტანიანი.
ელიავა.

მზად ვიყოთ ომის საფრთხის მოლოდინში

თბილისისა და მისი ოლქის მუშებს, მუშა - ქალებს და ყველა მშრომელს, მანევრების მონაწილე კავკასიის წითელ - დროშოვანი არმიის წითელ-არმიელებს, მეთაურებს და პოლიტმუშაკებს

ძვირფასო ამხანაგებო!

27 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე თბილისსა და გორს შორის გაიმართება კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამხედრო მანევრები. წითელი არმიის მანევრებს უდიდესი სახელმწიფოებრივ - პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მანევრები, რომლებიც ისახავენ სამხედრო - საბრძოლველი მომზადების ამოცანებს, ამავე დროს კავკასიის წითელდროშოვანი არმიისა და საქართველოს მუშებსა და გლეხების მტკიცე კავშირის უდიდეს დემონსტრაციად გადაიქცევიან.

მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ ავიაქიმის მუშათა ბატალიონები, წითელი ჯვარის და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მანევრების რაიონებში სწარმოებს გაშლილ - გაფართოებული მზადება მუშათა და გლეხთა მასებისა, რომლებიც ელიან თავის მუშურ - გლეხური არმიის მებრძოლთა სასიხარულო შეხვედრას. მომავალი მანევრები შეამოწმებენ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობას, წითელი არმიის მომზადებას ბრძოლისათვის და მშრომელთა მასების გადამწყვეტ მისწრაფებას, რომ მხარი დაუჭირონ მას იმპერიალიზმთან ბრძოლაში.

კაპიტალისტური მსოფლიო, რომელსაც ღრღნის შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობანი, ცდილობს გამოსავალი ჰპოვოს ახალი იმპერიალისტური ომის შემწეობით. გააფთრებული ბრძოლა ბაზრებისათვის, ნედლეულობის ახალი წყაროებისათვის, კაპიტალის გარეთ გატანისათვის — აუცილებლად გამოიწვევს ომს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის და ამ ომის მიზანი იქნება ახალი ტერიტორიების დაპყრობა, მსოფლიოს ახალი დაყოფა.

ერთა ლიგა, კელოგის პაქტი, განიარაღების კონფერენციები თვალთმაქცურ ნიღაბს წარმოადგენენ ახალი იმპერიალისტური ომის მოსამზადებლად.

იმპერიალისტური ომის მოსამზადებლად.

იმპერიალიზმის ქვეყნების შეიარაღებათა თავშეუკავებელი ზრდა და კაპიტალისტური ქვეყნების სხვადასხვა სამხედრო - პოლიტიკური კავშირების შექმნა — კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ მოახლოვებულია ახალი მსოფლიო იმპერიალისტური ომი, უფრო სისხლის მღვრელი და გამანადგურებელი, ვიდრე 1914 — 18 წლების ომი იყო. ამავე დროს მწვავდება საერთაშორისო იმპერიალიზმის შეურიგებელი მტრობა საბჭოთა კავშირისადმი. იმპერიალისტები პირველ ყოვლისა ემზადებიან პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაზე თავდასასხმელად. ამას ადასტურებს ანტი - საბჭოთა ბლოკის შექმნის შეუწყვეტელი ცდა, ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების შეიარაღებათა ზრდა და საბჭოთა კავშირთან სამხედრო კონფლიქტების სისტემატიური პროვოკაცია. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ომის ყველაზე უმსგავსო პროვოკაციას წარმოადგენს ჩინეთის მილიტარისტების მიერ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის მტაცებლურად ხელში ჩაგდება საერთაშორისო იმპერიალიზმის ბრძანებით, საბჭოთა მუშებისა და მოსამსახურეების მასიური დაპატიმრება და ძალადობანი მათზე, ჩინეთის რეგულიარული ჯარების და თეთრგვარდიელთა ბანდების ავაზაკური თავდასხმა საბჭოთა ტერიტორიაზე.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ომისა და ინტერვენციის მზადებაში განსაკუთრებულ უმსგავსო როლს თამაშობს საერთაშორისო სოციალ - დემოკრატია, რომელიც სოციალ - ფაშიზმად გადაგვარდა და, რომელიც განსაკუთრებული გულმოდგინებით მუშაობს იმ ომის მოსამზადებლად, რომელსაც იგი პაციფისტური ფრაზების ნიღბით აფარებს.

საერთაშორისო სოციალ - ფაშიზმის რიგებში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართულ მენშევიზმს. მუშებისა და გლეხების მიერ საქართველოს ფარგლებიდან გადახვეწილი ქართველი მენშევიკები, გადაიქცნენ იმპერიალიზმის კონტრ - მზვერავებად და საბჭოთა ქვეყანაზე შეიარაღებული თავდასხმის წამსისინებლად.

საბჭოთა კავშირი იმყოფება კაპიტალისტურ გარემოცვაში და მას მუდამ თავს დასტრიალებს ინტერვენციული ომის საფრთხე. ამიტომ საკავშირო კომპარტიის ხელმძღვანელობით იგი მხნედ განაგრძობს ძლევამოსილ სოციალისტურ მშენებლობას. სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ, სოფლის მეურნეობის მასიური კოლექტივიზაციის გაშლამ, განვითარებამ, ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე გადამწყვეტმა შეტევამ მუშათა კლასისა და გლეხობის დაკავშირების ახალ საწარმოო ფორმათა განვითარებამ — განამტკიცეს პროლეტარული დიქტატურა.

გლეხობასთან მჭიდროდ დაკავშირებული მუშათა კლასი აქტიურად სძლევს სოციალისტური მშენებლობის სიძნელეებს და შეურიგებლად მიიმართება სოციალიზმის გზით. კომუნიზმის ენტუზიაზმით გამსჭვალული პარტია და მუშათა კლასი გაბედულად იბრძვიან სოციალისტური მშენებლობის სიძნელეების დროს აუცილებელ მერყეობას, ქანაობას და, თავიდან იშორებენ სულმოკლე და მერყევ ელემენტებს.

ანტი - საბჭოთა პარტიების, მენშევიკების, ტროცკისტების გაკოტრება და მათი საბრალო ნაშთების გაბოროტებული ფართხალი კიდევ ერთხელ არწმუნებენ მუშათა და გლეხთა ფართო მასებს, რომ საკავშირო კომპარტია (ბ) და საბჭოთა ხელისუფლების კომუნისტური მშენებლობის ერთგულნი არიან, რომ საბჭოთა კავშირში გაიმარჯვებს სოციალიზმი.

სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა აძლიერებს პროლეტარულ რესპუბლიკას, ზრდის მისი თავდაცვის უნარიანობას და, მაშასადამე ამაგრებს მუშათა კლასის იმ სოფლიო რევოლუციონური მოძრაობის საბრძოლველ პოზიციებს, რომელიც იწყებს კონტრ-შეტევაზე გადასვლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ. მუშათა კლასის და მშრომელთა ენტუზიაზმი თავის გამოხატულებას პოულობს სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში, შრომის ნაყოფიერების ზრდაში, პროდუქციის გადიდებაში, თვითღირებულების შემცირებაში, შეუბრალებელ ბრძოლაში ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, საბჭოთა აპარატის წმენდაში, ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელებაში, და სხვა.

მანევრები უდიდეს როლს ითამაშებენ ამიერ - კავკასიის ერთა ინტერნაციონალური ძმობის შემდგომი განმტკიცების საქმეში. ამიერ - კავკასიის ფედერაციის, კერძოდ საბჭოთა საქართველოს მუშები და გლეხები არასოდეს არ დაივიწყებენ წითელი არმიის დამსახურებას, მენშევიკების, დაშნაკელების და მუსავატელებისაგან მათი განთავისუფლების საქმეში. ამიერ - კავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერატიული რესპუბლიკის შექმნა, კავკასიის წითელდროშოვანი არმიის შემადგენლობაშიც ნაციონალური ნაწილების მოწყობა წარმოადგენს ამიერ - კავკასიის და საბჭოთა კავშირის ხალხთა განუყრელი ინტერნაციონალური მეგობრობის სიმბოლოს.

მანევრები კიდევ უფრო განამტკიცებენ კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ურყევ ძმურ კავშირს საქართველოს და ამიერ - კავკასიის სხვა რესპუბლიკების მშრომელებთან.

თბილისის და მისი ოლქის მუშები, გლეხები და ყველა მშრომელები, ფხიზლად ადევნებენ თვალყურს კავკასიის სახელოვანი წითელდროშოვანი არმიის მანევრებს და ამავე დროს ერთი წუთითაც არ აშორებენ თავის ყურადღებას შორეული აღმოსავლეთის წითელ არმიას.

თბილისის მუშები და თბილისის ოლქის გლეხები ჩინელ თავდამსხმელების საპასუხოდ, იმპერიალისტური თავდასხმის პროვოკაციის საპასუხოდ მაღლა სწევენ თავის ბრძოლის რევოლუციონურ დროშას და მრავალრიცხოვან კრებებზე და მიტინგებზე აცხადებენ, რომ მზად არიან საჭიროების დროს გვერდში ამოუდგნენ წითელი არმიის მებრძოლთა რკინის რიგებს.

მანევრების გამარჯვებაში დარწმუნებული საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი და თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი ყველა პროლეტარის, კომუნარის და მშრომელი გლეხის სახელით ბრძოლის პროლეტარულ სალამს უძღვნიან კავკასიის სახელოვანი წითელდროშოვანი არმიის წითელ არმიელებს, მეთაურებს და პოლიტხელმძღვანელებს.

გაუმარჯოს კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მანევრებს!

გაუმარჯოს ამიერ - კავკასიის ფედერაციას — ინტერნაციონალიზმის მშვიდობიანობის საუკეთესო ნიმუშს!

მხურვალე პროლეტარული სალამი მანევრების მონაწილე ძმური რესპუბლიკების — სომხეთის და აზერბაიჯანის ნაციონალურ დივიზიებს!

ინდუსტრიალიზაციისაკენ, სოციალისტური სამშობლოს დაცვისაკენ!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — მსოფლიო რევოლუციის დასაყრდენს!

გაუმარჯოს წითელ არმიას — პროლეტარული დიქტატურის დასაყრდენს!

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტი

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

წითელდროშოვანი არმია მანევრებზე

დგება ჩვენი მშრომელი რიგების მიღწევებისა და წარმატების შემოწმების მომენტი.

წლითი წლობით იზრდება და მაგრდება მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძლიერება. სოციალისტური მშენებლობის გაშლა ქალაქად და სოფლად, ამ ფრონტზე ახალი პოზიციების დაპყრობა და განმტკიცება აფართოებენ სამხედრო ნაწილების მომზადების ზრდის შესაძლებლობას და აძლიერებს ბრძოლის ტეხნიკურ საშუალებებს.

საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა მებრძოლ ავანგარდს—წითელ არმიას მიმდინარე სასწავლო წელს უკვე მიეცა შესაძლებლობა უზრუნველეყო თავისი თავი საშუალებათა საჭირო მინიმუმით და შეექმნა ისეთი პირობები, რომელნიც ხელს უწყობენ სწავლებას და ყველა სახის ჯარისა და იარაღის შეთანხმებას.

მატერიალურ-ყოფა-ცხოვრებითი საკითხების უმეტესობა გადაჭრილია, თუ სავსებით არა, უმთავრესად მაინც.

ხელთა გვაქვს საჭირო წესდებები, ხელსაწყოები, დამხმარე სახელმძღვანელოები. თანდათან ფართოვდება და უმჯობესდება სასროლო მოედნების, პოლიგონების, ტირების, სასწავლო ველების, ბანაკებისა და სხვადასხვა სამხედრო უბნების ქსელი.

უფრო ფართოდ ვიყენებთ ბრძოლის ტეხნიკურ საშუალებებს და უფრო მეტს ვხარჯავთ სასწავლო და ბრძოლის მასალას, რაც უზრუნველყოფს ჩვევათა გამომუშავებას ისეთ პირობებში სამოქმედოთ, რომლებიც ნამდვილ ბრძოლას უახლოვდებიან.

მაგრამ მარტო მატერიალური და ტეხნიკური ხაზით არ ხდება წითელი არმიის ბრიგადებისა და დივიზიების განმტკიცება.

წარმატების მთავარ საწინდარს წარმოადგენს უფროს მეთაურთა შემადგენლობისა და წითელარმიელების ის კავშირი, რომელიც თანდათან ფართოვდება. და მთელი შემადგენლობის პოლიტიკური შეგნება—შედეგი პარტიულ-პოლიტიკური ორგანიზაციების მკაფიო და ღრმა მუშაობისა.

ეს უკანასკნელნი, გარდა იმისა, რომ თავიანთ უშუალო ამოცანებს სამაგალითოდ ახორციელებენ, ძალიან დაუახლოვდნენ ჯარის სამეურნეო, საველე სწავლების საკითხებს; მათ უზრუნველყოფეს ყოველი მეცადინეობის, სასწავლებლად ყოველი გამოსვლის წარმატება. და პარტიის წევრებისა და კომკავშირელების თავდადება საქმისათვის, მათი აქტივობა, დაუღალავობა წარმოადგენდა მაგალითსა და სტიმულს შემდგომი მიღწევებისათვის.

ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრების მეთოდი, რომელმაც ღრმად გაიდგა ფესვები წითელ არმიაში. იდება ხელშეკრულებები როგორც ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხებში, წითელ არმიელზე ზრუნვისა და სათანადო საცხოვრებელი პირობების შექმნის საკითხებში, ისე სასწავლო ამოცანათა სხვადასხვა ნაწილების მოგვარებაში. და დღეს მუშაობა გასაუმჯობესებლად, მუშაობა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს წითელარმიელების მთელი მასა, მასა, რომელიც საქმეს ანდომებს მთელს შემოქმედებით ინიციატივასა და დაუდგრომლობას.

მუშაობის დაჭიმული ტემპი უფრო ძლიერდება იმ მძიმე საერთაშორისო პირობების ცხადად შეგნებით, რომლებიც შეიქმნენ უკანასკნელ ხანებში. უტიფარი გამოსვლა თეთრგვარდიელი და ჩინელი ბანდიტებისა, რომლებსაც იმპერიალისტები ხელმძღვანელობენ, მაკდონალდის „მუშური" პოლიტიკა, გაშმაგებული დევნა ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში მუშათა კლასის მოწინავე ავანგარდისა,—ყველაფერი ეს მოასწავებს ახალი პროვოკაციების საფრთხეს და ომის მოახლოებას.

წითელმა არმიამ უნდა შეამოწმოს ყოველი თავისი ნაბიჯი და კიდეყაც ასე იქცევა, იგი ყოველდღე ისახავს თავისი ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებისა და გაძლიერების ამოცანას და სცდილობს მიაღწიოს მას.

წითელი არმია მთელი თავისი არსებით იზიარებს მშვიდობიანობის პოლიტიკას. მაგრამ ამავე დროს იგი ყოველ წუთს მზად არის მკერდით დაიცვას ოქტომბრის მონაპოვარი და მშენებლობა, რომელიც [illegible] იმლება.

სხვა ოლქებთან ერთად, კავკასიის წითელდროშოვანი არმია დაუცხრომლად ემზადება მოსალოდნელი ომებისათვის და ფხიზლად დარაჯობს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ საზღვარს. მისი რიგები ძლიერნი არიან ინტერნაციონალური მთლიანობითაც: ამიერ-კავკასიის მოძმე და შრომითი რესპუბლიკების ყველა ეროვნება სდგას მის რიგებში და ამხანაგურად ეჯიბრებიან ისინი ერთმანეთს საბრძოლო მიღწევებში, საერთო ზრდა, საერთო შემჭიდროება გადაიქცევა წარმატების საფუძვლად მომავალ მანევრებში და, თუ საჭირო იქნება ბრძოლის ველზედაც.

მთავარი ძალები კავკასიის წითელდროშოვანი არმიისა, — მეთაურთა და პოლიტიკური შემადგენლობის კადრი, რომლის უმრავლესობას უკვე განვლილი აქვს სამოქალაქო ომის ქარცეცხლი, ატარებს იმ სახელოვანი რევოლუციონური პოლკებისა და დივიზიების საუკეთესო ტრადიციებს, რომელთაც კონტრ-რევოლუციის შეტევისაგან დაიცვეს შრომის ახალგაზრდა რესპუბლიკა. და ახალგაზრდობა, რომელიც წლითი-წლობით იზრდება, როგორც პოლიტიკური შეგნების, ისე საერთო განვითარების მხრით, სწრაფად ითვისებს ყველაფერს, რაც ძვირფასია, ყალიბდება დუღაბით განმტკიცებულ ერთ მონოლიტად, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩვენი ბელადი—საკავშირო კომუნისტური პარტია.

მუშაობა, რომელიც ნაწილებში სწარმოებს, წლითი-წლობით რთულდება. ტეხნიკის ზრდა და ტაქტიკის ცვალებადი ფორმები ყოველი მეომრისაგან მოითხოვს დამოუკიდებლობასა და აქტივობას, აიძულებს მას ყოველი დღე ილიოს, რომ არ ჩამორჩეს ცხოვრების მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს.

ზამთრის სწავლების მანძილზე, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ნაწილებს საშუალება ჰქონდათ, თავიანთი სპეციალური სწავლების ამოცანებს გარდა, გასცნობოდნენ მთელ რიგ მათთვის ახალ საკითხებს. შეერთებულმა მუშაობამ ჯავშნოსან ნაწილებთან, ტანკებთან, ავიაციასთან, ქიმიურ საშუალებებთან, ოპერაციამ საზღვაო ფლოტთან—საშუალება მისცა არმიის ნაწილებს განემტკიცებიათ პრაქტიკულად მთელი რიგი საკითხები, რომლებთანაც თეორეტიულად წინასწარ იყვნენ გაცნობილნი. მსხვილი ოპერატიული მასშტაბით შეთანხმებული მოქმედების საბოლოოდ ჩამოყალიბებას ჩვენ მივაღწევთ არმიის მახლობელ მანევრებზე. მანევრები წარმოადგენენ არა მარტო ტაქტიკისა და სროლის სწავლების შემოწმებას, არამედ იმის შემოწმებასაც, თუ რამდენად შეგვიძლია გამოვიყენოთ ის ტეხნიკა, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს. ამავე დროს კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მანევრების ამოცანას წელს შეადგენს უმაღლეს და უფროს მეთაურთა შემადგენლობის ცოდნის შემოწმება—თუ რამდენად შეუძლიათ მათ გაუძღვნენ ჯარს ბრძოლაში, მოამზადონ და მიაღწიონ გამარჯვებას.

ამიერ-კავკასიაში პირველად იმართება მანევრები ასეთი მასშტაბით, და ამ მანევრებს წითელდროშოვანი არმიისათვის ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან ასეთი ამოცანების დასმა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მიღწეულია მომზადების განსაზღვრული დონე. მე პირადათ ვინახულე არმიის ყველა ნაწილი და ღრმა საინსპექციო მუშაობის წესით გავეცანი მათ მდგომარეობასა და მიღწევებს, და დარწმუნებული ვარ, რომ სამანევრო შემოწმება წარმატებით დამთავრდება. არმიამ გარკვევით შეასრულა ის რთული ამოცანები, რომლებიც წელს მის წინაშე დაისვა. მაგრამ ეს შემოწმება მარტო იმათ არ ეხება, ვინც წითელდროშოვანი არმიის სახელოვანი ნაწილების დროშის ქვეშ სდგას. ყოველმა მებრძოლმა იცის, რომ იგი ძლიერი თავისთავად არ არის, რომ მის უკან დგანან მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები, რომელნიც პირველ დაძახებისთანავე მზად არიან ჩადგნენ მებრძოლთა საერთო რიგებში. მათი მზადების რეალურ საწინდარს წარმოადგენს ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო საქმიანობა, როგორიც არის თავდაცვა-ავიაქიმი, წითელი ჯვარი და ნახევარმთვარე, რადიოს მოყვარულთა საზოგადოება და სხ. მანევრებზე არმიის ნაწილების რიგებში ჯართან მხარდამხარ დადგებიან მუშათა ბატალიონები, რომლებიც სხვებთან თანაბარ პირობებში მომარაგებულნი ყველაფრით, რაც მათთვის საჭიროა, შეუდგებიან ბრძოლის დამოუკიდებელი ამოცანების გადაჭრას, გამოიჩენენ ცოდნას სამხედრო საქმეში და ამ ცოდნის გამოყენების უნარს.

ეს საერთო მუშაობა წითელი არმიის ნაწილებს უფრო დაუახლოვებს მუშათა კლასს, იგი საშუალებას მოგვცემს დავინახოთ და ვიგრძნოთ სავსებით, როგორ მუშაობს და რით არის ძლიერი მშრომელთა პირველი არმია მსოფლიოში. ეს მანევრების უდიდეს ამოცანას წარმოადგენს.

არსებული ცნობების მიხედვით, მანევრებს დაესწრებიან ამ.-კავკასიის ყველა რესპუბლიკის პარტიული, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელნი, რომელთაც მიეცემა ფართო შესაძლებლობა, გაეცნონ ყველა იმ საკითხს, რაც მათ აინტერესებს.

ის მხურვალე თანაგრძნობა და უდიდესი მატერიალური და მორალური დახმარება, რომელიც ამ.-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელმა ორგანოებმა წითელდროშოვან არმიას აღმოუჩინეს, ის დახმარება, რომელიც მანევრებისათვის მზადების დროს შეფებმა აღმოუჩინეს არმიის სხვადასხვა ნაწილებს, ის ღრმად დაინტერესება მომავალი მუშაობით, რომელიც გამოიჩინეს ამ.-კავკასიის მშრომელთა ფართო მასებმა,—ყველაფერი ეს მოწმობს, რომ დასახული მიზნები სათანადო წარმატებით იქნება განხორციელებული. წითელდროშოვანი არმიის ნაწილები ყოველ ღონეს იღონებენ, მოიკრებენ მთელ თავიანთ ენერგიას, რომ ღირსეულად ჩაატარონ თავიანთი ბრძოლისუნარიანობის დემონსტრაცია და შემოწმება

მანევრები დამთავრდება აღლუმით, მშრომელებთან არმიის შეკავშირების დღესასწაულით, როდესაც წითელი არმიის ნაწილები ძლიერი რიგებით გაივლიან თავიანთი უთვალავი ძმების წინაშე სისხლით შეღებილი, რევოლუციონური დამსახურებული დროშების ქვეშ.

კავკასიის წითელდროშოვანი არმია მზადაა ბრძოლისათვის.

კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდალი ავქსენტიევსკი.
1929 წ. 23 აგვისტო.
თბილისი.

სოციალიზმის მშენებლობის პროგრამა*)

(საბჭოთა კავშირის ხუთწლიანი გეგმა)

6. ხუთწლიან გეგმის როლი ნაციონალურ რესპუბლიკების აღორძინების საქმეში

როგორც დავინახეთ, საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარება ფეხ და ფეხ მიჰყვება კავშირის სამეურნეო ცხოვრების საერთო ზრდის პროცესს, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ თითქოს ეს თანამიმდევრობა ხასიათდება ზრდის ცალმხრივობით, რომ თითქოს ის განისაზღვრებოდეს მხოლოდ რაოდენობითი ცვლილებებით და მას არ ახასიათებდეს ის ხარისხობრივი ცვლილებები, რაც სახალხო მეურნეობის სოციალისტური სტრუქტურის ხასიათის ცვლილებების სახით არსებობს. საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარება სწარმოებს ისეთი განსაზღვრული მიმართულებით, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს მასში სოციალისტური სექტორის საგრძნობ გაძლიერებას. ჩვენ, როგორც სოციალიზმის მშენებელ ძალას, დაგვაკმაყოფილებს მეურნეობის მხოლოდ ისეთი ხასიათის ზრდა, სადაც ადგილი ექნება მეურნეობაში არსებულ კაპიტალისტურ ელემენტებზე აბსოლიუტური და შედარებითი შევიწროებას სოციალისტური სექტორის გაძლიერების მეოხებით. საკმაოა საქართველოს ხუთწლიან გეგმის გადათვალიერება იმ საკითხის გამოსარკვევად, თუ რა ცვლილებებს შეიტანს მისი განხორციელება სხვადასხვა სოციალურ სექტორის ურთიერთ დამოკიდებულებაში.

ხუთწლიანი გეგმა გულისხმობს სოციალისტური სექტორის გაძლიერებას სახალხო მეურნეობის ყველა მნიშვნელოვან ფრონტზე, სახელდობრ: მრეწველობაში, სასოფლო მეურნეობაში და ვაჭრობაში. კაპიტალისტური სექტორი მეხუთე წლის დამლევისათვის კარგავს იმ პოზიციების დიდ ნაწილს, რომლებიც დღეს მას უჭირავს სახალხო მეურნეობაში. მისი მდგომარეობა მეხუთე წლის დამლევისათვის გვეუბნება იმას, რომ სახალხო მეურნეობის განვითარება ტეხნიკურ რეკონსტრუქციის საფუძველზე აშკარად სოციალისტური სექტორის დიდი გამარჯვებით მიმდინარეობს, რაც სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობის საუკეთესო თავდებია.

მრეწველობაში სოციალისტური სექტორის გაძლიერების მაჩვენებელია მისი და კაპიტალისტური სექტორის ხვედრითი წონის ცვლილებები სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციაში. ამ მხრივ ხუთწლიანი გეგმა შემდეგ სურათს იძლევა:

(საერთო პროდუქცია მილიონ მანეთებში სა თანადო წლის ფასებით)

	1927—28 წ.		1932—33 წ.		ზრდის ან დაკლების პროც.
	აბსოლ.	ხვედრითი წონა.	აბსოლ.	ხვედრ. წონა.	
განსაზოგადოებული	65, 7	59,9 %	337,6	99,7 %	+413,9
მათ რიცხვში: სარეწაო-ხელოსნური	12,8	11,6 %	71,3	21,1 %	+457,0
კერძო	45,0	40,7 %	1,1	0,3 %	— 97,6
მათ რიცხვში: სარეწაო ხელოსნური	45,0	40,7 %	1,1	0,3 %	— 97,6

როგორც ვხედავთ, მიმდინარე ხუთი წლის განმავლობაში სახალხო მეურნეობის სექტორი ფართოვდება კაპიტალისტური ელემენტების შეუჩერებლად შევიწროების ხარჯზე. კაპიტალისტური სექტორი დიდი ხანია განიდევნა მსხვილი, ცენზიანი მრეწველობიდან. დღემდის მას შენარჩუნებული ქონდა თავისი წარსული მდგომარეობიდან ზოგიერთი პოზიციები წვრილ ხელოსნურ წარმოების დარგში, მაგრამ სარეწაო კოოპერაციის გაძლიერების მეოხებით მას აქაც ნიადაგი ეცლება ფეხქვეშ. სოციალისტური სექტორის ხვედრითი წონა მრეწველობაში დღემდისაც მაღალია სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ სექტორთან შედარებით, რაც სჩანს იქიდან, რომ მას დღემდის ეჭირა 59.9 პროც. ამიტომ მიმდინარე ხუთი წლისათვის უფრო დამახასიათებელია და მნიშვნელოვანია სოციალისტური სექტორის გაძლიერება სასოფლო მეურნეობაში. ამ უკანასკნელში სოციალისტური სექტორის შექმნა და გაძლიერება უფრო რთულ პროცესს წარმოადგენს, ვიდრე მრეწველობაში, რაც გამოწვეულია მისი წვრილ საქონლის უბრალო მეურნეობის ხასიათით. სოფლის მეურნეობა ამის გამო არ შეიძლება იყოს ისეთი ელასტიური, როგორც მრეწველობაა. სოციალისტურმა სექტორმა შესძლო მასში ფეხი მოეკიდებია მხოლოდ დიდი ხნის განვლის შემდეგ და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მშრომელი გლეხობის ნაწილი დარწმუნდა კოლექტიური მეურნეობის უპირატესობაში კერძო დაქუცმაცებულ მეურნეობასთან შედარებით. წვრილ საქონლის გლეხურ უბრალო მეურნეობის მსხვილ კოლექტიურ წარმოებაში გაერთიანების პროცესი მთელი წლების საქმეა. მიმდინარე ხუთი წელი იძლევა ამ საქმეში პირველ თვალსაჩინო მიღწევებს, რაც შემდეგისათვის კიდევ უფრო მეტად მოამზადებს პირობებს გლეხობის ფართო მასის კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლისათვის, რადგან მაგალითზე დარწმუნდებიან, თუ რამდენად შეუძლია გააუმჯობესოს კოლექტიურ მეურნეობამ მშრომელი გლეხობის ცხოვრების ეკონომიურ-სოციალური პირობები.

სასოფლო მეურნეობაში სოციალისტური სექტორის თვალსაჩინო ზრდას მოწმობს ის გარემოება, რომ თუ 1927—8 წლისათვის მისი ხვედრითი წონა საერთო პროდუქციაში შეადგენდა მხოლოდ 1,5 პროც., 1932—3 წლისათვის ის შეადგენს 14 პროც., მეტ ზრდას იძლევა სოციალისტური სექტორი სასაქონლო პროდუქციაში, რაც აიხსნება იმით, რომ კოლექტიურ მეურნეობებს მეტი რჩება პროდუქციის ეს ნაწილი, ვიდრე კერძოს. ორი პროცენტის ნაცვლად, რომელიც ეჭირა სოციალისტურ სექტორს, სასოფლო მეურნეობის საერთო პროდუქციის სასაქონლო ნაწილში 1927—8 წლისათვის, ექნება 16,2 პროც. 1932—3 წლისათვის. ასეთი მდგომარეობა საბჭოთა და კოლმეურნეობებისათვის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, რადგან მათი მშენებლობა ფაქტიურად ამ სამეურნეო წლიდან იწყება. თუ კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა მშენებლობის აღნიშნულ პროგრამას დაუმატებთ გლეხობის გაერთიანებას სხვადასხვა სახის კოოპერაციაში და კონტრაქტაციის იმდენად გაფართოებას, რომ მან თავის გავლენის ქვეშ მოაქციოს პროდუქციის სასაქონლო ნაწილის 48 პროც., მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მიმდინარე ხუთი წლის განმავლობაში საგრძნობლად იცვლის თავის სოციალურ სახეს, სოციალისტური სექტორის გაძლიერების მიმართულებით, არა მხოლოდ მრეწველობა, არამედ სასოფლო მეურნეობაც, რასაც დღეს ჩვენი შემდგომი განვითარებისათვის არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სოციალისტური სექტორის გაძლიერებას მრეწველობაში. სასოფლო მეურნეობაში სოციალისტური სექტორის გაძლიერების მნიშვნელობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვიყვეთ უზრუნველყოფილი კაპიტალისტური ელემენტების გაძლიერების შესაძლებლობისაგან, მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი კაპიტალიზმის ძირიან-ფესვიანად მოსპობა. ამრიგად, სოციალისტური სექტორის ზრდა სასოფლო მეურნეობაში აძლიერებს მის ხვედრითი წონას საერთოდ მთელ სახალხო მეურნეობაში. ეს სჩანს იქიდან, რომ თუ კერძო სექტორის ხვედრითი წონა 1927—8 წლისათვის სახალხო მეურნეობის პროდუქციაში შეადგენდა 81,4 პროც., მეხუთე წლის დამლევისათვის ის დაიწევს 45,9 პროც., როგორც ეს გათვალისწინებულია ხუთწლიანი გეგმით. ასეთი მიღწევები გვექნება წარმოების განსაზოგადოებრივობის დარგში. კიდევ მეტი ეფექტები გვექნება ალებ-მიცემობის ანუ ვაჭრობის დარგშიაც, სადაც თავს აფარებდა დღემდე ნაწილობრივად კერძო კაპიტალი, განსაკუთრებით ცალობით ვაჭრობის სფეროში, 1927—28 წლისათვის განსაზოგადოებულ სექტორის ხვედრითი წონა ვაჭრობაში შეადგენდა 76.9 პროცენტს, კერძოსი 23,1 პროც. მეხუთე წლის დამლევისათვის მათი ურთიერთ დამოკიდებულების სურათი შეიცვლება ასე: პირველის ხვედრითი წონა შეადგენს—96 პროც., მეორესი კი მხოლოდ 4 პროც. საცალო ვაჭრობის სფეროდან კერძო კაპიტალის განდევნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს სამეურნეო ცხოვრების ისეთი დარგია, სადაც კერძო კაპიტალი სიცოცხლის მეტს ენერგიას იჩენდა დღემდე და ახერხებდა შეენარჩუნებია წარმოებასთან შედარებით მეტი ადგილი.

სოციალისტური სექტორის გაძლიერება სახალხო მეურნეობაში არამც თუ არ უარყოფს მშრომელი მასის, მუშების და მშრომელი გლეხობის სოციალურ-ეკონომიურ პირობების გაუმჯობესებას, არამედ ხელს შეუწყობს მას. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, რადგან სოციალისტური სექტორის გაძლიერება მაჩვენებელია კაპიტალისტური ელემენტების ეკონომიური შევიწროვების, რაც თავის მხრივ გულისხმობს პროლეტარულ სახელმწიფოს ეკონომიურ პოზიციების გაძლიერებას, მუშათა კლასის და მშრომელ გლეხობის ყოველწლიურ შემოსავლის გადიდების გვერდით. ამ პროცესის კონკრეტულ მაჩვენებლად ჩვენ მოგვეპოვება ისეთი ფაქტები, როგორიცაა: შრომის ხელფასის ზრდის დინამიკა, უმუშევრებისადმი სოციალური დახმარება, ყოველწლიური ხარჯების ზრდა სწავლა-განათლებასა და სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმეზე და მრავალი სხვა.

საქართველოს ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს შრომის ხელფასის საშუალოდ 25,5 პროც. ზრდას. ამავე დროს განმავლობაში უმუშევრობის წინააღმდეგ სხვადასხვა საჭიროებებზე დაიხარჯება 2.582.824 მანეთი. ასეთივე სახის თვალსაჩინო ზრდას იძლევა აგრეთვე ხარჯები სახალხო ჯანმრთელობის დაცვისათვის. საერთოდ ცნობილია ის გარემოება, რომ სახალხო ჯანმრთელობის დაცვაზე ყოველწლიურ ხარჯების ზრდა მაჩვენებელია ქვეყნის ეკონომიური პირობების გაძლიერებისა. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ასეთი ხარჯების არაჩვეულებრივ ზრდას: თუ 1928—9 წლისათვის მოსახლეობის სულზე მოდიოდა 2 მ. და 89 კ., 1932—3 წლისათვის ის შეადგენს 5 მან. და 60 კაპ.; ამავე წლებისათვის სახალხო ჯანმრთელობის დაცვის წლიური ბიუჯეტი 7.891 ათას მანეთიდან იზრდება 69.753,4 ათას მანეთამდი. ბიუჯეტის ზრდა ხუთი წლის განმავლობაში პროცენტებში უდრის 131,3.

ყოველწლიური ხარჯების ზრდის ტემპი კიდევ უფრო ძლიერია სახალხო განათლების დარგში, რაც გამოწვეულია ამ ფრონტის მნიშვნელობით და მისი დღევანდელი მდგომარეობით. სახალხო განათლების საქმეს ლენინი სთვლიდა ჩვენი რევოლუციის მესამე მნიშვნელოვან ფრონტად, რადგან მან კარგათ იცოდა, რომ სოციალიზმის მშენებლობა შეუძლებელია მშრომელი მასის კულტურული ზრდის გარეშე. მით უმეტეს დიდი მნიშვნელობა აქვს მას ნაციონალურ რესპუბლიკებისათვის. კულტურული რევოლუციის პრობლემა მჭიდროთაა დაკავშირებული პარტიის გენერალურ ხაზთან ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სახალხო მეურნეობის ტეხნიკურად და სოციალისტურ რეკონსტრუქციის საკითხებში. მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის განვითარება, ზემოთ აღნიშნულ ფარგლებში, მოითხოვს ახალ დამატებითი ცოცხალ ძალებს სხვადასხვა სახის კვალიფიკაციის მომუშავეებს. იზრდება მოთხოვნილება აგრონომებზე, ინჟენრებზე, ტეხნიკოსებზე, ტრაქტორისტებზე, კვალიფიციურ მუშებზე, 15,018 კაცის სახით, და სხვა. ამიტომ ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სპეციალური სახის სასწავლებლების რიცხვის გადიდებას, როგორც მრეწველობის, ისე სასოფლო მეურნეობის საჭიროებისათვის. არსებული ხაფაბრიკო-საქარხნო სკოლების რიცხვი გადიდებული იქნება 10 ახალი სკოლით, სასოფლო სამეურნეო სკოლებს კი მოემატება 14 სკოლა. პირველდაწყებითი განათლების საქმეს ხუთწლიან გეგმაში დათმობილი აქვს აგრეთვე დიდი ადგილი, რაც სჩანს იქიდან, რომ „სკოლაში მოსწავლე ნორმალური ასაკის (8—17) წლის ბავშთა რიცხვი მთელ საქართველოში 59,6 პროც. 1928—29 წ. 74,1 პროც. იზრდება 1932—33 წ.; პირველდაწყებითი განათლება ფართოვდება იმდენად, რომ „ხუთწლედის ბოლოს განზრახულია საყოველთაო სწავლის შემოღება ყველა ქალაქებში, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, მუშათა რაიონებში და 8 მაზრაში... „ბუნებრივია, რომ სახალხო განათლების ასეთი ფართო პროგრამა გამოიწვევს ყოველწლიურ ხარჯების ზრდას. არც ერთი სახელმწიფო პროცენტული შედარებით არ ხარჯავს თავის ბიუჯეტიდან განათლების საქმეზე იმდენს, რამდენსაც საბჭოთა ხელისუფლება. ეს სჩანს საქართველოს მაგალითზეც. მიმდინარე ხუთი წლის განმავლობაში განათლების საქმეზე დაიხარჯება სხვადასხვა წყაროებიდან 212.453 ათასი მანეთი. სახალხო განათლებაზე გაწეული ხარჯების დიდ რაოდენობას მოწმობს ის, რომ ამავე ხნის განმავლობაში, როგორც ნათქვამი იყო, კაპიტალურ დაბანდებათა რაოდენობა შეადგენს 664,613 ათას მანეთს. ასეთი დიდი ხარჯები სახალხო განათლებაზე და საერთოდ მუშების და მშრომელი მასის ეკონომიურ-სოციალურ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეზე, შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში. ის შესაძლებელია ჩვენში იმიტომ, რომ საქართველო კი არ შეადგენს უცხო ნაწილს საბჭოთა კავშირის სხეულზე, როგორც ეს იყო ძველ რუსეთში, არამედ მის თანასწორუფლებიან განუყრელ შემადგენელ ნაწილს.

საერთოდ, გაკვრით განხილულ ხუთწლიან გეგმის მიხედვით საქართველოს სახალხო მეურნეობის და საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალურ-კულტურული ზრდა საუკეთესო მაჩვენებელია ჩვენი ქვეყნის ნამდვილი, რეალური და საქმიანი დამოუკიდებლობის და არა ისეთის, რომელსაც ადგილი ქონდა ყოვლად უპასუხისმგებლო ხალხის, მენშევიკების ბატონობის დროს. მენშევიკურ „პაპებს" სიზმრათაც კი არ შეეძლოთ წარმოედგინათ საქართველოს ეკონომიური და სოციალურ კულტურული აღორძინების ის სურათი, რომლის მოწმენი დღეს ჩვენ შევიქენით. მათი ოცნებობის და მოღვაწეობის საგანს შეიცავდა იმის ცდა, თუ რა გზით გამოეწვიათ და გაეღრმავებიათ ნაციონალური შუღლი ამიერ-კავკასიის ერებს შორის, ნაცვლად იმისა, რომ ეზრუნათ მათ შორის ნაციონალურ სოლიდარობის გაძლიერებაზე, რაც შესძლო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ. სწორი ნაციონალური პოლიტიკის საუკეთესო რეალურ საფუძველს წარმოადგენს როგორც საერთოდ, ისე კერძოთ ამიერ-კავკასიისათვის ის აღორძინების პროცესი, რომელსაც ადგილი აქვს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ყველა ნაციონალურ საბჭოთა რესპუბლიკაში. მას ადგილი აქვს ჩვენს მოსაზღვრე ნაციონალურ რესპუბლიკებშიაც: აზერბეიჯანში და სომხეთში, რაც ქმნის პირობებს ამიერ-კავკასიის მრავალრიცხოვან ერების ძმურათ ცხოვრებისა, მშვიდობიან შრომისა და შემდგომი განვითარებისათვის.

ბ) ამიერ-კავკასია

იმ საკითხის გამორკვევისათვის, თუ კონკრეტიულად რა ცვლილებებს შეიტანს ხუთწლიანი გეგმა მოსაზღვრე საბჭოთა ნაციონალურ რესპუბლიკებს. აზერბეიჯანის და სომხეთის ეკონომიურ-კულტურულ ვითარებაში, სიმარტივის მიზნით განვიხილავთ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს ნაწილის, მრეწველობის პერსპექტიულ გეგმას მთლიანად ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების ხუთწლიან გეგმის მაგალითზე.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ძველი რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა იმდენად ხელს უშლიდა და გასაქანს არ აძლევდა ამიერ-კავკასიის მრეწველობის განვითარებას, რომ მისი ხვედრითი წონა რუსეთის იმპერიის მრეწველობაში უმნიშვნელო იყო. ასეთი მდგომარეობის რადიკალურად შეცვლას საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირობებში მოწმობს ამიერ-კავკასიის მრეწველობის დღევანდელი მდგომარეობა, რევოლუციამდის არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, და მისი განვითარების მასშტაბი მიმდინარე წელში. მიღწევები, რომლებსაც ადგილი ექნება ამიერ-კავკასიის მრეწველობის განვითარების საქმეში, ხუთწლიან გეგმის განხორციელების საფუძველზე, გვიჩვენებენ, რომ სწრაფი ტემპით ტარდება ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, შედარებით უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე კავშირში საერთოდ, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის გადაქცევა ინდუსტრიალურ რაიონად. საბჭოთა კავშირის მრეწველობასთან პროცენტული შედარებით ამიერ-კავკასიის მრეწველობა იზრდება თითქმის ორჯერ უფრო მეტად, რაც უზრუნველყოფს მას, რომ ახლო მომავალისათვის ამიერ-კავკასია გახდეს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ინდუსტრიალური რაიონი.

ამიერ-კავკასიის მრეწველობამ აღდგენის პერიოდი ადრე განვლო, ვიდრე კავშირისამ მთლიანად. 1926—7 წლისათვის მისი დონე გაცილებით უფრო მაღალი იყო, ომამდის არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, მაგრამ სწორი ეკონომიური პოლიტიკის უფრო მეტად დამახასიათებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ აღდგენის პერიოდის განმავლობაში ადგილი ქონდა ამიერ-კავკასიის მრეწველობაში ახალ საწარმოო დაწესებულებათა მშენებლობას ისეთი ფართე პროგრამით, რომ ჯერ კიდევ 1923—24 სამეურნეო წლის დამლევისათვის. სამრეწველო დაწესებულებათა 18 პროც. მოდიოდა ახლად აშენებულ ნაწილზე. ამით აიხსნება ამიერ-კავკასიის მრეწველობის პროდუქციის ღირებულების რამოდენიმეჯერ მეტი რაოდენობა, ომამდის არსებულ რაოდენობასთან შედარებით. მაგ., 1912 წელს ამიერ-კავკასიის მრეწველობის საერთო წლიური პროდუქციის ღირებულება არ აღემატებოდა 57,9 მილიონ მანეთს, მაშინ როდესაც 1927—8 წლისათვის ის შეადგენდა 145,994 მილიონ მანეთს, 1932—33 წლისათვის კი მიაღწევს 498,715 ათას მანეთს, მრეწველობის ასეთი გაძლიერება პირდაპირი შედეგია იმ დიდი კაპიტალური დაბანდებების, რომლებსაც ადგილი ქონდა ამ უკანასკნელ წლებში და ექნება მიმდინარე ხუთი წლის განმავლობაშიაც.

ამიერ-კავკასიის მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს კაპიტალურ დაბანდებათა საკმაოდ დიდ რაოდენობას. სულ ხუთი წლის განმავლობაში მხოლოდ მსხვილ, ცენზიან მრეწველობას მოხმარდება 282,5 მილიონი მანეთი, რომელიც რესპუბლიკებს შორის ნაწილდება შემდეგნაირად:

აზერბეიჯანს („აზნეფტის" გარეშე)	90,4 მილ. მან.—32%
სომხეთს	68,1 „ „ —24%
საქართველოს	115,5 „ „ —41%
ა.-კ. ბამბის მეურნეობას	8,5 „ „ — 3%

ამიერ - კავკასიის მრეწველობის განვითარების ხასიათი სჩანს კაპიტალურ დაბანდებათა განაწილებიდან თვით მის შემადგენელ ნაწილებს შორის. პირველ ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს, რომ კაპიტალურ დაბანდებათა მთელი რაოდენობის 69,6 პროც. დახარჯული იქნება ახალ საწარმოო დაწესებულებათა შექმნაზე, დანარჩენი კი მოხმარდება არსებულის რეკონსტრუქციას. ამიერ - კავკასიის ინდუსტრიალურ განვითარების პოლიტიკის გატარებას კი მოწმობს კაპიტალურ დაბანდებათა განაწილების ხასიათი მსხვილ და მსუბუქ მრეწველობას შორის. მძიმე ინდუსტრიაზე დახარჯული იქნება მთელი კაპიტალური დაბანდების 66 პროც., მსუბუქზე 34 პროც. ცალკე თუ ავიღებთ სხვადასხვა საწარმოო დარგებს, დავინახავთ, რომ ყველაზე მეტი დახარჯული იქნება ლითონის მრეწველობაზე, რომლის მნიშვნელობაზე მთელ სახალხო მეურნეობისათვის ჩვენ არ შევჩერდებით, რადგან ეს ისედაც გასაგებია. მაზე გაწეულ ხარჯების რაოდენობა მიმდინარე ხუთი წლის განმავლობაში შეადგენს 61,4 მილიონ მანეთს, ე. ი. მთელ კაპიტალურ დაბანდებათა 21 პროც.-ს. შემდეგ მიდის საფეიქრო წარმოება, რომელზედაც დახარჯული იქნება 53,8 მილ. მან., ე. ი. მრეწველობაში კაპიტალური დაბანდებათა რაოდენობის 18,9 პროც. გემო-კვების დარგზე 38,8 მილ. მან., ე. ი. 13,6 პროც., სათბობი მასალის 31.4, ე. ი. 11 პროც., სამთამადნო მრეწველობაზე 16 მილ. მან., ე. ი. 5,6 პროც., საამშენებლო მასალაზე —17,8 მილ. მან.—6.22 პროც., სატყეოზე—28,4 მილ. მან. —10 პროც., ქიმიურ მრეწველობაზე—14 მილ—4,9 პროც.

მრეწველობის აღნიშნულ საამშენებლო პროგრამის განხორციელებას შესაფერი ცვლილებები შეაქვს მის ძირითად ფონდების მდგომარეობაში, როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის მხრივ. მეხუთე წლის დამლევისათვის სამივე რესპუბლიკის მრეწველობის ძირითადი ფონდი შეადგენს 334,221 ათას მანეთამდი; 1927—8 წლისათვის კი არ აღემატებოდა 119.494 ათას მანეთს. ზრდა უდრის, ამრიგად, 214.927 ათას მანეთს. მრეწველობის ძირითად ფონდების ასეთი დიდი რაოდენობით ზრდა საგრძნობლად სცვლის მის ხვედრითი წონას მთლიანად სახალხო მეურნეობის ძირითად ფონდებში, რაც ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალური განვითარების საუკეთესო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. მეხუთე წლის დასასრულისათვის იცვლება აგრეთვე ფონდების სტრუქტურა თვით მრეწველობის შემადგენელ ნაწილებს შორის, რაც სჩანს იქიდან, რომ მძიმე ინდუსტრიის ძირითადი ფონდები იზრდება მსუბუქი მრეწველობის ფონდების შედარებითი შემცირების საფუძველზე. ამ მხრივ ახლანდელი მდგომარეობა შეიცვლება, მაგ. ასე:

	ძირითადი ფონდები 1927—28 წ. დასაწყისისათვის		ძირითადი ფონდები 1932—33 წ. დასაწყისისათვის	
	ფონდები (ათასი მან.)	ხვედრითი წონა პროც.	ფონდები ათ. მან.	ხვედრითი წონა პროც.
გემო-კვების წარმოება	38,558	32,3	70,008	20,0
საფეიქრო	33.942	28,4	84,086	25,2
ლითონის	12,041	10,1	46.931	14,0
სატყეო	9,283	7,8	31.596	9,5

როგორც გვიჩვენებს მოყვანილი ცხრილი, ისეთი წარმოება, როგორიცაა გემო-კვების და საფეიქრო, ძირითად ფონდებში შედარებით მცირდება, მხოლოდ ლითონის კი, რომელიც მძიმე ინდუსტრიის ქვაკუთხედს წარმოადგენს, შედარებით ძლიერდება. გემო-კვების წარმოების დარგის ხვედრითი წონა მცირდება 32,3 პროც. ან 20,9 პროც., მისი აბსოლუტურ ზრდასთან ერთად; საფეიქროს—28,4 პროც. 25,2 პროც.; ლითონის წარმოების დარგის ძირითადი ფონდის ხვედრითი წონა იზრდება 10,1 პროც. ან 14 პროც. ამრიგად, მრეწველობის წლიური პროდუქციის და ძირითადი ფონდების ზრდა ისეთი დიდი რაოდენობით ხდება, რომ ის სცვლის ამიერ-კავკასიის სამეურნეო ცხოვრების ხასიათს მრეწველობის გაძლიერების ხაზით. თუ ეს უკანასკნელი 1927—8 წლისათვის ამიერ-კავკასიის მთელ სახალხო მეურნეობაში შეადგენდა თავისი ხვედრითი წონით 41 პროც., ხუთი წლის ბოლოსათვის ის შეადგენს 49 პროც.

აქედან ადვილია დასკვნის გაკეთება, რომ ამიერ-კავკასია თავისი სამეურნეო მდგომარეობის მნიშვნელობით ხდება დიდი კავშირის განუყრელი შემადგენელ ნაწილად, რადგან ის კი აღარ წარმოადგენს მხოლოდ გამსაღებელ ბაზარს, როგორც ეს იყო მის კოლონიალურ მდგომარეობის პირობებში ცარიზმის ბატონობის დროს, არამედ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინდუსტრიალურ ქვეყანას. დღეს ყველასათვის აშკარა შეიქნა, რომ მხოლოდ ინდუსტრიალურ განვითარებას შეუძლია ამიერ-კავკასიის მრავალრიცხოვან ერების მშრომელი მასის თავისუფალი გამოყვანა ისტორიულ განვითარების ფართე გზაზე, მხოლოდ მას შეუძლია განამტკიცოს მათ შორის ნაციონალური მშვიდობიანობა. აღნიშნული მიღწევები ამიერ-კავკასიის მრეწველობის განვითარების საქმეში, რაც ერთ ნაწილს შეიცავს იმისას, რაც გაკეთებული იქნება ხუთი წლის განმავლობაში, სასიკვდილო ლახვარს სცემს დამარცხებულ კონტრ-რევოლუციონერთა ხროვის ნაშთებს, მენშევიკებს, მუსავატისტებს და დაშნაკელებს, რომლებსაც თავიანთ ბატონობის მთელი დროის განმავლობაში გამცემლობის, მშრომელი მასის ურთიერთ გადამტერების, დარბევის და ხოცვა-ჟლეტის გარდა არაფერი არ გაუკეთებიათ.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ნაციონალურ რესპუბლიკების სამეურნეო განვითარების მაგალითზე დავინახეთ თუ რამდენად დიდია საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის როლი ნაციონალურ რესპუბლიკების აღორძინების საქმეში. ნაციონალურ რესპუბლიკების ეკონომიური და სოციალ-კულტურული აღორძინება თავისი მნიშვნელობით ისტორიული საქმეა, რადგან პირველად კაცობრიობის ისტორიაში დიდი ერის დახმარებით და ხელმძღვანელობით პატარა ერები პოულობენ პირობებს თავისუფალ განვითარებისათვის, მაგრამ ეს მოვლენა გაკვირვებას არ გამოიწვევს, თუ გავითვალისწინებთ, რომ დღევანდელი რუსეთი ძველი რუსეთი აღარ არის, რუსეთი გუჩკოვების, მილიუკოვების, ჩერნოვების და წერეთლების, არამედ ის მუშების და მშრომელი გლეხობის რუსეთია. ნაციონალური რესპუბლიკების მუშათა კლასი სოციალიზმის დიად მშენებლობის ფერხულში ჩაება რუსეთის რევოლუციონურ პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, რაც თავდებია იმისა, რომ ეს ამოცანა დადებითად იქნება გადაჭრილი საერთო ძალღონით.

7. ბრძოლა ხუთწლიან გეგმის განხორციელებისათვის

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უკვე შეუდგა ხუთწლიან გეგმის პრაქტიკულად განხორციელებას. სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმა თანდათანობით, მილიონების ყოველდღიურ შემოქმედების პროცესში ჩაბმით რეალურ საქმედ ხდება. ხუთწლიან გეგმის განხორციელებისათვის მუშათა კლასს უხდება იბრძოლოს რამოდენიმე ფრონტზე, როგორიცაა: შრომის ნაყოფიერე-

---

*) დ[illegible]ული. იხ. „კომუნისტი" №№ 183, 184 და 192.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ახალი ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფა

მთავრობის მიერ დამტკიცებული საბოლოო ვარიანტი

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფის დამტკიცებისა და ახალი ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულების მოწყობის წესის შესახებ

საქართველოს სსრ-ის ახალი ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფის შესახებ 1929 წლის ივლისის 11-ის თარიღით გამოცემული (საქართველოს სსრ კან. კრებ. 1929 წ. მე-16 №-რი, მუხ. 168) დადგენილების დასამატებლად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფა ამ დადგენილებასთან დართული განრიგების თანახმად (დანართი № 1).

2. დაწყებულ იქნეს განრიგებაში აღნიშნული ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულებისა და ხელისუფლების სათანადო ადგილობრივი ორგანოების მოწყობა.

3. წინადადება მიეცეს აჭარისტანის ავტონომიურ სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ახალი ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფის განმახორციელებელ თბილისისა, კახეთისა, გორისა და ქუთაისის კომისიებს და აგრეთვე ახალციხისა, ახალქალაქისა, ოზურგეთისა, სენაკისა და ზუგდიდის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს დანიშნონ ახალი ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფის ჩატარებისათვის სარაიონო რწმუნებულნი, რომელნიც განახორციელებენ ადგილობრივ საჭირო საორგანიზაციო ღონისძიებებს და ხელმძღვანელობას გაუწევენ ახალი დარაიონების მიზნებისა და მნიშვნელობის თაობაზე ახსნა-განმარტების კამპანიის ჩატარების საქმეს.

4. საბჭოთა არჩევნებამდე დადგენილ იქნეს შემდეგი წესი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მოწყობისა.

ა. სასოფლო—საბჭოების მოწყობა

ა) უკეთუ თემის ტერიტორია შეესაბამება მოსაწყობი სასოფლო-საბჭოს ტერიტორიას, სათემო საბჭო გარდაიქმნება სასოფლო საბჭოდ, თანაც, ამ შემთხვევაში, სათემო საბჭოს ყველა წევრი შედის ახლად მოსაწყობი სასოფლო საბჭოს შედგენილობაში მისი წევრის სახით.

ბ) უკეთუ თემის ტერიტორიაზე მოქმედობდა ერთი ან რამდენიმე სასოფლო საბჭო, რომელიც მოწყობილი იყო საქართველოს სსრ ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 64 მუხლის 1-ლი შენიშვნის თანახმად, ასეთი სასოფლო-საბჭოები გაუქმებულ უნდა იქნეს და მათი წევრები შევლენ ახლად მოსაწყობი სასოფლო საბჭოს შედგენილობაში;

გ) უკეთუ თემის ტერიტორიაზე მოეწყობა ორი ან რამდენიმე სასოფლო საბჭო, თვითეული ამ სასოფლო საბჭოთაგან მოეწყობა გასაუქმებელი სათემო საბჭოს წევრებისაგან მათი არჩევის ტერიტორიალური ნიშნის მიხედვით;

დ) ახლად მოწყობილი სასოფლო საბჭო აირჩევს პრეზიდიუმს სამი წევრისა და ორი მათი კანდიდატის შემდგენილობით.

ბ. ხელისუფლების სარაიონო ორგანოების მოწყობა

ა) სარაიონო საბჭოთა ყრილობა მოეწყობა სასოფლო საბჭოების მიერ არჩეული დელეგატებისაგან იმ ვარაუდით, რომ ერთი დელეგატი მოდიოდეს 800 მცხოვრებზე;

ბ) სარაიონო საბჭოთა ყრილობა აირჩევს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს წევრთა რიცხვით 17-დან 25-მდე, ხოლო მათი კანდიდატების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს წევრთა რიცხვის ერთ მესამედს;

გ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი აირჩევს პრეზიდიუმს წევრთა რიცხვით 5-დან 7-დე და სამ კანდიდატს.

გ. ხელისუფლების საოლქო ორგანოების მოწყობა

ა) ახლად მოსაწყობ ოლქებში საბჭოთა საოლქო ყრილობები არ მოიწვევა;

ბ) გორისა და კახეთის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტები და მათი პრეზიდიუმები გარდაიქმნებიან საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებად და მათ პრეზიდიუმებად;

გ) თბილისის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი მოეწყობა თბილისისა და ბორჩალოს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების წევრებისაგან;

დ) ქუთაისის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი მოეწყობა ქუთაისის, შორაპნის და რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების წევრებისაგან;

ე) თბილისის და ქუთაისის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტები აირჩევენ პრეზიდიუმებს წევრთა რიცხვით არა უმეტეს 21 კაცისა და არა უმეტეს მათი 7 კანდიდატისა.

5. წინადადება მიეცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს მოიწვიონ სარაიონო საბჭოთა ყრილობები არა უგვიანეს 1929 წ. სექტემბრის 15-სა.

თბილისისა და ქუთაისის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტების პლენუმები მოწვეულ იქნეს არა უგვიანეს 1929 წლის სექტემბრის 1-სა.

6. გორისა და კახეთის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს 1929 წ. ოქტომბრის 1-დან ეწოდოს გორისა და კახეთის ოლქის აღმასრულებელი კომიტეტები.

7. წინადადება მიეცეს სათანადო ორგანოებს დაამტკიცონ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების შტატები და ჯამაგირები ამ დადგენილებასთან დართული ტიპიური შტატების თანახმად (დანართი №№ 2 და 3).

საოლქო აღმასრულებელი კომიტეტების შტატები და ჯამაგირები დამტკიცებულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი საერთო წესისამებრ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ—**ს. თოდრია.**

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—**მ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ— **დ. ქუჩულორია.**

1929 წ. აგვისტოს 23.
თბილისი-სასახლე.

დანართი № 1.

განრიგება

საქართველოს სოც საბჭ. რესპუბლიკის ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფისა

1. კახეთის ოლქი

(ცენტრი დაბა გურჯაანი)
შეიცავს შემდეგ რაიონებს:

1. **თელავის** (ცენტრი ქ. თელავი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: თელავის, წინანდლის, აკურის, ზემო-ხოდაშენის, იყალთოს, ქისტაურის, ფშაველის, ნაფარეულის, ახმეტის, ძატანის, ზემო-ალვანის, ჯოყოლას და მთა-თუშეთის

2. **გურჯაანის** (ცენტრი დაბა გურჯაანი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: გურჯაანის, ბაკურ-ციხის, ველისციხის, ახაშენის, კარდენახის, ყანდაურის, ბოგდანოვკის, ჭერემის, არაშენდას, ითო-მულანლოს და შაშიანის.

3. **ყვარელის** (ცენტრი ს. ყვარელი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ყვარელის, შილდის, ენისელის, ახალ-სოფლის, ხაშალხუტის, და ახალგავაზის.

4. **ლაგოდეხის** (ცენტრი დაბა ლაგოდეხი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ლაგოდეხის, მიხაილოვკის, ყარსუბნის, ვარდისუბნის, ბაისუბნის, კაბალის, აფენის და ლელიანის.

5. **სიღნაღის** (ცენტრი ქ. სიღნაღი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: სიღნაღის, ნუკრიანის, ბოდბისხევის, მაღაროს, ულიანოვკის, ბოდბის, საქობოს, ანაგის, ვაქირის, ჯუგაანის, ტიბაანის, ძველ-ანაგის, მირზაანის, არბოშიკის, ზემო-მაჩხაანის, ქვემო-მაჩხაანის, წითელ-წყაროს, ზემო-ქედის და წითელ საბათლოს.

2. თბილისის ოლქი

(ცენტრი ქ. თბილისი)
შეიცავს შემდეგ რაიონებს:

1. **თბილისის** (ცენტრი ქ. თბილისი), რომელშიაც შედის საბჭოები: დიღომის, ავჭალის, ლილოს, მარტყოფის, წყნეთის, კოჯორის, ბეთანიის, ყარაიას, კოდის და თელეთის.

2. **გარეკახეთის** (ცენტრი დაბა საგარეჯო), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: საგარეჯოს, მანავის, კაკაბეთის, მალხაზოვკის, პატარძეულის, სართიჭალის, ხაშმის, ბოჭორმის და გომბორის.

3. **ერწო-თიანეთის** (ცენტრი დაბა თიანეთი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ქვემო-თიანეთის, ზემო-თიანეთის, ართანის, საყარაულოს, და ერწოს.

4. **მცხეთის** (ცენტრი დაბა მცხეთა), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: მცხეთის, ნატახტარის, მუხრანის, საგურამოს და ძეგვის.

5. **დუშეთის** (ცენტრი ქ. დუშეთი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: დუშეთის, ბაზალეთის, გრემისხევის, მჭადიჯვრის, ჭოპორტის, ჟინვალის, ანანურის, ფასანაურის, გუდამაყარის, მლეთის, მაღაროს-კარის, უკანაფშავის, ბარისახოს, ბაცალიგოს, არხოტის და შატილის.

6. **ხევის** (ცენტრი დაბა ყაზბეგი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ყაზბეგის, ახალციხის, კობის და თრუსოს.

7. **მანგლისის** (ცენტრი დაბა მანგლისი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: მანგლისის, პრიუტის და შეხვეტილის.

8. **წალკის** (ცენტრი ს. გუნია-ყალა), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ზემო-წალკის, ქოშურის, ქვემო-წალკის, როზენბერგის, ბეშთაშენის, ბრუცევან-სარვანის და კლდეისის.

9. **თეთრი-წყაროს** (ცენტრი დაბა თეთრი წყარო-ალბულახი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: თეთრი წყაროს, ირაგვის, დუმანისის, ასურეთის, ბოგვის და წინ-წყაროს.

10. **ბაშკიჩეთის:** (ცენტრი დაბა ბაშკიჩეთი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ბაშკიჩეთის, გომარეთის, დემურ-ბულახის, ყარაბულახის, ამამლოს, დმანისის და კოშკათალის.

11. **ლიუქსემბურგის** (ცენტრი ქ. ლიუქსემბურგი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ლიუქსემბურგის, ქვეშის, ბოლნის-ხაჩინის, ბოლნის-ყოფანახჩის და იმირ-ხსნარის.

12. **ბორჩალოს** (ცენტრი სოფ. სარვანი) რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: სარვანის, დემურჩი-ჰასანლის, გიაურ-არხის, ბაიდარის, ტრაუბენბერგის, აშაგა-სარალის, ქაჩაგანის, ხოჯორნის, სადახლოს, ოფრეთის, სარაჩლოს და შაუმიანის.

3. გორის ოლქი

(ცენტრი ქ. გორი)
შეიცავს შემდეგ რაიონებს:

1. **ბორჯომის** (ცენტრი ქ. ბორჯომი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ბორჯომის, დვირის, ახალდაბის, წაღვერის, გუჯარეთის, ბაკურიანის და ციხის-ჯვარის.

2. **ხაშურის** (ცენტრი ქ. ხაშური), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ხაშურის, ღუდის, ქვიშხეთის, სურამის, ალის, საციხურის, გომის, ხცისის, ავლევის, ზღუდერის და გვერძინეთის.

3. **გორის** (ცენტრი ქ. გორი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: გორის, ხელთუბნის, სკრის, ატენის, ახალსოფლის, ბობნევის, რეხის, მეჯვრისხევის, ტყვიავის, დიცის; რუისის, შინდისის, დირბის და ქარელის.

4. **კასპის** (ცენტრი სოფ. კასპი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: კასპის, ქვემო-ჭალის, გოსტიბეს, ლამისყანის, წითელ-ქალაქის, მეტეხის, ხოვლეს და კავთისხევის.

4. ქუთაისის ოლქი

(ცენტრი ქ. ქუთაისი)
შეიცავს შემდეგ რაიონებს:

1. **სამტრედიის** (ცენტრი ქ. სამტრედია), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: აბაშის, საჯავახოს, ოფეთის, გომის, ბაშის, დიდი-ჯიხაიშის, იანეთის, ეწერის, კულაშის და დანირის.

2. **ვანის** (ცენტრი დ. ვანი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ტობანიერის, საპაიჭაოს, დვალიშვილების, ვანის, ამაღლების, უხუთის, საპრასია-რომანეთის და გორას.

3. **ბაღდათის** (ცენტრი დ. ბაღდათი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: როხის, წითელ-ხევის, ბაღდათის, ზეგანის, საკრეულის, ზეკარის, ხანის და ობჩის.

4. **ქუთაისის** (ცენტრი ქ. ქუთაისი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ნამახვანის, ოფურჩხეთის, რიონის, წყალტუბოს, მაღლაკის, ქვიტირის, ფარცხანაყანევის, მუხიანის, პატრიკეთის, საყულიის, გოდოგანის, ჭოგნარის და ნახშირ-ღელეს.

5. **ხონის** (ცენტრი ქ. ხონი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ქუტირის, გუბის, კუხის, ნახახულევის, ცხუნკურის, გორდის, კინჩხის, გოჩა-ჯიხაიშის და ქ. ხონის.

6. **ოკრიბის** (ცენტრი სადგ. ორპირი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: დღნორისის, გურნის, მანდიკორის, კურსების, ორპირის, ხრესილის, საწირეს და ტყიბულის.

7. **ზესტაფონის** (ცენტრი ქ. ზესტაფონი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: საქარის, ქვედა-საზანოს, დილიკაურის, ბოსლევის, შროშის, ძირულის, შორაპნის, კლდეეთის, სვირის, როდინოულის და ქ. ზესტაფონის.

8. **ჩხარის** (ცენტრი დაბა ჩხარი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ჩხარის, თერჯოლას, ზედა-საზანოს, თუზის, თავასის, მუხურის, ქვედა-სიმონეთის და ზედა-სიმონეთის.

9. **ხორაგოულის** (ცენტრი დაბა ხორაგოული), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ლაშე-ღვერკი, კიცხის, ლეღვან-მარელისის, ხორაგოულის, ბორითი ხუნევის, მოლითის და წიფას.

10. **ჭიათურის** (ცენტრი ქ. ჭიათურა), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: კაცხის, ქვაციხის, ხრეითის, რგანის, წირქვალის, პერევისას, მერევის და ჩხიროულის.

11. **საჩხერის** (ცენტრი დაბა საჩხერე), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: საჩხერის, ცხომარეთის, ჭალის, ქორეთის, არგვეთის, კორბოულის, ჩხონთოს და ლიჩის.

12. **ონის** (ცენტრი ქ. ონი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ღების, ჭიორის, გლოლის, ნაკიეთის, ონის, საკაოს, წედისის, ღაშქევის, ცხმორის, ზვარეთის, შქმერის, სორის, ბარის, ფარახეთის, ბრავალძალის, უწერის და ქ. ონის.

13. **ამბროლაურის** (ცენტრი დაბა ამბროლაური), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ურავის, ლიხეთის, წესის, სამთისის, ამბროლაურის, სხვანის, ზნაკვის, ნიკორწმინდის, ჭელიაღელის, ველევის, სადმელის, კრიხის, შრომის, თლუღის, წკადისის და კაჩაეთის.

14 **ჭრებალოს** (ცენტრი დაბა ჭრებალო), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ალპანის, ჭყვიშის, ცახის, ლადიშის, პატარა ონის, ნამანევის, ბუგეულის, ხვანჭკარის, ტვიშის; მექვენის, ჭრებალოს, დვარდიის, ბარეულის და ხონჭიორის.

15. **ცაგერის** (ცენტრი ქალ. ცაგერი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ცაგერის, წიფერჩის, ოყურეშის, ლაძგვერიის, ზუბის, ლვირიშის, დეხვირის, ორბელის, ნაკურალეშის და ლაილაშის.

16. **ქვემო-სვანეთის** (ცენტრი სოფ. ჭველიერი); რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ლენტეხის, ჩოლურის და ლაშხეთის.

5. ახალქალაქის მაზრა

(ცენტრი ქ. ახალქალაქი)
შეიცავს შემდეგ რაიონებს:

1. **ახალქალაქის** (ცენტრი—ქ. ახალქალაქი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ახალქალაქის, არაგვის, ქილდის, კარწახის, ნავეთის, ხერთვისის, ოკამის, ხიზაბავრის, ალასტანის, ბარალეთის, კოჩიოს, კულიკამის, ბურნაშეთის, გოგაშენის და სულდის.

2. **გარელოეს** (ცენტრი დაბა გარელოე), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ხოჯაბეგის, გარელოეს, თავფარავანის, განძის, სათხის, ეშტიის და კონდურის.

6. ახალციხის მაზრა

(ცენტრი ქ. ახალციხე)
შეიცავს შემდეგ რაიონებს:

1. **ახალციხის** (ცენტრი ქ. ახალციხე), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ვალეს, ახალციხის, ურაველის და აწყურის.

2. **ბენარის** (ცენტრი სოფ. ბენარა), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: უდეს, ადიგენის, ვარხანის და ჭეჭლის.

3. **ტოლოშის** (ცენტრი ს. ტოლოში), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ასპინძის, ზველის, ტოლოშის, შალოშეთის და ნიალა-ლეპისის.

7. სენაკის მაზრა

(ცენტრი ქ. სენაკი)
შეიცავს შემდეგ რაიონებს:

1. **სენაკის** (ცენტრი ქ. სენაკი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: თეკლათის, ქვედა-თეკლათის, ქვემო-ჭალადიდის, ზემო-ჭალადიდის, ხორშის, ზანის, ნოსირის, ძველ-სენაკის, ეკის, გეჯეთის, ნოქალაქევის, უშაფათის, ფოცხოს, ლეძაძამეს და ქ. სენაკის.

2. **აბაშის** (ცენტრი დაბა აბაშა), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ახალ-აბაშის, ძველ-აბაშის, სუჯუნის, გულეიკარ-კეთილარის, ნაესაკაოს, მარანის, ქოლობნის, გეზათ გულუხეთის, სამიქაოს, სეფიეთის, ონტოფოს და წყემის.

3. **მარტვილის** (ცენტრი დაბა მარტვილი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: მარტვილის, ნაგვაზაოს, ჯოლო-აბედათის, ხუთსოფლის (ნახუნოოს), გაჭედილის, ხუნწის, სალხინოს, კურზუს, კიწიის, დიდი-ჭყონის, თამაკონის, ბანძის და ლეხაინდრაო-ონოღიის.

8. ზუგდიდის მაზრა

(ცენტრი ქ. ზუგდიდი)
შეიცავს შემდეგ რაიონებს:

1. **ზუგდიდის** (ცენტრი ქ. ზუგდიდი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ანაკლიის, დარჩელის, კოკის, კახათის, ოქტომბრის (ცაიშის-კახათის), დიდი-ნეძის, ორულეერგეთის, ცაიშის, ზუგდიდის, ნიკოსიის, ტყაია—ბეჟას-ღალის, კორცხელის, ყულისკარის, ჭაქვინჯის, ჯიხაშ-კარის, აბასთუმანის და ქ. ზუგდიდის.

2. **ხობის** (ცენტრი დაბა ხობი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ახალ-ხორგის, ხორგის, ხობის, ხეთის, ნოჯიხევის, ქვალონის, ხიბულის და საჯიჯაოს.

3. **წალენჯიხის** (ცენტრი დაბა წალენჯიხა), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ობუჯის, წალენჯიხის, ჯგალის, საჩინოს, ლიის, ჯვარის, ფახულანის და ჭალეს.

4. **ჩხოროწყუს** (ცენტრი ს. ჩხოროწყუ), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ჩხოროწყუს, ახუთის, ჭოლას, ნაფიჩხოვის, მუხურის, ხაბუმეს, ლესიჭინეს და კირცხის.

9. ოზურგეთის მაზრა

(ცენტრი ქ. ოზურგეთი)
შეიცავს შემდეგ რაიონებს:

1. **ოზურგეთის** (ცენტრი ქ. ოზურგეთი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ნატანების, შრომის, ხვარბეთის, გურიანთის, ჯუმათის, სილაურის, ძიმითის, ოზურგეთის, დვაბზუს, ბახვის, შემოქმედის, ლიხაურის, მაკვანეთის, აკანის ნაგომრის და ქ. ოზურგეთის.

2. **ჩოხატაურის** (ცენტრი დაბა ჩოხატაური), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ზომლეთის, ამაღლების, ჩოხატაურის, ხიდის-თავის, ერკეთის, ხევის, ბუკის-ციხის, დიდი-ვანის, შუა-სურების, ზემოთავსურების, კოხნარის, ზემო-ხევის, საჭამია-სერის, ჯვარცხმის, ბუკნარის და ქვაბღა-ნაბეღლავის.

3. **ლანჩხუთის** (ცენტრი ქ. ლანჩხუთი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: სუფსის, ჩოჩხათის, ნინოშვილის, ნიგვზიანის, ჯურუყვეთის, ჩიბათის, ლანჩხუთის, შუხუთის, ნიგოითის, აცანის, მამათის, აკეთის და ლესა-ჭინათის.

10. აჭარისტანის ავტონ. ს.ს. რესპუბლიკა

(ცენტრი ქ. ბათომი)
შეიცავს შემდეგ რაიონებს:

1. **ხულოს** (ცენტრი დაბა ხულო), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ღორჯომის, ხულოს, დიდი-აჭარის, დოიკნისის, ოლადაურის, წაბლანის, სიხოძირის, უამფის, ჭვანის და ინწკვირეთის.

2. **ქედის** (ცენტრი დაბა ქედა), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ქედის, ზენდიდის, ცხრომირისის და მერისის.

3. **ბათომის** (ცენტრი ქ. ბათომი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: მახუნწეთის, აჭარის-აღმართის, ჩხუტუნეთის, გონიოს, ორთა-ბათომის, მახინჯაურის და კახაბრის.

4. **ქობულეთის** (ცენტრი დაბა ქობულეთი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ქობულეთის, ჭახათის, ლეღვას, ჩაქვის და დაგვის.

დანართი № 2.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ტიპიური შტატები და ჯამაგირები

№№ რიგზე	თანამდებობის სახელწოდება	I კატეგორია		II კატეგორია		III კატეგორია	
		საშტატო ერთეულთა რიცხვი	თვიური ჯამაგირი	საშტატო ერთეულთა რიცხვი	თვიური ჯამაგირი	საშტატო ერთეულთა რიცხვი	თვიური ჯამაგირი
1	თავმჯდომარე	1	150	1	150	1	150
2	მოადგილე (იგივე საადგილ-მამულო ნაწ. გამგე)	1	125	1	120	1	100
3	მდივანი	1	100	1	90	1	80
4	ინსტრუქტორ-ორგანიზატორი	1	120	1	120	—	—
5	საქმისმწარმოებელი	1	42	1	42	1	42
6	მანქანით გადამწერი	1	42	1	42	1	42
7	საფინანსო ნაწილის გამგე (იგივე ბუხჰალტერი)	1	150	1	130	1	120
8	ბუხჰალტერი	1	120	—	—	—	—
9	ბუხჰალტერის თანაშემწე	1	80	1	80	1	80
10	მონგარიშე	2	60	1	60	1	60
11	მოლარე	1	60	1	60	—	—
12	ფინანსთა აგენტი	3	45	2	45	—	—
13	სახალხო განათლების ინსტრუქტორი	1	150	1	120	1	120
14	ტეხნიკოსი	2	150	1	150	—	—
15	ფიზ. კულტ. ინსტრუქტორი	1	50	—	—	—	—
16	რაიონის სტატისტიკოსი	1	60	1	60	1	60
17	საალრიცხვო-სამხედრო მაგ. გამგე	1	60	1	60	1	60
18	მილიციის უფროსი	1	80	1	80	1	80
19	მილიციის საქმისმწარმოებელი	1	42	1	42	1	42
20	დარაჯი - შიკრიკი	1	30	1	30	1	30
21	მეეტლე	1	35	1	35	—	—

II. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება რაიონები მოსახლეობით არა ნაკლებ 40—50 ათასი სულისა, რომელთა ტერიტორიაზედაც არის შტატგარეშე ქალაქები და რომელთაც აქვთ შედარებით განვითარებული კომუნალური მეურნეობა, საწარმონი და საკუთარი ეკონომიური ბაზა, რაც რაიონს შესაძლებლობას აძლევს შექმნას ადგილობრივი ბიუჯეტი მისი უდეფიციტო და ბალანსების საფუძველზე.

ასეთ რაიონებს მიეკუთვნება: ბორჯომის, ხაშურის, თელავის, სიღნაღის, სამტრედიის, ხონის და ჭიათურის რაიონები.

III. მეორე კატეგორიას მიეკუთვნება რაიონები მოსახლეობით არა ნაკლებ 30—40 ათასი სულისა, რომელთა ტერიტორიაზედაც არის შტატგარეშე ქალაქები სუსტად განვითარებული კომუნალური მეურნეობით, ან და რაიონები, რომელშიაც არ შედის ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილები, ხოლო რომლის სოფლის მოსახლეობაც 40—45 ათას სულზე ნაკლები არ არის და რომელსაც ამასთანავე აქვს განვითარებული ეკონომიური, სავაჭრო და კულტურული ცენტრი და შეუძლიან საკუთარი ადგილობრივი საშემოსავლო წყაროების სახსრით დაფარონ ადგილობრივი მოსახლეობის უმთავრესი და ძირითადი კულტურულ-სამეურნეო მოთხოვნილების ხარჯები.

შენიშვნა: პირველი ორი კატეგორიის სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის შტატი, გარდა აღნიშნულ თანამდებობათა, უკიდურესი საჭიროების დროს და თვითეულ, ცალკე შემთხვევაში საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული დადგენილებით,—შეიძლება ჩარიცხულ იქნეს დამატებითი თანამდებობანი სტატისტიკოსებისა, ფინანსთა აგენტებისა, მოანგარიშეებისა და ტეხნიკოსებისა, ხოლო მათი საერთო რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს იმ საშტატო ერთეულთა რაოდენობას, რაც ადმინისტრატიულ-სამეურნეო ერთეულის აპარატში დარაიონების განხორციელებამდე იყო.

IV. მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ყველა დანარჩენი რაიონები ახლად მოწყობილი კახეთის, გორის, თბილისის და ქუთაისის ოლქებისა და აგრეთვე ყველა რაიონები, რაც მოეწყობა საქართველოს სსრ-ში დატოვებული მაზრების ტერიტორიაზე.

დანართი № 3.

სასოფლო საბჭოების ტიპიური შტატები და ჯამაგირები

№№ რიგზე	თანამდებობის სახელწოდება	საშტატო ერთეულთა რიცხვი	1-ლი კატეგორია	მე-2 კატეგორია	მე-3 კატეგორია	მე-4 კატეგორია
1	თავმჯდომარე	1	60	55	45	40
2	მდივანი	1	50	45	40	30
3	საფინანსო დარგის მომუშავე	1	50	45	—	—
4	დარაჯი	1	30	20	20	—

II. სასოფლო საბჭოს ერთ-ერთი ზემოაღნიშნული კატეგორიისათვის მიკუთვნება თვითეულ ცალკე შემთხვევაში მოხდება ტერიტორიისა, მოსახლეობის რაოდენობისა, ეკონომიური ძალღონებისა, სოფლის ბიუჯეტის არსებობისა და სხვ. შესახებ ქონებული ცნობების მიხედვით.

იმ სასოფლო საბჭოს პირველი ორი კატეგორიისათვის მიკუთვნება, რომელსაც დამოუკიდებელი ბიუჯეტი არა აქვს,—არ შეიძლება.

III. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არის განვითარებული ეკონომიური და კულტურული ცენტრი, ან როდესაც ამ ტერიტორიის მოსახლეობა 5 ათას სულს აღემატება და თანაც ჩატარებულმა დარაიონებამ ვერ შესცვალა ყოფ. თემის ტერიტორია და ვერ შეამცირა მისი მოსახლეობის რაოდენობა—შეიძლება სოფლის საბჭოში დატოვებულ იქნეს მომუშავეთა ფაქტიური შტატი იმ ჯამაგირებით, რაც არსებობდა სათემო საბჭოს სასოფლო საბჭოთ გადაკეთებამდე.

ახალი დარაიონება საქართველოში

ზემოთ იბეჭდება მთავრობის დადგენილება საქართველოს ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფის შესახებ და საბოლოოდ დამტკიცებული განრიგება ამ დაყოფისა.

როგორც ვიცით, მთავრობამ საჭიროდ სცნო წელსვე 4 ოლქის ჩამოყალიბება (თბილისის, ქუთაისის, გორის და კახეთის). 6 მაზრაში (ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის, ზემო-სვანეთის, ახალციხის, ახალქალაქის) საოლქო დაყოფა ჯერ-ჯერობით არ გატარდება. მთავრობისვე გადაწყვეტილებით, ძირეული დარაიონება (სარაიონო და სასოფლო ერთეულების შექმნა) ტარდება მთელს საქართველოში და ეს მუშაობა სავსებით უნდა დამთავრდეს მომავალ საბიუჯეტო წლამდე.

საკითხის წინასწარ დასამუშავებლად გამოიყო რესპუბლიკანური კომისია. ამ კომისიამ ადგილებით შესწავლა და ადგილობრივ აღმასკომებთან შეათანხმა ყველა პრაქტიკული საკითხი, რაც დაკავშირებულია ძირეული დარაიონების გატარებასთან. ის ადმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფა, რომელიც კომისიის მოხსენებით მთავრობამ დაამტკიცა, ითვალისწინებს 52 რაიონის დაარსებას საკუთრივ საქართველოში და 4 რაიონის შექმნას აჭარისტანში (უკანასკნელი არსებული მაზრები გარდაიქმნებიან რაიონებად). სათემო საბჭოები ყველგან გარდაიქმნებიან სასოფლო საბჭოებად, აგრეთვე შეიქმნება 120 ახალი სასოფლო საბჭო საკუთრივ საქართველოში და 8 სასოფლო საბჭო აჭარისტანში.

რაიონების ჩამოყალიბების დროს სახელმძღვანელოდ მიღებული იყო შემდეგი პრინციპები:

1. რაიონის ტერიტორიის საწარმოო მთლიანობა და საწარმოო სპეციალიზაცია, სამეურნეო განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით;
2. ეკონომიური (სავაჭრო) მიმზიდველობა და რაიონის ტერიტორიის სატრანსპორტო საშუალებით გაერთიანება;
3. რაიონის სამეურნეო-საფინანსო სიძლიერე და
4. საბჭოთა აღმშენებლობის სწორი ხელმძღვანელობის გაღვივება.

უნდა ითქვას, რომ სარაიონო ერთეულების მიზანშეუწონლად ჩამოყალიბებას ძალზე აბრკოლებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დარაიონების შესახებ უტყუარი, მეცნიერულად დამუშავებული მასალების უქონლობა. მხოლოდ ასეთი მასალები მოგვცემს საშუალებას სისწორით გამოვყოთ მთლიანი ერთეული, რომლის ეკონომიკის სხვადასხვა ელემენტები—სოფლის მეურნეობის ცალკე დარგები, სარეწაო მოსაქმეობა, შრომის ორგანიზაცია, საბაზრო ურთიერთობანი და სხვ.—მკაფიოდ განსაზღვრავენ რაიონის ტიპს, გამოხატავენ ამ რაიონის მეურნეობაში ცალკე დარგების წონასა და მნიშვნელობას. ამ მხრივ რაიონების ჩამოსაყალიბებლად ჩვენს მიერ შესრულებული მუშაობა უნაკლო ვერ იქნება.

სასოფლო საბჭოების ჩამოყალიბების დროს კომისიას მხედველობაში ჰქონდა მიღებული, რომ სათემო სისტემამ ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება, ვინაიდან არსებული თემი მეტად დიდი ტერიტორიალური ერთეულია, რომ შესძლოს ძირითადი სასოფლო გაერთიანების მაგიერობა. არსებული თემების უმრავლესობაში მთელი ჯგუფი სოფლებისა მოკლებული რჩება ძირითად სასოფლო ორგანიზაციას. ამიტომ საჭირო იყო სასოფლო საბჭოების რიცხვის გადიდება.

რაიონების და სასოფლო საბჭოების ჩამოყალიბების დროს უნდა გაგვეთვალისწინებია ის თანხა, რომელიც გაღებული იქნება მთავრობის დოტაციის სახით (500 000 მან.), აგრეთვე ადგილობრივი სახსრების სიმცირე. ცხადია, ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდით მიღებულ ყველა საშუალებებს ვერ გამოვიყენებთ ადმინისტრატიულ-სამმართველოს ხარჯებისათვის, ვინაიდან ეს გამოიწვევდა ადგილობრივი ხუთწლიანი გეგმების შეკვეცას და სოციალურ-კულტურული მშენებლობის შეკუმშვას. ფინანსიური ხელმოკლეობის გამო მთავრობა იძულებულია დროებით ხელი აიღოს ძირეული დარაიონების იდეალური სახით განხორციელებაზე. საკმარისია ითქვას, რომ ჩვენში, სასოფლო საბჭოების რიცხვის გადიდების შემდეგაც, თვითეულ საბჭოზე მოდის 3.300 მცხოვრები, მაშინ, როდესაც ერთ სასოფლო საბჭოზე მოდის უკრაინაში—2.450, ხოლო საბჭოთა რუსეთში—1.700 მოსახლე. რა თქმა უნ-

---

ბის, თვითღირებულების შემცირების, უდიდესი მომჭირნეობის, ომის საშიშროების და შინაურ კლასიურ ბრძოლის ფრონტები. მუშათა კლასი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იმუშავებს ხუთწლიან გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლის ფორმებს იმასთან დამოკიდებულებით, თუ რომელ ფრონტს უხდება მას მოქმედება. შრომის ნაყოფიერების აწევისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის მუშათა კლასი მიმართავს ისეთ ღონისძიებას, როგორიცაა სოციალისტური შეჯიბრება. სოციალისტური შეჯიბრება, რომლის იდეა მოგვცა ამხ. ლენინმა, დღეს შეიქნა ნამდვილი მასის, მილიონების აქტიური ამოძრავების ფორმად, რაც ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა სოციალიზმის მშენებლობისა, რადგან ეს ისეთი საქმეა, რომლის განხორციელება შესაძლებელია არა ერთი და ორი პიროვნების მიერ, არამედ მილიონების შემოქმედებით. შინაურ კლასიურ მტრების ამოძრავებას მუშათა კლასი უპასუხებს გაძლიერებული სოციალისტური შეტევით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, იქნება ის სამეურნეო თუ კულტურული დარგი. სოციალისტური შეტევის ტემპი გვეუბნება, რომ შინაური კლასიური მტრები ალაგმულნი იქნებიან და ისინი ვერ შესძლებენ ჩაშალონ ჩვენი მუშაობა სოციალიზმის გასამარჯვებლად. ვიდრე შევეხებოდეთ საკითხს, თუ რა რეალური ფაქტები მოგვეპოვება ჩვენ ამჟამად, რომლებიც გვაძლევენ სრულ უფლებას ვიფიქროთ, რომ ყოველგვარი სიძნელე გადალახული იქნება და ხუთწლიანი გეგმის სრულებით განხორციელებას შევძლებთ,—უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი უმთავრესი დაბრკოლება, რომლის გადალახვის გარეშე შეუძლებელი შეიქნება ხუთწლიან გეგმის განხორციელება. **ეს არის მემარჯვენე გადახრა და მასთან შემარიგებლობა**; ეს ის ძალაა, რომელსაც, თუ სამისო ხელსაყრელი პირობები დაურჩა, შეუძლია შეაჩეროს ჩვენი წინსვლა სოციალიზმის აღმშენებლობის გზაზე და გამოიწვიოს ჩვენი კლასიური მტრების, პირველ რიგში კაპიტალისტური ელემენტების გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, რასაც ბუნებრივი აუცილებლობით მოჰყვება შემდეგ ძველი წესწყობილების რესტავრაცია, მისი ხელახალი აღდგენა, რომ ასეთი იქნებოდა მემარჯვენე გადახრის გამარჯვების შედეგი, ჩანს იქიდან, რომ მისი წარმომადგენლები, შესაძლებელია მათი პირადი ნებასურვილის გარეშე. ჩვენი განვითარების ხასიათის შესახებ ხშირად გამოსთქვამენ ისეთს აზრებს, რომლებზედაც ყოველგვარი მოფიქრების გარეშე ხელს მოაწერს ვინც არ უნდა იყვეს ჩვენი კლასიური მტრების ბანაკიდან.

ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუწყონ მშრომელ მასაში აზრის განმტკიცებას ხუთწლიანი გეგმის განხორციელების აუცილებლობის და შესაძლებლობის შესახებ,—მემარჯვენე უკლონისტები ილაშქრებენ ფაქტიურად თვით ხუთწლიანი გეგმის შინაარსის, მისი მთავარი აზრის წინააღმდეგ. ეს ასე არის, რადგან ვინც მოითხოვს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელებას, ის არსებითად უარყოფს მას სავსებით. როდესაც საკითხი ისმება ხუთწლიანი გეგმის გატარების შესახებ, მასში გათვალისწინებულ განვითარების ტემპის დაცვის საფუძველზე, მემარჯვენე უკლონისტები ყოველად მოურიდებლად და უტიფრად ილაშქრებენ მის წინააღმდეგ სხვადასხვა ფორმებში, კერძოთ კი თავგამოდებით მოითხოვენ ხუთწლიან გეგმის გადასინჯვას მძიმე ინდუსტრიის განვითარების პროგრამის შესამცირებლად მსუბუქ წარმოების სასარგებლოდ და საერთოდ აღმშენებლობის გეგმის შემცირებას. ასეთ ოპორტუნისტულ და უგუნური მოთხოვნილების მოტივებად მემარჯვენეებს მოჰყავთ ის ნაწილობრივი დაბრკოლებები, რომელთა გადალახვა ჩვენ გვიხდება განვითარების და წინსვლის გზაზე. მემარჯვენე გადახრის ერთი მოციქულთაგანი, ამხ. **ფრუმკინი**, ერთ-ერთ თავის წერილში სწერდა, რომ ის და მისი თანამოაზრეები **„აღებულ ტემპის განხორციელების ხაზს სთვლიან დამღუპველად"**, რადგან, მათი აზრით, ჩვენ ვერ შევძლებთ მის განხორციელებას და ამიტომ საჭიროა მისი ამთავითვე შენელებაო. საქმე იმაშია, რომ მემარჯვენე უკლონისტებმა დაკარგეს იმედი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განხორციელებისა ჩვენი საკუთარი ძალღონით. უკანასკნელი გარემოება კი უმთავრეს პირობას წარმოადგენს, რომ ეს ინდუსტრიალიზაცია იქნება სოციალისტური და არაკაპიტალისტური. მემარჯვენეები შენელებული ტემპითაც გეგმის გატარების შესაძლებლობის პირობად სთვლიან იმპორტის ფართედ მოშველიებას და კლასიურ მტრებზე შეტევის შესუსტებას, ან უკეთ თუ ვიტყვით, ისინი ინდუსტრიალიზაციის კაპიტალისტური წესით გატარებას მოითხოვენ. სხვანაირად არც შეიძლება იყოს, იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალისტური ელემენტების აქტივობის გაძლიერების წინააღმდეგ სოციალისტური შეტევის ნაცვლად, მათთან ბრძოლაზე ხელი აიღეთ. იგივე ფრუმკინი იმავე წერილში სწერდა, რომ „მე ნათელ ანგარიშს ვაძლევ თავის თავს იმაში, რომ ამ ღონისძიებათა გატარება მოითხოვს კერძო კაპიტალისტურ ელემენტებზე დაწოლის შენელებას"-ო. ეს ანტიპარტიული და ანტირევოლიუციონური აზრი, რომელიც კლასიურ ბრძოლით კლასების მოსპობის მარქსისტულ თეორიას სცვლის კლასების შეთანხმების და საყოველთაო მშვიდობიანობის თეორიით, კულაკობისა და ნეპმანების წინაშე ქედის მოხრით,—სამწუხაროდ, მარტო ფრუმკინს არ ახასიათებს. პარტიაში მას მოეპოვება როგორც აშკარა მომხრეები, ისე ფარულნიც, რომლებიც ცდილობენ პრაქტიკულ ცხოვრებაში გაატარონ უთქმელად ის, რასაც აშკარა მემარჯვენეები ყველას გასაგონათ ამბობენ.

როგორც ცნობილია ყველასათვის, პარტია შეუბრალებლად ებრძვის მემარჯვენე გადახრას, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში, მუშათა კლასის პარტიას, ლენინის რევოლიუციონურ პარტიას არ შეუძლია რაიმე საერთო ქონდეს ამ გონებადახურდავებულ ადამიანთა სულიკვეთებასთან და მათ შეხედულებებთან ჩვენი განვითარების გზების საკითხში. პარტია თვალს არ იბრმავებს და კარგათ ამჩნევს, უკეთესად, ვიდრე მემარჯვენე უკლონისტები, სად რა სახის დაბრკოლებებთან გვაქვს საქმე, მან კარგათ იცის, რომ აქედან გამოსავალი შეგვიძლია ვიპოვოთ არა უკან დახევაში ჩვენი მტრების მიმართ, არამედ მუშათა კლასის ბრძოლის ენერგიის ერთიორად გაძლიერებაში. ამა თუ იმ სახის დაბრკოლებათა დაძლევის შესაძლებლობა ჩვენ მოგვეპოვება, თუ აღებულ სწორ ხაზს არასოდეს არ გადაუხვევთ. მემარჯვენეები ვერ შესძლებენ აიძულონ პარტია შესცვალოს თავისი გენერალური ხაზი და მუდმივ დათმობის გზას დაადგეს. ამისი თავდებია ის დადებითი მუშაობა, რომელსაც დღეს ჩვენში აქვს ადგილი, კერძოთ კი პრაქტიკულ მუშაობაში მემარჯვენე გადახრის შეუბრალებლად გამომჟღავნების და მისი ცეცხლითა და მახვილით აღმოფხვრის სახით.

მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ ბრძოლასთან ერთად პარტიას უხდება აგრეთვე ბრძოლა „მემარცხენე" გადახრის წინააღმდეგაც, რომელიც ფაქტიურად, ორგანიზაციულად განადგურებულ და პოლიტიკურ-იდეურად გაკოტრებულ ტროცკიზმის დიპლომატიურად დაცვას ლამობს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ „მემარცხენე" გადახრა დღეს იმდენ საშიშროებას აღარ წარმოადგენს, რამდენსაც მემარჯვენე, ამიტომ ფაქტიურად მემარჯვენე უკლონისტების გაძლიერებას შეუწყობენ ხელს ისინი, ვინც მემარჯვენე გადახრის ნაცვლად ბრძოლის უმთავრეს ცენტრად „მემარცხენე" გადახრას აღიარებს. ეს დიდი პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა. „მემარცხენე" გადახრას დღეს არ შეუძლია იყოს ჩვენთვის უმთავრეს საშიშროებათ იმისთვის, რომ მისი ანტიპარტიული და ანტირევოლიუციონური ბუნება უკვე გამომჟღავნებულია ტროცკისტების კონტრ-რევოლიუციონური მუშაობით. დღეს ყველამ იცის, რომ ტროცკისტები, ეს პოლიტიკური მატრაკვეცები, რომლებიც სხვის თვალში ბეწვს დაეძებენ, ხოლო საკუთარში კი დვირესაც ვერ ამჩნევენ, რომელნიც პარტიას გადაგვარებას სწამებენ, თვითონ კი ჩემბერლენის და ბოლდუინის აგენტებად გახდნენ, არავითარ პოლიტიკურ ღირებულებას აღარ წარმოადგენენ. ამიტომ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ისინი შესძლებენ ვინმეზე გავლენის მოხდენას, რომ აქედან „მემარცხენე" გადახრა უმთავრეს საშიშროებად გამოგვეცხადებია.

უმთავრეს საშიშროებათ რჩება მემარჯვენე გადახრა, რომელსაც განსაზღვრულ პირობებში შეუძლია გაართულოს ჩვენი მდგომარეობა, თუ ის თავიდანვე ჩაკლული არ იქნება. მემარჯვენე გადახრის დაძლევა მჭიდროთაა დაკავშირებული ხუთწლიანი გეგმის განხორციელებასთან. მიღწევები ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში მაჩვენებელი არიან იმისი, რომ მემარჯვენე გადახრა დაძლეულ და განადგურებული იქნება, როგორც ტროცკიზმი იქნა თავის დროზე.

ეხლა დავსვათ საკითხი თუ რა სახის და ღირებულების ფაქტიური მასალა მოგვეპოვება, რომელიც ცხადჰყოფს ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც ცხადჰყოფდეს იმას, რომ ხუთწლიან გეგმაში ნაჩვენები სახალხო მეურნეობის ტემპი და მიმართულება ბოლშევიკების ფანტაზიის ნაყოფი კი არ არის, არამედ ჭეშმარიტი სინამდვილეა.

რომ ეს ასეა, ამას მოწმობს მიმდინარე სამეურნეო წლის მიღწევები. მიუხედავად იმისა, რომ სამეურნეო წელი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, არსებული ცნობები მაინც იძლევიან სრულ შესაძლებლობას იმის მტკიცებისათვის, რომ ხუთწლიანი გეგმა განხორციელებული იქნება არა დანაკლისით, არამედ გადაჭარბებით. ამ დებულების სასარგებლოდ ლაპარაკობენ ფაქტები, როგორც სასოფლო მეურნეობის, ისე მრეწველობის მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში, რომელიც ხუთწლიანი გეგმის განხორციელების პირველ წელს წარმოადგენს და რომელშიაც ჩვენ გვაქვს დიდი მიღწევები. აღმოჩნდა, რომ სათესი მიწის სივრცე საბჭოთა კავშირში არამც თუ არ შემცირდა, როგორც ამას აუცილებლობას წინასწარმეტყველებდნენ მემარჯვენე უკლონისტები, არამედ გაფართოვდა 5,9 პროცენტით*) სათესი მინდვრის გაფართოება აქარწყლებს მემარჯვენეების ლაყბობას. სასოფლო მეურნეობის „დეგრადაციის" შესახებ. ეს რომ მართლა ასე ყოფილიყო, იმ შემთხვევაში გაფართოების ნაცვლად შემცირებას უნდა ქონოდა ადგილი. გამოირკვა აგრეთვე, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობების გაფართოების და ხელახალი შექმნის ამ წლის პროგრამა იმდენად იქნა გადაჭარბებული, რომ მათი აღმშენებლობის ხუთწლიანი გეგმა შესრულებული იქნება სამი წლის განმავლობაში. ხუთწლიან გეგმის მიხედვით საბჭოთა მეურნეობების სათესი მინდვრის სივრცე უნდა ყოფილიყო 2 მილიონ ჰექტარამდე, 1644 ათას ტონა სასაქონლო პურით, მაგრამ რაკი მხოლოდ მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში „გაშლილი იქნა 44 საბჭოთა მეურნეობა, დათესილი იქნა 115 ათასი ჰექტარი მიწა და მიმდინარე წლისთვის დახნული იქნება 950 ათასი ჰექტარი, ე. ი. თითქმის ერთი მილიონი ჰექტარი „შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ხუთი წლის დამლევისათვის 2 მილიონ ჰექტარის ნაცვლად გვექნება 4 მილიონი ჰექტარი, რომელიც მოგვცემს სასაქონლო პურს 1.640 ათას ტონის ნაცვლად 3.280.000—4.000.000 ტონამდე სწრაფ ზრდას ადგილი აქვს აგრეთვე კოლმეურნეობებშიც. მიმდინარე სამეურნეო წელში მათი ნათესი სივრცე აღწევს 4,400 ათას ჰექტარამდე, ნაცვლად 1.380 ათას ჰექტარისა გასულ წლისათვის. აღსანიშნავია აგრეთვე ის მეტად მნიშვნელოვანი სოციალური ხასიათის მოვლენა, რომ კულაკობის ნათესი მინდვრის სივრცე შემცირდა ღარიბი გლეხობის ნათესების გაფართოებით. ღარიბი გლეხობის ნათესი მინდვრების ზრდის სურათს სხვადასხვა რაიონებისათვის იძლევა შემდეგი ციფრები: 10,3 პროც., (უკრაინისათვის), 13,4 პროც. (ყირიმი) და 22,4 პროც. (დაბლა ვოლგის მხარე). მოგვეპოვება ცნობები აგრეთვე იმის შესახებაც, რომ ამ წლის საკონტრაქტაციო გეგმა, როგორც ეს გათვალისწინებული იყო ხუთწლიანი გეგმით, გადაჭარბებული იქნება საგრძნობლად. თუ ავიღებთ ერთად საბჭოთა და კოლმეურნეობებს, ე. ი. განსაზოგადოებულ სექტორს, და კონტრაქტაციაქმნილ პურის სასაქონლო ნაწილს, გვექნება 7,878 მილიონი ტონა პური, ანუ პურის დამზადების ნახევარი".

მიმდინარე სამეურნეო წელი შესაფერ მიღწევებს გვაძლევს აგრეთვე, როგორც აღვნიშნეთ, მრეწველობაშიც, რაც გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა განხორციელებული იქნება გადაჭარბებით. ამის დამადასტურებელ ერთ-ერთ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ როგორც გამოირკვა, პუტილოვის ქარხანას ხუთწლიან გეგმის მიხედვით შეუძლია გამოუშვას წლიურად 10 ათასი ტრაქტორი არა მეხუთე წლის დამლევისათვის, არამედ გაცილებით უფრო ადრე, სახელდობრ 1929—30 წლისათვის.

ამრიგად, ჩვენ რეალური ფაქტებით ვრწმუნდებით, რომ ხუთწლიანი გეგმის სახით კომუნისტები ცალიერ დაპირებებს კი არ იძლევიან, რაც მათ არასოდეს არ სჩვევიათ, არამედ რეალურ საქმის ნამდვილ სურათს შლიან, რის განხორციელების პროცესი თვით ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს. მოყვანილი ფაქტიური მასალა შეუბრალებლად ფარდას ხდის მემარჯვენე უკლონისტების ოპორტუნისტულ მოთხოვნილებას განვითარების ტემპის შენელების შესახებ, რადგან სინამდვილე გვეუბნება, რომ ხუთწლიანი გეგმა განხორციელებული იქნება უფრო მეტი სისწრაფით, ვიდრე ჩვენ მას ვითვალისწინებდით. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ყველა ოპორტუნისტების, გამცემლების და მშიშრების მიმართ ვთქვათ მარქსის სიტყვებით: დეე, სთქვან რაც უნდათ, ჩვენ კი მტკიცედ ვივლით ძველი ნაცადი გზით. პარტია ანგარიშს არ გაუწევს მემარჯვენეების ლაყბობას და ივლის აღებული გზით იმის სრული შეგნებით, რომ ის სწორია და სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა განხორციელებული იქნება, რაც სოციალიზმის მშენებლობას ჩქარი ტემპით წასწევს წინ, მშრომელი მასების ეკონომიური ცხოვრების საგრძნობ გაუმჯობესების საფუძველზე.

ქ. გორდელაძე.

---

*) იხ. „Большевик", № 13–14. 1929 წ.

აპარატის წმენდა

საბჭოთა აპარატის წმენდის წარმატებით ჩასატარებლად უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ მშრომელ მასებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეთ წმენდის მიზანსა და მნიშვნელობაზე, აგრეთვე მისი ჩატარების გზებსა და საშუალებებზე. სწორედ ასე ხდეს საკითხი, იმიტომ რომ, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, **ფართო მასების აქტიური და შეგნებული მონაწილეობის გარეშე არ შეიძლება განხორციელებულ იქნას არც ერთი ღონისძიება**, რომელიც მიმართულია ჩვენი დეფექტების აღმოფხვრისაკენ, რა ხასიათისაც არ უნდა იყვნენ ეს დეფექტები.

რით არის გამოწვეული საბჭოთა აპარატის წმენდის საჭიროება?

იმ უდიდესი ამოცანებით, რომლებიც დგანან პარტიისა და ხელისუფლების წინაშე — დიად სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმის შესრულების ამოცანებით.

აღდგენის პერიოდი ჩვენ წარმატებით დავამთავრეთ და გადავედით რეკონსტრუქციის პერიოდში, როდესაც ვანვითარებთ სახალხო მეურნეობისა და საბჭოთა მშენებლობის სხვა დარგების ორგანიზაციის ფართო სოციალისტურ გეგმებს—უმაღლესი თანამედროვე ტეხნიკის საფუძველზე.

ჩვენ მოწყობილობებით უნდა შევავსოთ და გადავაკეთოთ არსებული საწარმოები, შევქმნათ ახალი დიდი მანქანათმშენებელი ქარხნები და ფაბრიკები, მაქსიმალურად გავადიდოთ ყოველნაირი მადნის მოპოვება, რაც წარმოადგენს მსხვილი მრეწველობის განვითარების პირობას, ფართოთ გავშალოთ ელექტრო მშენებლობა და სხ.

მეორეს მხრივ, ჩვენ ამოცანად დავისახეთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელება, საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის განვითარება, კოოპერაციაში ფართო მასების გაერთიანება, რათა ამრიგად საზოგადოებრივ-სამეურნეო ცხოვრების ყველა პროცესი მოვაქციოთ სოციალისტურ ჩარჩოებში. ყოველივე ეს წარმოადგენს აუცილებელ წინასწარ პირობას სოციალისტური მშენებლობის უზრუნველყოფისათვის და მსოფლიოში ერთად-ერთი საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის უნარის გარანტიას.

ამ ამოცანების განხორციელება მოითხოვს, რომ მათ შეუფარდოთ საბჭოთა აპარატი. სწორედ აქ იბადება საბჭოთა აპარატის წმენდის საკითხი. როგორია ჩვენი საბჭოთა აპარატი ამჟამად? შეუძლია თუ არა მას მკაფიოდ და დაუმახინჯებლად შეასრულოს დასახული ხაზი? შეუძლია თუ არა მას ცხოვრებაში გაატაროს ჩვენი ღონისძიებანი, რომელთა დანიშნულებასაც შეადგენს დიად სამუშაოთა გეგმის განხორციელება?

ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა აპარატი ასრულებს თავის ამოცანას, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ **ჯერ ჯერობით ჩვენს საბჭოთა აპარატს აქვს დიდი დეფექტები**, რაც აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას.

რაში გამოიხატება ეს დეფექტები?

გამოიხატება უწინარეს ყოვლისა ბიუროკრატიზმში, არამკაფიო მუშაობაში, შესრულების არ შემოწმებაში, არსებული მატერიალური სახსრების, უფრო კი მუშაკების, არასწორად გამოყენებაში, დროის უთავბოლოდ ფლანგვაში, დაუსრულებელ სხდომებსა და კომისიებში და სხვ..

ცხადია, რომ ეს დეფექტები რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა აღმოვფხვრათ.

სწორედ ამ მხრივ უნდა გაიწმინდოს ჩვენი აპარატი. სავსებით ცხადია, რომ ლაპარაკია ადამიანებზე, რომლებითაც სავსეა საბჭოთა აპარატი. ამავე დროს საჭიროა საბჭოთა აპარატის სტრუქტურის შესწავლაც. მაშასადამე, უწინარეს ყოვლისა უნდა შემოწმდეს პიროვნული შემადგენლობა. აი, რას ამბობდა ამის შესახებ ლენინი: **„პიროვნებათა შემოწმება და საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმება**—ამაში, კიდევ ამაში და მხოლოდ ამაშია მთელი მუშაობის, მთელი პოლიტიკის დედა-აზრი" (ხაზი ჩემია. ზ. ს.).

სავსებით ცხადია, რომ **„პიროვნებათა შემოწმება"** არის უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ მოგვარდეს „საქმის ფაქტიური შესრულების შემოწმება".

სწორედ აქ იბადება კითხვა, თუ როგორ უნდა მოხდეს „პიროვნებათა შემოწმება" ანუ, როგორც ეხლა ვამბობთ, საბჭოთა აპარატის წმენდა?

ამ კითხვაზე მე-16 პარტკონფერენცია იძლევა სავსებით ნათელ და მკაფიო პასუხს, სახელდობრ იმას, რომ საბჭოთა აპარატი უნდა გაიწმინდოს გახრწნილ ელემენტებისაგან, ბიუროკრატებისაგან, კულაკებთან და ნეპმანებთან შეხორცებულთაგან, საბჭოთა კანონების დამმახინჯებლებისაგან, მფლანგველებისაგან, მშრომელთა საჭიროებისადმი დაუდევრად მომპყრობთაგან" და სხვ., რომელნიც თავიანთი მოქმედებით ჩრდილავენ ფართო მშრომელი მასების წინაშე საბჭოთა ხელისუფლების რაობას, გარდა იმისა, რომ პირდაპირ მატერიალურ ზიანს აყენებენ სახელმწიფოს.

მაშასადამე, წმენდის ამოცანაა სწორედ ასეთი ელემენტების გამომჟღავნება და მათი გაძევება საბჭოთა აპარატიდან. მაგრამ საქმე ამით არ მთავრდება, უნდა შევასრულოთ საქმის მეორე მხარეც, ე. ი. ჩავატაროთ ისეთი მუშაობაც, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს განთავისუფლებული ადგილების შევსება გამოცდილებით შემოწმებული მუშაკების ღირსეული კადრით, უმთავრესად მუშებისა და გლეხების წრიდან.

როგორ უნდა განხორციელდეს ყოველივე ეს? საბჭოთა აპარატის წმენდის ჩატარების დროს საჭიროა **შესწავლილ იქნას აპარატის სტრუქტურა, ყოველი მუშაკის ფუნქცია აპარატში**, შემდეგ კი კარგად გამოირკვეს, თუ როგორ ასრულებს ეს თუ ის მუშაკი თავის ფუნქციას. მტკიცედ უნდა გამოირკვეს—შეეფერება იგი თავის ფუნქციას თუ არა. ასეთი შემოწმების დროს შეიძლება მივიღოთ შემდეგი მდგომარეობა: 1) მუშაკი შეეფერება თავის დანიშნულებას და იგი რჩება სამუშაოზე დამოუკიდებლად მისი სოციალური შთამომავლობისა; 2) მუშაკი არ შეეფერება თავის დანიშნულებას, მაგრამ მისი გამოყენება შესაძლებელია უფრო მცირე სამუშაოზე და მაშინ იგი გადაყვანილ უნდა იქნას ასეთ სამუშაოზე; 3) მუშაკი შეიძლება გამოყენებულ იქნას უფრო საპასუხისმგებლო სამუშაოზე და მაშინ იგი ასეთ სამუშაოზე უნდა გაიგზავნოს. სამივე ეს მომენტი გულისხმობს, რომ ეს მუშაკი არ შედის იმ პიროვნებათა ზემოთჩამოთვლილ კატეგორიებში, რომელნიც გაძევებულ უნდა იქნან საბჭოთა აპარატიდან. ამრიგად, ცხადია, რომ საბჭოთა აპარატის წმენდას საფუძვლად უდევს ყოველი **მუშაკის მუშაობის ხარისხის შეფასების პრინციპი**. აქედან გამოდის ის დასკვნა, რომ „პროლეტარული შთამომავლობა და კომუნისტური პარტიის წევრობა არ წარმოადგენს იმის გარანტიას" (იხ. მე-16 პარტკონფერენციის რეზოლიუცია ზ. ს.), რომ ესა თუ ის მუშაკი არ გაიწმინდება საბჭოთა აპარატიდან. თუ დამტკიცდება, რომ იგი ეკუთვნის იმათ რიცხვს, რომელნიც ზემოთ არიან ჩამოთვლილნი და რომელნიც გაძევებულ უნდა იქნან.

როგორც ვიცით, მე-16 პარტკონფერენციამ გაითვალისწინა ისიც, თუ რომელი საბჭოთა აპარატის შემოწმება უნდა მოხდეს პირველ რიგში. ასეთებს წარმოადგენენ ფინანსთა, იუსტიციის და შრომის სახალხო კომისარიატები და უმუშევართა ბირჟა, როგორც ისეთი ორგანოები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ მშრომელთა ფართო მასებთან.

საბჭოთა აპარატის წმენდის ცენტრალურმა კომისიამ, რომელიც საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან არსებობს, უკვე გამოსცა დირექტივა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს წმენდა ადგილებზე და უკვე მოეწყო წმენდის მოსამზადებელი კომისიები იმ ორგანოებთან, რომელთა წმენდაც განზრახულია. ამ დირექტივების მიხედვით, მოსამზადებელი კომისიები უკვე შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ, როგორც ამის შესახებ პრესა იუწყებოდა, ამ კომისიებს ჯერ ჯერობით თითქმის არაფერი გაუკეთებიათ. რით აიხსნება კომისიების ასეთი უმოქმედობა? ჩემის აზრით, უწინარეს ყოვლისა იმით, რომ ამ კომისიებს პრაქტიკულად ნათლად არა აქვთ წარმოდგენილი თავიანთი ამოცანები.

პრაქტიკულად საქმე მე შემდეგნაირად მაქვს წარმოდგენილი: დამამზადებელმა კომისიებმა თავიანთ დაწესებულებებში, სადაც გაწმენდაა განზრახული, დაწესებულების ყოველ სამმართველოში (ან განყოფილებაში) უნდა შექმნან ქვე-კომისიები საუკეთესო მუშაკებისაგან. კომისიამ უნდა უხელმძღვანელოს ქვეკომისიის მუშაობას, რომლის ამოცანას შეადგენს თვითეული სამმართველოს (ან განყოფილების) და მთელი დაწესებულების ფუნქციების შესწავლა. ამისდამიხედვით უნდა მოხდეს იმის შესწავლა, თუ როგორ ასრულებს თვითეული მუშაკი თავის მოვალეობას. ამავე დროს ქვეკომისიებმა უნდა შეკრიბონ სრული და ამომწურავი მასალა თვითეული მუშაკის შესახებ. ეს მასალა მუშაკს უნდა ახასიათებდეს იმ მხრივ, თუ რამდენად მისაღებია იგი საბჭოთა ხელისუფლებისათვის სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით.

ასეთი მასალით ხელში ჩვენ შეგვიძლია, ერთის მხრით, გამოვარკვიოთ დაწესებულების სტრუქტურული დეფექტები, ხოლო მეორეს მხრით—თვითეული მუშაკის სოციალ-პოლიტიკური ბუნება. ამის შემდეგ შევძლებთ სისწორით გადავსწყვიტოთ საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა დავტოვოთ და ვინ უნდა გავწმინდოთ, რომ აპარატი გავხადოთ მოქნილი და ისეთი, რომელსაც ექნება თავისი ამოცანების შესრულების უნარი.

ამავე დროს, პროფკავშირებთან ერთად, ჩატარებულ უნდა იქნას სერიოზული მუშაობა იმ მხრივ, რომ გაწმენდილი ადგილების შესავსებად შერჩეულ იქნას მუშაკების ახალი, საქმეში შემოწმებული კადრი უმთავრესად მუშებისაგან.

მთელი ეს უდიდესი მუშაობა შეიძლება წარმატებით შესრულდეს მხოლოდ ორი პირობით:

პირველი—საჭიროა ამ მუშაობაში ჩავაბათ ფართო მასები, ხოლო

მეორე—ამ მუშაობის ჩატარება მტკიცედ უნდა დაუკავშირდეს თვითკრიტიკის ლოზუნგს. უამისოდ მთელი მუშაობა აპარატის უსაფუძვლო ნჯღრევის ხასიათს მიიღებს, რითაც აპარატი შეიძლება უფრო მეტად მოიშალოს.

ამრიგად, საბჭოთა აპარატის წმენდა მჭიდროდ არის დაკავშირებული მრავალ სხვა საკითხთან. ასეთი საკითხებია: თვითკრიტიკა, ბიუროკრატიზმთან ბრძოლა, აპარატის სტრუქტურის შესწავლა, გაშლილი შინაკავშირული თვითკრიტიკის ნიადაგზე ფართო მასების აქტიური და შეგნებული მონაწილეობა უდიდესი პოლიტიკური მუშაობის შესრულების საქმეში და სხვ..

ეჭვი არ არის, რომ ბოლოს და ბოლოს პარტიის და ხელისუფლების ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის წარმატებით განხორციელების საქმეში **გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორ პარტიულ ხელმძღვანელობას** ადგილებზე პარტიული უჯრედების მხრით.

ზ. სტურუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომკავშირის მესამე კონფერენცია

მეშვიდე სხდომა

ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის მდგომარეობა და ამოცანები

ამხ. აკ. მახათაძის მოხსენება

ბრძოლა მოზარდთა თაობისათვის

სოციალისტური მშენებლობის გაძლიერებამ გამოიწვია კლასთა ბრძოლის გამწვავება ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი კლასობრივი მტრები დიდ იმედებს ამყარებენ მოზარდ თაობაზე, მიტომ ისინი ცდილობენ მის დაპყრობას.

ბურჟუაზიული წრიდან გამოსული ბავშვები სკოლებში ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ ჩვენს წინააღმდეგ და ყოველ ღონეს ხმარობენ გარყვნან საბჭოთა სკოლის მოსწავლეები.

ტროცკისტულმა ოპოზიციამაც თავისი საბოლშევო ასპარეზი ნ. პ. კოლექტივებზედაც გადაიტანა. ცნობილ ტროცკისტმა — მიშა ოკუჯავას ცოლმა მოინდომა ერთი - ერთი კოლექტივის მთლიანად ხელში ჩაგდება. როდესაც ტროცკი გადაასახლეს, ხსენებულმა კოლექტივმა უარი სთქვა ტროცკის სურათის ჩამოხსნაზე. ხშირად ზოგიერთი კომკავშირელები და პარტიული ამხანაგებიც კი ვერ აფასებენ ამ მოვლენას. ამიტომ, მომავალში, ბავშთა დაპყრობის ფრონტზე კლასიური მტრების წინააღმდეგ სერიოზული ზომები უნდა იქნეს მიღებული.

საქ. კომკავშირის მე-9 და საკავშირო ა. ლ. კ. კ. მე-8 ყრილობებმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს ბავშთა შორის მუშაობის გაძლიერებას და დასახეს მომავალი მუშაობის გზები.

პიონერ ორგანიზაცია მუშაობის ახალ გზებზე

ბავშთა კომორგანიზაციის შემდგომი განვითარებისათვის, ყრილობების აზრით, თავის დროზე საჭირო იყო ორგანიზაციის მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გადასვლა. ამას მოითხოვდა ის გარემოება, რომ მუშაობის ძველი ფორმები იმდენად დაძველდა. რომ შეუძლებელი შეიქნა ბავშთა ნ. პ. ორგანიზაციაში მიზიდვა.

ნ. პ. ორგანიზაცია უკვე გადავიდა მუშაობის ახალ გზებზე. მიუხედავათ იმისა, რომ მთელი რიგი ორგანიზაციები სუსტად გადადიან ამ სისტემაზე, მან მაინც სასურველი შედეგები მოგვცა. პიონერთა ორგანიზაციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო საბჭოთა არჩევნებში, კულტურულ ლაშქრობაში, ქაღალდის მაკულატურისა და ლითონის ნატეხების მოგროვებაში და სხვ.

სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში ჩვენი ამოცანა არის ბავშთა მასები ჩავაბათ ნ. პ. ორგანიზაციაში, შევასწავლოთ მათ კლასობრივი ბრძოლის ამოცანები და დავრაზმოთ ისინი პარტიისა და ხელისუფლების დირექტივების განსახორციელებლად.

რა არის მუშაობის ახალი სისტემა?

მუშაობის ახალი სისტემა თავის საქმიანობას საფუძვლად უდევს შვიდი წლის გამოცდილებას. ძველი ფორმები ერთნაირი საზომით უდგებოდა 10—12—14 წლის ბავშებს. ახალი სისტემა კი ბავშთა ასაკს უაღრესად დიდ მნიშვნელობას აძლევს. საზოგადოებრივ მუშაობაში შეუძლებელია ათი წლის ბავშის ისე ჩაბმა, როგორც 12 წლის. ახალი სისტემა ისე არის აგებული, რომ ბავში ეცნობა საზოგადოებრივ მუშაობას და აქტიური ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობის ახალ სისტემაზე არ არის გადასული მთელი ორგანიზაცია. კონფერენციამ ხაზი უნდა გაუსვას ამ გარემოებას და მიუთითოს ადგილობრივ ორგანიზაციებს, რათა დაჯერით წესით იქნეს აღმოფხვრილი მუშაობის ძველი სისტემა.

მუშაობის ახალ სისტემაზე გადასვლის პერიოდში ჩვენ მთელი რიგი წინააღმდეგობები გვეღობება. ეს წინააღმდეგობები არ არის იმდენად ძნელი, რომ არ შეიძლებოდეს მისი დაძლევა.

ბრძოლა ნორჩი თაობის კომუნისტურად აღზრდისათვის უნდა გახდეს ჩვენი შემდგომი მუშაობის მთავარი ლოზუნგათ. ამას მოითხოვს ჩვენგან, მიმდინარე პრაქტიკული საქმიანობაც.

ფიზიკური აღზრდა და გასამხედროება

ჩვენი მუშაობის ყოველ დარგში სათანადო ადგილი უჭირავს ბავშვთა მასების გასამხედროებას და ფიზიკურ აღზრდას. ამ მიმართულებით საქმე ვერ დგას სასურველ დონეზე. დღეს თუ ხვალ მოსალოდნელია იმპერიალისტური ომი, რომელიც პროლეტარულ სახელმწიფოს წინააღმდეგ იქნება მიმართული. ბავშთა გასამხედროების მნიშვნელობა კარგად ესმით ბურჟუაზიის მესვეურებს, ისინი უამრავ თანხებს ხარჯავენ იმისათვის, რომ ბავშები თავიანთი გავლენის ქვეშ დააყენონ. ჩვენ კი თანხების დიდი რაოდენობით დახარჯვა არ შეგვიძლია, სამაგიეროთ უნდა გავძლიეროთ ბავშთა კომუნისტურად აღზრდის საქმე.

პიონერ - გასამხედროებას ჩვენი ზემდგომი ორგანოები და ზოგიერთი ამხანაგები გულგრილად ეკიდებიან. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევასრულეთ მე-9 ყრილობის დადგენილებების განხორციელება, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება ფიზკულტურას, აქ ჩვენ თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს. თბილისში, კახეთში, ბათომში, სოხუმში და სხვაგან ეს მუშაობა სათანადო სიმაღლეზე არის დაყენებული. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ დარგში ჩვენ მეტის გაკეთება შეგვეძლო და თუ ეს ვერ შევსძელით, ამის მთავარ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ჩვენ არა გვყავს ფიზკულტურის დარგში მომუშავენი.

პიონერთა სკოლებში

ორიოდე სიტყვა ჩვენი სკოლების შესახებ. კულტურულ რევოლუციის მოხდენაში საბჭოთა შრომის სკოლები უაღრესად დიდ როლს თამაშობს. სკოლა ეს ახალი ადამიანის აღზრდის მთავარი ფაქტორთაგანია. მაგრამ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა შრომის სკოლებში ახალი ადამიანის აღზრდის საქმეს ნაკლები ყურადღება ექცევა. სკოლებში ჩვენ არა გვყავს მომზადებულ მასწავლებელთა კადრი.

არიან ისეთი მასწავლებლები, რომლებიც ალმაცერათ უცქერიან ნ. პ. ორგანიზაციას და ცდილობენ ბავშები „დაიხსნან" მისი გავლენიდან; მათი აზრით ნ. პ. ორგანიზაციაში ბავშები ირყვნებიან. გასულ წელს სენაკის მაზრაში ორ შემთხვევას ქონდა ადგილი: თვით ბავშებმა დაშალეს ნ. პ. ორგანიზაციის მიერ მოწყობილი კოლექტივის კუთხე. აქ უსათუოდ მასწავლებლის ხელი ერია, თორემ ბავშები ამას ვერ გაბედავდნენ. ჩვენ რასაკვირველია გვყავს საბჭოთა მასწავლებლების საუკეთესო კადრებიც, მაგრამ მათი საქმიანობა ამ დარგში არ სჩანს. არ სჩანს იმიტომ, რომ ისინი არ იცნობენ ნ. პ. ორგანიზაციის ამოცანებს. შეჩნეულ ნაკლთა აღმოსაფხვრელად საჭიროა ჩვენც გამოვიყენოთ რუსეთის გამოცდილებები და დავაარსოთ პიონერ ორგანიზაციის ამოცანათა შესასწავლი სპეციალური წრეები. თბილისში ამ მიმართულებით მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. გარდა ამისა, ხელმძღვანელ ორგანოებმა მოითხოვა, რომ მეორე საფეხურის შრომის სკოლებს, პედაგოგიურ ტეხნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლების სამასწავლო პროგრამებში შეტანილ იქნას ნ. პ. მოძრაობის საკითხები.

პარტიის მიერ გადმოსროლილია ლოზუნგი მოსწავლე ახალგაზრდობის სოციალურ შერჩევის შესახებ. ჩვენს სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდობის სოციალური შემადგენლობა არ არის დამაკმაყოფილებელი. საჭიროა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ მოჯამაგირე და ღარიბ ახალგაზრდობას მივსცეთ სასწავლებლებში მასიურად შესვლის საშუალება. ამისათვის საჭიროა შევქმნათ და გამოვიყენოთ ღარიბთა ფონდები.

სასკოლო კოოპერატივების მუშაობა ერთ წერტილზეა გაყინული. რადგან ჩვენ ამ საქმეს ხელი მოვკიდეთ, საჭიროა რათა დაწყებული საქმე გამარჯვებით დავაგვირგვინოთ.

ინტერნაციონალური აღზრდისათვის

ინტერნაციონალურ აღზრდას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ადამიანის შექმნის საქმეში. ახალმა ადამიანმა არა მარტო უნდა იცოდეს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმე, არამედ, კიდევაც უნდა უყვარდეს იგი. ამის მიღწევა ისე არ შეიძლება, თუ მომავალ თაობაში არ განმტკიცდა მებრძოლი ინტერნაციონალიზმი. მართალია ჩვენ ამ დარგში მიღწევა გვაქვს, მაგრამ ის იმდენად თვალსაჩინო არ არის. ნაციონალურ შუღლსა და მებრძოლ შოვინიზმს ადგილი აქვს ბავშვებშიაც. შოვინიზმის მაგალითებს ჩვენ უმთავრესად სკოლებში ვხვდავთ.

საბ. სახლების პედ. შემადგენლობა უნდა გადაისინჯოს

საბავშო სახლებში პედაგოგიური პერსონალი სრულებით არ არის შერჩეული. სანამ საბავშო სახლებში ჩვენ გვეყოლება მასწავლებლების ის კადრი, რომელიც დღეს გვყავს. ამ სახლების მუშაობა ვერ დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებებს.

საბავშო სახლებშიაც კი აქვს ადგილი სქესობრივ აღვირახსნილობას. ეს იმიტომ, რომ ერთხელაც არ მომხდარა საბავშო სახლების პედ. შემადგენლობის შტატის სათანადოთ გადასინჯვა. ეს ნაკლი უსათუოდ უნდა გამოვასწოროთ.

ყურადღება შეუკავშირებელ ბავშვებსა და ოქტომბრელებს

შეუკავშირებელ ბავშთა შორის მუშაობა ძნელია, მაგრამ უნდა ვეცადოთ მათ შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას.

ოქტომბრელთა შორის მუშაობას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ამ მიმართულებით მუშაობა მოისუსტებს. ამიტომ, მომავალში იგი ჩვენი მიმდინარე საქმიანობის ცენტრში უნდა დავაყენოთ.

კახეთის ოლქის დელეგაცია

მერვე სხდომა

კამათი ამხ. აკ. მახათაძის მოხსენების გარშემო

ამხ. მეისურაძე
(გორი)

ნ. პიონერთა ორგანიზაციის მდგომარეობა გასულ წელთან შედარებით გაუმჯობესებულია. ცენტრალურ ბიუროს საგრძნობი მიღწევები აქვს.

მშობლების რელიგიური განწყობილება თავის დაღს ასვამს პიონერორგანიზაციას, ამიტომ საჭიროა მშობლებთა შორის ანტირელიგიური მუშაობის გაღრმავება.

როგორც ეს გამოცდილებამ დაგვანახა, მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გადასვლამ სასურველი შედეგები მოგვცა, ამიტომ არ უნდა დარჩეს არც ერთი ორგანიზაცია მუშაობის ახალ სისტემაზე გადაუსვლელი.

ამხ. ტყეშელაშვილი
(ქუთაისი)

რომ მოზარდი თაობა შეიქნეს ბოლშევიკური პარტიის ნამდვილი მემკვიდრენი საჭიროა მათი კლასიური ხაზით აღზრდა. პიონერთა აღზრდა კომუნისტურმა პარტიამ კომკავშირს ჩააბარა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი უჯრედები ვერ ამართლებენ იმ იმედებს, რომელსაც მათზე პარტია ამყარებს, ხშირად პიონერთაშორის მომუშავეებს დასცინიან. გარდა ამისა უჯრედი არავითარ პასუხს არ სთხოვს პიონერ კოლექტივზე მიმაგრებულ ამხანაგებს. ის ხშირად მათი მხოლოდ გამოყოფით კმაყოფილდება. აი, სწორედ ეს არის უსისტემო მუშაობა.

ასაკ გადაშორებულ პიონერთა კომკავშირში გადარიცხვა არ ხდება. ეს ასე არ ვარგა. მომავალში ასაკგადასულ პიონერებს უნდა გაუადვილდეს კომკავშირში გადარიცხვა.

ამხ. დგებუაძე
(სენაკიდან)

ზოგიერთ კოლექტივებში ჯერ კიდევ არ არის გაშლილი მასიური მუშაობა. არის ისეთი კოლექტივები, სადაც მარტო მშრალი საუბრები ტარდება. შემდეგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომითი აღზრდის პრინციპებს. სათანადო წრეების ჩამოყალიბებით ბავშები უნდა შევაჩვიოთ კოლექტიურ მუშაობას.

ამხ. ქარჩავა
(თბილისი)

პიონერთა ორგანიზაციის შემდგომი განვითარებისათვის და მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის საჭიროა კომკავშირის ორგანიზაციის მტკიცე ხელმძღვანელობა. ადგილობრივ კომიტეტებმა ნ. პ. კოლექტივებზე ხელმძღვანელობის საკითხი უნდა დასვან თავიანთ მუშაობის დღის წესრიგში. ზუგდიდის სამაზრო კომიტეტს მხოლოდ მაშინ მოაგონდა პიონერთა ორგანიზაცია, როდესაც ცენტრის წარმომადგენელი ესტუმრა. ასეთი დამოკიდებულება ჯერ კიდევ არსებობს. ჩვენმა უმაღლეს ორგანოებმა ამ გარემოებას ბოლო უნდა მოუღონ.

ამხ. ჩუხრიკიძე
(გურია)

გულ ახდილათ უნდა ვაღიარო, შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ პიონერთა შორის მუშაობა კომკავშირის ორგანიზაციის ერთერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს, მიუხედავათ იმისა, რომ კომკავშირს დიდი პასუხისმგებლობა აწევს ბავშთა კომუნისტურად აღზრდის საქმეში, ამ უკანასკნელ ხანამდე კომკავშირი მას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ეს ხდება იმიტომ, რომ ჩვენ არ გვყავს საამისოდ მომზადებული მუშაკები. ადგილობრივი ორგანიზაციები და ცეკა საშუალებით უნდა გამოიძახოს სათანადო სახსრები, რათა დაჯერითი წესით მომზადებულ იქნას პიონერთა შორის მომუშავეთა კადრები. აგრეთვე დაჯერითი წესით უნდა ჩატარდეს მასწავლებელთა წმენდა.

ამხ. მინაშვილი
(ქუთაისი)

ამას წინად ქუთაისის ორგანიზაციამ მოაწყო პიონერების ბანაკად გასვლა. ეს გაიგო ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა და მშობლებს შორის ათასგვარ დემაგოგიას ეწეოდენ, ისინი პიონერების მშობლებს ურჩევდენ, რომ ბავშები არ გაეგზავნათ ბანაკად. ეუბნებოდნენ: „ბავშვებს იქ წყალი არ ექნებათ, შიმშილით დაიხოცებიან და სავა". გამოირკვეულით და ასეთი დემაგოგიური აგიტაციის გამწევნი ყველანი კულაკები და ვაჭრები აღმოჩნდნენ.

გარდა ამისა გაძლიერდა რელიგიური შემოტევაც. სოფლად ანტირელიგიურ მუშაობის წარმოებას ნაკლები ყურადღება ექცევა.

ამხ. გელაშვილი
(ჭიათურა)

სკოლების კავშირი წარმოებასთან მოისუსტებს: ეს მხოლოდ ექსკურსიაში გამოიხატება. ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. სკოლებმა მჭიდრო კავშირი უნდა დაიჭირონ წარმოებებთან, უამისოდ ისინი დაკარგავენ თავის მნიშვნელობას.

საბავშვო ბაღები ჭიათურის სინამდვილეში ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე, აქ საბავშვო ბაღში არიან უცოდინარი მასწავლებლები. ანტირელიგიური მუშაობა, როგორც კოლექტივებში, ისე მშრომელებში მოისუსტებს. პიონერი ხშირად კოლექტივში ატირებული მიდის, იმიტომ, რომ მშობლებს უცემიათ: რატომ პირსჯვარი არ გადისახეო. საჭიროა ანტირელიგიური მუშაობის გაძლიერება თვით მშობლებშიაც.

ამხ. კვეზერელი
(კახეთი)

ბავშვთა კომ-მოძრაობის და აღზრდის საკითხი ჩვენს ორგანიზაციისათვის სერიოზული საკითხთაგანია. ჩვენ უნდა აღვზარდოთ მესამე თაობა, რომ მომავალში შესძლონ ჩვენი რიგების ღირსეულად შეცვლა. კახეთში მომუშავე ზოგიერთი ამხანაგები ხმა მაღლა გაიძახოდნენ: მე კომკავშირის ხაზით მომუშავე ვარ, რა ჩემი საქმეა პიონერებში მუშაობაო. ბანაკების მოწყობის დირექტივას ადგილობრივი ორგანიზაციები სუსტად გამოეხმაურნენ.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის საჭირო პიონერებს აქიდანვე შევაჩვიოთ კოლექტიური მუშაობა. პროფკავშირებმა და ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ პიონერმუშაობას.

ამხ. ლალიძე
(თბილისი)

პიონერთა შორის მუშაობა ქალაქად უფრო კარგადაა დაყენებული. სოფლად ეს მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებს და ხშირად მას კამპანიური ხასიათი აქვს. საჭიროა მომავალში პიონერთა შორის წარმოებდეს სამხედრო პრაქტიკული ვარჯიშობა.

ამხ. ულენტი
(რაჭა-ლეჩხუმი)

მეორე საფეხურის სკოლებში ჩვენ გვყავს ასაკგადაშორებული პიონერები. მათ შორის მუშაობას ნაკლები ყურადღება ექცევა. ამ საკითხს ცენტრალურმა ბიურომ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს.

სკოლებში მიღების დროს კომკავშირის წარმომადგენელი ნაკლებად იცავს პიონერების ინტერესებს. პიონერთა ფიზკულტურის აღზრდა სკოლებში სუსტად სწარმოებს. კულტურული მუშაობა იმაში გამოიხატება, რომ ცენტრალური და სამაზრო კომიტეტები ადგილებზე აგზავნიან ცირკულიარებს. კულტურული მუშაობა მარტო ცირკულიარებით არ უნდა ამოიწურებოდეს. ლიტერატურის შეწოდება ადგილებისადმი მოისუსტებს.

ამხ. შენგელია
(ზუგდიდი)

პიონერთა შორის მომუშავეებმა კარგად არ იციან თავისი საქმე. ამ გარემოებას ცენტრალური ბიურო ნაკლებ ყურადღებას აქცევს. მოზარდი თაობის 100 პროცენტით დაპყრობისათვის საჭიროა კომკავშირის ორგანიზაციის ხელმძღვანელობის გაძლიერება ნ. პ. მოძრაობაზე. სკოლებში ჩვენ ბევრი გვყავს ყოფილი მღვდლები. ისინი მოწაფეს ეუბნებიან: თუ ჩემი დავალება არ შეასრულ[illegible] ხარზე გადაგცემო. ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ამასთან ერთად უნდა გაძლიერდეს ინტერნაციონალური აღზრდა, როგორც პიონერებში, ისე მთლიანად სკოლებშიაც.

ამხ. გვილრანი
(სვანეთი)

სვანეთის პიონერორგანიზაციას დასახული ჰქონდა მთელი რიგი მუშაობის შესრულება, მაგრამ ეს გეგმა მთლიანად ვერ შევასრულეთ, რადგან საამისო კადრები ჩვენ არ გვყავდა. მომუშავეთა კადრების მოსამზადებლად აუცილებლად უნდა შეიქნეს სპეციალური კურსები. საბავშვო სახლებიდან, ნაცვლად კომუნისტურად აღზრდილ ბავშვისა, ხშირად ჩვენ ვღებულობთ ხულიგნებს, ქურდებს და ყოვლად გამოუსადეგარ ელემენტებს. საჭიროა საბ. სახლების მუშაობა საბოლოოდ გამოჯანსაღდეს.

ამხ. ორმოცაძე
(გურია)

დღემდე გურიაში პიონერთა შორის მუშაობა მოისუსტებდა. თვით ქ. ოზურგეთის პიონერთა კოლექტივები ჯერ კიდევ არ გადასულან მუშაობის ახალ სისტემაზე. ამის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს სათანადოთ მომზადებული კადრების უყოლობა.

მთავარი ყურადღება უნდა ექცეოდეს ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას. მაგრამ ეს საქმე არა მარტო პიონერებში, კომკავშირშიც კი მოისუსტებს.

ამხ. ლომთაძე
(გურია)

ადგილებზე მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე გადასვლის საკითხი არ არის დამუშავებული ისე, როგორც ეს საჭიროა. კოლექტივის ხელმძღვანელი ძველებურად მუშაობს.

ეს ყოვლად დაუშვებელია. თემბიუროს ხელმძღვანელობა კოლექტივებზე სუსტია. ის ნაკლებად ათვალიერებს კოლექტივების მუშაობას. კოლექტივებში არიან ისეთი ხელმძღვანელნი, რომლებიც სრულებით არ შეეფერებიან თავიანთ თანამდებობას.

—:—

კამათის დასრულების შემდეგ კონფერენციამ იმავე სხდომაზე მოისმინა ამხ. აკ. მახათაძის საბოლოო სიტყვა.

დასასრულ ტანკი „საქართველოს კომკავშირელი"-ს ასაგებ ფონდში სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შემოვიდა რამოდენიმე ასეული მანეთი.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა მიიღო კომკავშირის მარელისის საწარმოო უჯრედიდან. ამასთან ერთად ტანკი „საქართველოს კომკავშირელი"-ს ფონდის გასაძლიერებლად აღნიშნულ უჯრედმა გადმოგზავნა 100 მანეთი.

ყრილობის დელეგატი—მეზღვაურები

მეცხრე სხდომა

გუშინ კონფერენციის საღამოს სხდომა შესდგა რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში. საბ. კავშირის საგარეო და შინაურ მდგომარეობაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. მამია ორახელაშვილმა (ამხ. მ. ორახელაშვილის მოხსენების ანგარიში მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში).

მოხსენების გარშემო კონფერენციამ მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

სხდომის დასასრულს კონფერენციას მიესალმნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელნი. გარდა ამისა კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებულ არმიას.

კონფერენციის მეათე სხდომა შესდგება დღეს, სრულ 9 საათზე სახკომსაბჭოს წითელ დარბაზში.

„საქართველოს კომკავშირელი"

ეს რა გრგვინავს,
რა გრუხუნებს,
რა მიდგანდგარებს?
ჯავშნის მბრწყინავ
თვალებს აბრუნებს
და მოხაზავს გზებს!
მოდის ზანზარით,
მაგრამ მედგრად,
მოდის, როგორც მთა,
მკლავთ მიმოხრით
რომ სდგას მხედრად
ზედ ჭაბუკი მთლად!..
„საქართველოს
კომკავშირელს"
ვინ არ იცნობს, ვინ?
ხასახელოს,
რიგში—პირველს,
სპა რომ მიდის წინ!
და ეს წინსვლა,
და ეს წევა,
დაუდეგარი,
მტერთა რისხვა,
სვრაა ძლევა,
ბრძოლა, მედგარი!
ამ ქვეყანას:
ამ მთებს, ამ წყლებს,
ახსოვთ ჭაპანი:
წარსულ ხანას
ხვდებოდნენ მტრებს
მამა, პაპანი!
წვეთ-წვეთად
გადმოვრდა
ძარღვში სისხლი მთლად,
უფრო მკვეთრად,
ლომივეთა,
დღეს რომ მოდის მთად!
მოდის მტერთა უნდო რისხვად
ჯავშნის ტიტანი,
ცეცხლ უდუს ძარღვში სისხლად,
„ანძარ-მთიხანი!..
მიზნით სხვა აქვს წინსვლის გეზი,
სხვა აქვს მიზანი,
სხვა ჟამი, სხვა ასპარეზი,—
ოქტომბრისანი!
მამა-პაპის მოსდევს მოღლილ
ბრძოლის უნარი,
ქვეყნის ჩაგრულთ ხსნის ხიშტოლოთ
დაუწყნარი!
და დაუდრომ-დაუცხრომი
გული-ლადარი,
გული-ვეფხვი, გული-ლომი,
თან მზის ხადარი!
მზეც მას მართავს, მზე-მცინარი,
გულის ჩქროლითა
საპატიო მეომარი,
უინ-უბრალო მთა!
გულიც ჩქროლით ხვდება იმას,
გული-ნაღარაც,
მზად ვარ: მივსცე ცეცხლის წვიმას
ჩემი მკლავიც!
და ერთ წევად, ერთ მიწოლად
თავს ვგრძნობ მასთან მეც!
ამის ნახვაც ღირს ბრძოლად
ყველა მტერს და მზეცს!..
„საქართველოს კომკავშირელს"
ჩემი სალამი,
მზე რომ იწვნის მის ხსნას, პირველს,
მზე, ვით ალამი!..

ნ. ზომლეთელი.

და, არსებული მდგომარეობა გარდამავალია და, პარალელურად ჩვენი სახსრების ზრდისა უნდა სწარმოებდეს მუშაობა მართვა-გამგეობის მოსახლეობასთან დასაახლოებლად სასოფლო საბჭოების ქსელის გადიდების საშუალებით.

უაღრესად სერიოზული საქმე, რომელიც დაკავშირებულია ახალი ადმინისტრატიული დაყოფის გატარებასთან, არის რაიონების და სასოფლო ერთეულების ხელისუფლების ორგანოების მოწყობა. ჩვენ მოგვიხდება შესაფერი მუშაკების შერჩევა 62 ახალი რაიაღმასკომის და 120 სასოფლო საბჭოსათვის (საკუთრივ საქართველოში).

დარაიონების ახალი სისტემის შემოღებამ რომ შესაფერი ეფექტი მოგვცეს, საჭიროა ადგილობრივი საბჭოთა აპარატის გაძლიერება და მისი შევსება გამოცდილი მუშაკებით, რომლებიც შესძლებენ სისწორით და მტკიცედ გაატარონ პარტიის და ხელისუფლების ხაზი საბჭოთა სოფლის განვითარების დღევანდელ ეტაპზე. ცხადია, მუშაკების გამოძებნა რაიაღმასკომებისა და ახალი სასოფლო საბჭოებისათვის, განსაკუთრებით ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელი კადრების შერჩევა, უნდა ჩაითვალოს პირველხარისხოვან ამოცანად. ამ ამოცანის სერიოზულობაზე მივუთითებთ ჩვენ ადგილობრივ ორგანიზაციებს. საბჭოების და აღმასკომების ხელმძღვანელ თანამდებობებზე და საბჭოთა აპარატში სამუშაოდ უნდა დავაწინაუროთ აქტიური მუშები, მოჯამაგირეები, ღარიბი და საშუალო გლეხები, მშრომელი ქალები, აგრეთვე სოფლის მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. დაწინაურება არას გზით არ უნდა ატარებდეს მექანიკურ ხასიათს. დაწინაურება უნდა შეეხოს მხოლოდ ნამდვილ საბჭოთა აქტივისტებს, რომელთაც განსაკუთრებული ნიჭი და ენერგია გამოიჩინეს საბჭოების სექციურ მუშაობაში და ადგილობრივი საზოგადოებრივი საქმეების წამოწყება-გაძღოლაში.

განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეპყრათ რაიაღმასკომების თავმჯდომარეთა შერჩევას. რაიაღმასკომის თავმჯდომარე ისეთი პირია, რომელსაც უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება თავის სამოქმედო რაიონის პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობის მდგომარეობისათვის. ამ შემთხვევაში კანდიდატების შერჩევას დიდი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. ამ თანამდებობაზე უნდა წამოვაყენოთ საუკეთესო, კვალიფიციური და მუშაობაში ნაცადი მუშაკები სამაზრო აქტივიდან, აგრეთვე ცენტრიდან პარტიული მობილიზაციით სოფლად მუშაობისათვის გადაგზავნილი პასუხისმგებელი ამხანაგები.

რაიაღმასკომის მუშაკები ჩაყენებული იქნებიან მატერიალურად შესაფერ პირობებში, რათა აცილებულ იქნას ამ მუშაკთა შედგენილობის ხშირი ცვალებადობა.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ადმინისტრატიული დარაიონება შესაფერ ცვლილებას შეიტანს ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციულ სტრუქტურაში. სასწრაფოდ უნდა გარდაიქმნას ამ ორგანიზაციების მუშაობა დარაიონების მიხედვით.

დ. ქუჩულორია.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისათვის

საკავშირო კომკავშირის ცეკას მოწოდება

მოსკოვი, 24 აგვისტო. ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის—1 სექტემბრის გამო საბჭოთა კავშირის ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ახალგაზრდა მუშებსა და გლეხებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ომის საფრთხესთან ბრძოლა ყოველდღიური კლასობრივი ბრძოლის ცენტრალურ საკითხად სდგება. ყველა ქვეყნის ახალგაზრდა მუშები და კომკავშირელები არ უნდა იყვნენ და არც იქნებიან მოსალოდნელი თავდასხმის პასიური მაყურებელნი; ისინი ყველაზე უფრო აქტიური მებრძოლნი უნდა იყვნენ და იქნებიან იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და ღირსეულად დაიცავენ მსოფლიოში ერთადერთ პროლეტარულ სახელმწიფოს—საბჭოთა კავშირს. ყველა ქვეყნის მშრომელმა ახალგაზრდობამ ამ დღეს უნდა დაანახოს ბურჟუაზიას, რომ უკვე წავიდა ძველი დრო, რომ ახალგაზრდობა მზად არის სასტიკი პასუხი გასცეს ბურჟუაზიის ყოველგვარ ცდას—ამხედროს პროლეტარი პროლეტარის წინააღმდეგ, რომ მარცხით დამთავრდება საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ყოველგვარი ცდა. საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა მუშები და გლეხები, რომლებიც დარაზმულნი არიან პარტიის გენერალური ხაზის ირგვლივ და ენთუზიაზმით აღფრთოვანებულნი არიან ხუთწლიანი გეგმით, სოციალისტური მშენებლობის ამ უდიდეს სამუშაოთა გეგმით, ახალგაზრდ. საერთაშორისო დღეს გამოვლენ ქუჩაში და დასდებენ ფიცს—დაუღალავად იმუშაონ იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის ფაბრიკებმა და ქარხნებმა იგუგუნონ ინდუსტრიალური მარშით, რომ დაქუცმაცებული წვრილი გლეხური მეურნეობა გაერთიანდეს უდიდეს კოლექტივებად, რომ საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელი მინდვრები იხვნებოდეს მრავალი ათასი ძლიერი ტრაქტორით.

ნიღაბ-აფარებული კულაკი, ნეპმანი, მღვდელი, სექტანტი, მავნებელი,— ნათქვამია შემდეგ მოწოდებაში,—ძირს უთხრიან სოციალისტურ მშენებლობას. კლასობრივი ბრძოლის ასპარეზზე შეურიგებელი ლენინელები ვიქნებით. კომკავშირი იყო, არის და იქნება პარტიის ერთგულესი დამხმარე ლენინური პრინციპების სიწმინდისათვის და გადახრათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ტროცკიზმის დამარცხების შემდეგ პარტია განაგრძობს ბრძოლას კონტრ-რევოლიუციონური ტროცკიზმის რეციდივების, ნახევრად ტროცკიზმის, წვრილ ბურჟუაზიული რევოლიუციონერობის და ყალბი რადიკალიზმის წინააღმდეგ, მან ბრძოლის მთავარი მახვილი მიმართა მემარჯვენე გადახრისა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ, როგორც მთავარი საფრთხის წინააღმდეგ რევოლიუციის განვითარების ეხლანდელ საფეხურზე.

პარტიასთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით კომკავშირი დაუღალავად შეებრძოლება ყველა ჯურის ოპორტუნიზმს, რა ნიღაბ ქვეშაც არ უნდა გვევლინებოდეს იგი.

ახალგაზრდობის მე-15 საერთაშორისო დღე დაანახვებს მთელ ქვეყანას ჩვენს მიღწევებს, რომლებიც გვაქვს ახალგაზრდა მშრომელთა მასების აქტიურ სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმის საქმეში. იგი უფრო ფართოდ გაშლის თვითკრიტიკას. ამ ბასრი იარაღით შეუბრალებლად ვამხელთ და აღმოვფხვრით ჩვენს დეფექტებს.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე იქნება კომკავშირის ბრძოლის უნარის შემოწმება, შემოწმება იმისა, თუ როგორია მისი ძალა და გავლენა მუშათა და მთელი მშრომელი ახალგაზრდობის ფართო მასებზე. ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს უფრო ძლიერ ვიდრე სხვა დროს, უნდა გაისმას ლოზუნგი—მთელი მუშა და მოჯამაგირე ახალგაზრდობა კომკავშირის რიგებისაკენ, სოციალიზმის აქტიურ მშენებელთა რიგებისაკენ.

ახალგაზრდობის მე-15 საერთაშორისო დღეს საფუძველს ჩაუყრით ყველა ქვეყნის პროლეტარული ახალგაზრდობის რევოლიუციონურ შეჯიბრებას.

ბრძოლა რევოლიუციონური თეორიისათვის,—აი ის ლოზუნგი, რომელიც კომკავშირისა და თვითეული კომკავშირელის წინაშე დასვა ახალგაზრდათა კომკავშირის მე-6 სრულიად საკავშირო კონფერენციამ. ყოველი კომკავშირელი ვალდებულია შეისწავლოს მარქსის, ენგელსის და ლენინის თეორია.

ახალგაზრდათა მე-15 საერთაშორისო დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის არსებობის წლის თავის წინ. 10 წელიწადია, რაც ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი პროლეტარული რევოლიუციის ინტერესების სადარაჯოზე სდგას. ათი წელიწადია, რაც იგი იბრძვის მსოფლიო ოქტომბრის ბარიკადებზე, როგორც კომუნისტური ინტერნაციონალის ერთგულესი დამხმარე. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე იქნება ჩვენი რიგების დათვალიერების, ჩვენი ინტერნაციონალური შეკავშირების შემოწმების დღე. ჩვენს რიგებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ანტისემიტიზმს და ნაციონალ-შოვინიზმს. მთელ ჩვენს მუშაობას გავეღენთავთ მებრძოლი ლენინური ინტერნაციონალიზმით და გამოვსჭედავთ ჩვენგან პროლეტარული რევოლიუციონერების ნამდვილ საერთაშორისო არმიას" (ტას).

ა.-კ. ყველა პროფორგანიზაციას

ძვირფასო ამხანაგებო!

1929 წლის 1 სექტემბერს მთელი მსოფლიოს პროლეტარული ახალგაზრდობა დღესასწაულობს ახალგაზრდათა მე-15 საერთაშორისო დღეს. ამ დღესასწაულის ჩატარება მოხდება ისეთ პირობებში, როდესაც დაძაბულმა საერთაშორისო მდგომარეობამ, იმპერიალისტების მუქარამ, ჩინელი მილიტარისტების მიერ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდებამ კაპიტალისტური სახელმწიფოების ომის საფრთხე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გადააქცია უფრო რეალურად, ვიდრე ოდესმე. ყველა ქვეყნის მუშათა ახალგაზრდობა, ეს ავანგარდი მსოფლიო პროლეტარიატისა, 1 სექტემბერს მწყობრი რაზმებით მოახდენს დემონსტრაციას, რათა ცხადჰყოს თავისი სოლიდარობა საბჭოთა კავშირის პროლეტარებთან, თავისი ერთგულება ლენინის იდეებისადმი, თავისი ურყევი ნებისყოფა ბრძოლაში კაპიტალისტების წინააღმდეგ მშრომელთა სამშობლოს — საბჭოთა კავშირის დასაცავად.

ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის ჩატარებაში, უნდა მიაპყრონ პროფკავშირული ახალგაზრდობის ფართო მასების ყურადღება დღევანდელი დღის შემდეგ მორიგ საკითხებს:

1. საბჭოთა კავშირზე იმპერიალისტების შეიარაღებული თავდასხმის საფრთხის მოალოდნელობას;
2. ძალებისა და საშუალებების მაქსიმუმის გამოყენებას ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განსამტკიცებლად;
3. მუშური და გლეხური ახალგაზრდობის სრულ საომარ მომზადებას იმ შემთხვევისათვის, თუ ომი მოხდება;
4. ენერგიულ მუშაობას სოციალისტური შეჯიბრების საქმეში და ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელისმოწერას, როგორც ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას და საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციას;
5. ახალგაზრდობის კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმვას თავიანთი პროლეტარული ორგანიზაციების — კომუნისტური პარტიის, ლენინური კომკავშირის და პროფკავშირების— ირგვლივ;
6. უაღრესად ენერგიულ და თავგამოდებულ მეცადინეობას, ვინაიდან ბრძოლისა და მშენებლობისათვის ახალგაზრდობა შეიარაღებული უნდა იყოს არა მარტო მატერიალურად და ტეხნიკურად, არამედ მეცნიერულად და მორალურადაც.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის ჩატარების კონკრეტული გეგმები პროფორგანიზაციებმა უნდა შეადგინონ ყოველი ორგანიზაციის მუშაობის ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, სრული კონტაქტით პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს მდივანი
შეფტელი.
კულტგანყოფილების გამგის მაგიერ
ბონდარენკო.

ა.-კ. თავდაცვა - ავიაქიმის მონაწილეობა

ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის ჩატარებაში მიიღებს უახლოეს მონაწილეობას.

ავიაქიმის ყველა ორგანიზაციები, უჯრედები და კუთხეები ჩაატარებენ მოხსენებებს თავის წევრებისათვის საერთაშორისო დღის მნიშვნელობის შესახებ.

მთავარი ყურადღება ხსენებული კამპანიის ჩატარების დროს მიექცევა ახალგაზრდობის დარაზმვას ავიაქიმის ირგვლივ და მოზარდი თაობის ჩაბმას ავიაქიმის პრაქტიკულ ორგანიზაციებში.

ამ მიზნით ავიაქიმის ორგანიზაციები, ერთის მხრივ, მიიღებენ მონაწილეობას ახალგაზრდების დემონსტრაციებში და, მეორე მხრივ, მოაწყობენ შეჯიბრებას სროლაში, ლაშქრობებს და სხვადასხვა სახის სამხედრო მეცადინეობებს.

კამპანიის დროს იწარმოებს ახალგაზრდების მიღება ავიაქიმის წევრებად.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კამპანიის მსვლელობას სოფლად. სამხედრო ხასიათის მუშაობის გარდა, ავიაქიმის ორგანიზაციები ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს გამოიყენებენ ახალგაზრდობის ჩასაბმელად ბრძოლაში მოსავლიანობის გასადიდებლად და გლეხობაში აგრონომიული ცოდნის გასავრცელებლად.

ახალგაზრდობის დახმარებით ავიაქიმის სოფლის ორგანიზაციები უჩვენებენ გლეხობას, თუ რა მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისათვის ხელოვნური სასუქის და ქიმიური ნივთიერებების გამოყენებას.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს ავიაქიმი ჩაატარებს მჭიდრო კავშირით კომკავშირის ორგანიზაციებთან.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

ვ. ი. ლენინი. თხზულებანი. ტ. I. გვ. 736. ტ. XX, გვ. 960. პირველი სრული გამოცემა მამია ორახელაშვილის რედაქციით. სახელგამი.

სოციალისტური კულტურის ასპარეზზე უდიდესი, ისტორიული მნიშვნელობის საქმე ხდება ჩვენში. ესაა კ. მარქსის „კაპიტალი"-ს და ნ. ლენინის თხზულებათა გამოცემა ქართულ ენაზე. რამდენად ვიცით, „კაპიტალი" მზათაა დასაბეჭდათ. ლენინის თხზულებათა ორი სქელტანიანი ტომი კი უკვე გამოვიდა ქართულ წიგნის ბაზარზე.

ვიმეორებთ, ეს არის ისტორიული საქმე. საქართველოს მშრომელი მასის კულტურულ ცხოვრებაში ასეთ ფაქტს დღემდე არ ჰქონია ადგილი. საქართველოს ისტორიამ არ იცის მსგავსი კულტურული მიღწევა.

მაგრამ მარქს-ლენინის ქართულად გამოცემა განა მარტო ამ მხრივაა ისტორიული საქმე? ცხადია, არა. მარქს-ლენინის გამოცემა ისტორიული მნიშვნელობისაა სულ სხვა თვალსაზრისით: ქართველი მშრომელი მასის — მუშებისა და გლეხების—გათვითცნობიერება მარქსიზმითა და ლენინიზმით, საზოგადოებრივ განვითარების მეცნიერული, მარქსისტულ-ლენინიური შემეცნება, კომუნიზმისათვის ბრძოლის თეორიული იარაღის გამახვილება და ამით ახალი საზოგადოებრივ ურთიერთობის დამყარების გაადვილება.—აი რა არის მარქს-ლენინის გამოცემის ძირითადი მიზანი, მთავარი დანიშნულება. აი რა მხრივ არის ეს გამოცემა ისტორიული.

სხვისი გადმოცემით, კომენტარიებით, უბრალო პოპულარიზაციით ძნელია მარქსიზმისა და ლენინიზმის შესწავლა. მარქს-ლენინის გენიალურ ნაწერების უშუალოდ გაცნობა, საკუთარი თვალით წაკითხვა, საკუთარი ყურით მოსმენა—ესაა მარქსისტულ-ლენინურ განათლების საფუძველი.

პროლეტარიატის დიქტატურა განვითარების ახალ საფეხურზე სდგას. ღრმად, ფართოდ და საფუძვლიანად გაიშალა სოციალიზმის მშენებლობა ჩვენში. ჩქარი ნაბიჯით ვითარდება მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია. მხურვალე რევოლიუციონური ენთუზიაზმი და მძიმე საქმიანობის „ცივი შეგრძნობა", ანდა როგორც ლენინი ამბობდა, რუსული აღმაფრენა და ამერიკული გაქანება—ასეთია ჩვენი ისტორიული მუშაობის მიმდინარე საფეხურის დახასიათება.

ჩვენს წინაშე წამოიჭრა „აზროვნების რეკონსტრუქციის" ამოცანაც. ნაჭერ-ნაჭერი, „ყურმოკრული და გაგონილი" ცოდნით უკვე შეუძლებელია ფონს გასვლა. თეორიული მომზადების რევოლიუციონური მნიშვნელობა იალბუზის მთასავით აღიმართა. სოციალიზმის საფუძვლიანი მშენებლობა მოითხოვს მარქსიზმისა და ლენინიზმის საფუძვლიანათ შესწავლას, შეთვისებას.

მძიმე პრაქტიკული საქმიანობა მსუბუქ თეორიულ მომზადებას არ ითმენს, არ ეგუება.

მარქსიზმისა და ლენინიზმის საფუძვლიანად გაცნობა, ღრმათ შესწავლა საჭირ-ბოროტო ლოზუნგი თანამედროვეობის, მთელი მიმდინარე ეპოქის. მშრომელი მასის მარქსისტულ-ლენინური გათვითცნობიერება, მარქს-ლენინის მოძღვრებით აღზრდა სოციალიზმის გამარჯვების ერთ-ერთი საწინდარია.

ლენინიზმი პროლეტარულ რევოლიუციის საბოლოო გამარჯვების ბასრი იარაღია. ამ იარაღს მოკლებული მშრომელი მასა სუსტია, უძლური.

მოკლეთ: მარქსიზმისა და ლენინიზმის ღრმათ შესწავლის პერიოდი დადგა განსაკუთრებულის სიმწვავით და აუცილებლობით.

მარქსიზმი მასებს! ლენინიზმი მასებს! — ასეთია ისტორიის ძახილი.

ამიტომ შემთხვევითი არაა მარქს-ლენინის გამოცემა.

კულტურული ოქტომბერიც დაიწყო...

ლენინის გამოცემა ნამდვილი კულტურული რევოლიუციაა ჩვენს ცხოვრებაში, საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში.

ჯერ მხოლოდ ორი ტომია გამოცემული — პირველი და მეოცე. ვინც ლენინს იცნობს, დაგვეთანხმება, რომ ასეთი „ნახტომი" ბუნებრივია. პირველი ტომი შეიცავს ლენინის ადრინდელ თეორიულ მარქსისტულ გამოკვლევებს. აქ არის მოთავსებული ლენინის შესანიშნავი ნაწერები: „ახალი სამეურნეო მოძრაობანი გლეხობაში" (1893 წ.) „რანი არიან „ხალხის მეგობრები" და როგორ ებრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატებს" (1894 წ.), „ნაროდნიკების ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში (მარქსიზმის ასახვა ბურჟუაზიულ ლიტერატურაში)", „განმარტება კანონისა ჯარიმების შესახებ" და „სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამის პროექტი და განმარტება" (1895— 96 წ.წ).

პირველი ტომი მარქსიზმის დაცვაა და დასაბუთება.

მეოცე ტომში მოთავსებულია ლენინის წერილები და სიტყვები, რომლებიც ლენინის აზროვნებისა და მუშაობის განსაზღვრულ პერიოდს ახასიათებს. ეს არის თებერვლის რევოლიუციის პირველი საფეხური, პირველი „ხანა". აქ დაბეჭდილია ცნობილი „წერილები შორიდან", „წერილები ტაქტიკაზე", ბროშურა: „პროლეტარიატის ამოცანები ჩვენს რევოლიუციაში", მრავალი „სიტყვა" და საგაზეთო წერილი მიმდინარე საკითხებზე.

რა თქმა უნდა, ვერ გამოვუდგებით ტომების კრიტიკულ გარჩევას, შინაარსის გადმოცემას, პოპულარიზაციას. ეს საჭიროც არაა: ქართველ მკითხველს უკვე აქვს საშუალება ლენინი თვითონ წაიკითხოს, გაარჩიოს, შეაფასოს. საინტერესოა მხოლოდ ერთი მომენტის ხაზგასმა. პირველ ტომში მკითხველი ხედავს ლენინს თეორიულ ბრძოლაში: ლენინი ებრძვის ნაროდნიკებს, „ხალხის მეგობრებს", „ბურჟუაზიულ ლიტერატურას". ლენინი იბრძვის მარქსიზმისათვის, იცავს მას, რუსეთის მაგალითებით ასაბუთებს. ორივე შემთხვევაში შეუპოვარია ლენინი, დაუნდობელი, მრისხანე. მან არ იცის „მიხვევ-მოხვევა", ლობე-ყური, მერყეობა. XX საუკ. გარიჟრაჟზედაც ლენინი ლენინელია, მტკიცე ბოლშევიკი. მეტად ბასრია თეორიული ბრძოლის ლენინური იარაღი. ანგრევს და ამსხვრევს ბურჟუაზიულ და ნაროდნიკულ იდეოლოგიის ციხე-სიმაგრეს ლენინის „ყიჟინი".

ასეთია ლენინის პირველი ნაბიჯები, მისი მოღვაწეობის პირველი პერიოდი. პირველი ტომი ამის ილიუსტრაციაა, დასურათება.

ვაკეთებთ „ნახტომს". ვკითხულობთ XX ტომს. საოცარი შედარებაა! აქაც მძაფრია ლენინის ბრძოლა. ლენინი ებრძვის მენშევიკ-ესერებს, კადეტებს. ლენინი იბრძვის პროლეტარულ რევოლიუციისათვის.

უკვე თეორიული არაა ეს ბრძოლა. ამ ბრძოლაშიაც შეუპოვარია ლენინი, დაუნდობელი, პირდაპირი, წარბშეუხრელი. უფრო მეტად მრისხანეა აქ ლენინი. ის გენიალურად იყენებს რევოლიუციონურ მარქსიზმს, მატერიალისტურ დიალექტიკას, ისტორიულ მატერიალიზმს—იყენებს თეორიას პრაქტიკაში.

ლენინი უდიდესი მარქსისტია, უდიდესი დიალექტიკოსი. მარქსის დიალექტიური მეთოდი მხოლოდ ლენინმა გამოიყენა სავსებით, ფართოშეუზღუდველად. რევოლიუციის ხასიათის და მიმართულების გამორკვევა, მომენტის შეფასება, ტაქტიკის გამომუშავება, პარტიის სახელმძღვანელო ლოზუნგების გამოცვლის წამოყენება—ყველა ამ ძირითად საკითხში საკვირველ ოსტატობით იყენებს ლენინი მარქსისტულ დიალექტიკას, მარქსიზმს.

აშკარაა, მკითხველს უფრო დაუდგება თმა ყალყზე, როცა ოქტომბრის პერიოდის შესწავლას შეუდგება—წაიკითხავს ლენინის ნაწერებს ივლის-ოქტომბრის პერიოდში. აჯანყებისათვის ოქტომბრის 24 ადრეა, 26—გვიანი—ამტკიცებდა ლენინი. აი, ამ ფორმულაში ჰპოვა მარქსისტული დიალექტიკის ლენინურმა გაგება-გამოყენებამ უაღრესი, გენიალური გამოხატულება...

ერთი სიტყვით, პირველი და მეოცე ტომის შედარება, ერთდროული გამოცემა მრავალმხრივათაა საინტერესო და გამართლებული.

როგორია ქართული გამოცემა?

ამ კითხვაზე შეუძლებელია ორი აზრის არსებობა. უდიდესი აღფრთოვანებით, ენთუზიაზმით და ხალისით უნდა ვსთქვათ გულახდილად: ეს გამოცემა ჩვენი საგამომცემლო კულტურის ბრწყინვალე ზეიმია და სრული გამარჯვება. მართლაც, ადამიანს „გული აგიტოკდება სიხარულით და კმაყოფილებით", როცა მაგიდაზე ასეთ ძვირფას კულტურულ განძს ხედავ, უთვალთვალებ. გეგონებათ, რუსული ან გერმანული გამოცემაა აი, ამ წუთს მიღებული! ტეხნიკურად ორივე ტომი მშვენიერათაა შესრულებული. როგორც მარგალიტი ნიგავში, ისე გაბრწყინავს ეს ტომები გუშინ თუ გუშინწინ გამოცემულ წიგნებში.

ასეთია ზოგადი, გარეგნული შთაბეჭდილება.

ეს შთაბეჭდილება სრულებით არ ჰქრება მაშინაც, როცა გამოცემულ ტომებს გაეცნობით დაკვირვებით, ყურადღებით. თარგმანი, რედაქცია, კორექტურა, ტეხნიკური შესრულება ჩინებულია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ეს პირველი მაგალითია ჩვენს საგამომცემლო ცხოვრებაში.

მთარგმნელთა საუკეთესო კადრი შეურჩევიათ. ბეჭდვითი საქმეში გამოცდილ ძალებისათვის მოუყრიათ თავი. მთავარი რედაქტორის მაგარი და გამოცდილი ხელისათვის მიუმართავთ. სარედაქციო მუშაობაშიც საკმაოდ მომზადებული ახალგაზრდა ამხანაგები გამოუყენებიათ. საუკეთესო სტამბა აურჩევიათ, სტამბის საუკეთესო მუშაკები შეურჩევიათ,— ძალღონე ოდნავადაც არ დაუზოგავთ და, ცხადია, თავგამოდებულ შრომასაც უნაყოფოთ არ ჩაუვლია.

სიმძიმის უდიდესი ნაწილი—თარგმანია და რედაქცია.

სამართლიანია ამხ. მამიას შენიშვნა: „ჩვენ... იძულებული ვართ ძნელი და ხანგრძლივი მუშაობა გავსწიოთ ორიგინალის გადმოსათარგმნელად და გადმოქართულებული ტექსტის პირვანდელი და საბოლოო რედაქციის გასაკეთებლად. ვიმეორებთ, ეს საქმე მეტად ძნელია იმიტომ, რომ თუმცა ლენინი მსუბუქათ, პოპულიარულათ სწერს, მისი სტილი და ენა ისეთი თავისებურია, ისეთი მდიდარია ორიგინალური „რუსული" გამოთქმებით, რომ მისი ნაწარმოების ზედმიწევნით სწორს თარგმანში იკარგება დიდის მომხიბლავი მშვენიერება".

სრული სიმართლეა! ლენინის სტილი მართლაც თავისებურია. ლენინს უყვარს გრძელი პერიოდები, ფიგურალური გამოთქმები. ლენინი ხელოვნურათ არ აკოწიწებს ფრაზებს, არ მიმართავს უცხო სიტყვებს, არ ეძებს მაღალ „შტილს". *) მაგრამ ლენინი მაინც ძნელია გადმოსათარგმნათ, ძალიან ძნელი. ამ სიძნელის დაძლევა მართლაც ხანგრძლივი და მძიმე მუშაობით შეიძლება. თარგმანსა და რედაქციას აშკარათ აზის ასეთი მუშაობის ბეჭედი.

ქართულ ენას უყვარს ლაკონიურობა, სიმარტივე, უბრალოება და, რასაც ჩვენ ვაქცევთ ყურადღებას,—მუსიკალობა. გრძელი წინადადება, დაუსრულებელი პერიოდები, უცხო სიტყვათა რახა რუხი, შინაგანი კონსტრუქციის და სიტყვათა ბუნებრივ თანმიმდევრობის დარღვევა— ხალხური ქართული ენის სასტიკი მტერია. ლენინის თარგმანში უსათუოდ დაცულია ქართული ენის ხასიათი, ბუნება. გრძელი რუსული წინადადება რამდენიმე მარტივ წინადადებათაა დაყოფილი. [illegible] „რუსიციზმიც" დაძლეულია საკმაოთ.

ასეთია ჩვენი დასკვნა, რომელიც თარგმანისა და რედაქციის გულმოდგინე „გასინჯვიდან" გამოვიყვანეთ.

რასაკვირველია, ეს იმას როდი ნიშნავს, ვითომ არავითარ შეცდომას, ნაკლოვანებას არ ჰქონდეს ადგილი. ცხადია, იდეალური თარგმანი ქართული ენის განვითარების თანამედროვე საფეხურზე შეუძლებელი საქმეა. არ მოგვეპოება მრავალი სიტყვა, რომლითაც შესაძლებელი იქნება ლექსიკონის შევსება,— უცხო სიტყვების გადმოღება. ამიტომაც ხშირათ ხელოვნურათ „აკეთებენ" სიტყვას... ხელოვნურად „გაკეთებულ" სიტყვას, ხელოვნურ თერმინს არ სჭირდება ხელოვნური სიკვდილი—ის ბუნებრივათ კვდება. ლენინის თარგმანში ხელოვნურ სიტყვათა კორიანტელი არ არის. ეს არის თარგმანის უდიდესი ღირსება.

არც კი ღირდა შენიშვნების მოყვანა, ნაკლოვანებათა აღნიშვნა, რა თქმა უნდა, ლენინის გადმოქართულებასთან რომ არ გვქონდეს საქმე. აქ თარგმანს მაქსიმალურ მოთხოვნილებას ვუყენებთ, ქართული ენის მაქსიმალური სისწორით დაცვასაც მოვითხოვთ. ჩვენს პირობებში მხოლოდ ლენინის თხზულებათა ქართული თარგმანია ამის ღირსი უმთავრესად.

„საჭიროა უდიდესი ყურადღება ყოველი წვრილმანისადმიც კი"—სწერდა სახელგამს ამხ. მამია.

ჩვენც შევჩერდებით ამ „წვრილმანებზე", უკეთ რომ ვთქვათ—ზოგიერთ მათგანზე. დავიწყოთ ქართულის სიწმინდიდან.

მთარგმნელებს ჩვენ სრულებით არ ვუწუნებთ ენას. პირიქით, ვაფასებთ მათ ცოდნას. მაგრამ, მოგეხსენებათ, უცოდველი პაპი ცის ქვეშ არ მოიპოება.

გვხვდება სიტყვები: „მყვლეფავი" (ტ. I, გვ. 201)—მყვლეფელი. „რაიცა" (I, 140)—რაც. „მიტომ" (I, 94)—იმიტომ. „რასმე" (XX, 14)—რამე. „იშვის" (XX, 175)—იბადება და სხვ.

გამოთქმები: „რუსის მარქსისტები" (I, 160) „რუსის კომუნისტები" (I, 258), „რუსის ლუი-ბლანი" (XX, 39) აქა-იქ სწორათაა ნათქვამი: „რუსი პუბლიცისტები" (I, 391).

წინადადებები:

„ყველა ეს გაუგებრობანი ბუნებრივად და აუცილებლად იბადებიან" (I, 106). რაკი ლაპარაკია „ყველაზე", უმჯობესია ასე გამოითქვას: „ყველა ეს გაუგებრობა ბუნებრივად და აუცილებლად იბადება". მაგ. კიდევ: „ყველა სოციოლოგიური საკითხები" (I, 135) „ანტაგონიზმის ყველა ფორმები" (I, 264)—ყველა საკითხი, ყველა ფორმა.

შემდეგ:

„კრებულის პირველ გამოცემას შეუდექით" (I,3). ჩვენის აზრით უნდა იყოს—შევუდექით: ლაპარაკია, რომ ჩვენ შევუდექით და არა თქვენ შეუდექით. კიდევ: „საჭიროც არის დაუყოვნებლივ შეუდგეთ (XX, 475). ხშირათ სწორათაა ნათქვამი: „დასკვნა გავუკეთოთ" (I. 89), „ხაზს ვუსვამ" (XX, 150).

შეცდომაა, ჩვენის აზრით:

„ჩვენ მივდივართ... მჭიდროთ შეკავშირებულნი, მტკიცედ ხელიხელ ჩაკიდებული (I, 12). აქ მრავლობითი უცბათ გადავიდა მხოლობითზე. ხან კი ხდება პირიქითაც: „რუსეთის მაგალითზე დაგვენახვებდა საზოგადოებრივ იდეების ამ კავშირს ეკონომიურ განვითარებასთან, რომელსაც იგი პირველ თავებში გვიმტკიცებდა და რომლების (?) საბოლოო დადგენა (!) შეიძლება მხოლოდ რუსეთის ცნობების მატერიალისტური ანალიზით" (I, 481). როგორც ვხედავთ, აქ მხოლობითი მოულოდნელად გადავიდა მრავლობითში ალბათ, ეს გარეგნულის მიერ „დადგენილი" თავისებური დიალექტიკაა!

„ერთსულოვნება იმ ადამიანებისა, რომლებიც, „მაღალჭეშმარიტებათა" შეთანხმებული მიღებით კმაყოფილდება" (I, 236). ცხადია, ადამიანები „კმაყოფილდებიან" და არა კმაყოფილდება.

„დასკვნის გამოტანა" (I, 261)—არაა სწორი. უნდა იყოს „დასკვნის გამოყვანა". ხშირათ სწორათაა ნათქვამი: „დასკვნებია აქედან გამოყვანილი" (I, 313). ასევე კიდევ: „დებულება, რომელიც გამოტანილია რევოლიუციის გამოცდილებათა მიხედვით"—(XX, 48).

არ ვსწერთ: გაათავა გიმნაზია" (I, 19). უმჯობესია,—დაასრულა, დაამთავრა გიმნაზია. ან კიდევ: „ისტორიას ცოცხალი პიროვნებები აკეთებენ" (I,381), უკეთესია ისტორიას ცოცხალი პიროვნებები ქმნიან.

თარგმანი:

სიტყვა „Первоначальное" ნათარგმნია სხვადასხვანაირად. აქ არის მტკიცეთ შემუშავებული ერთი სავალდებულო ცნება, თუ გინდ სტილის მთლიანობისათვის. „Первоначальное отношение" გადათარგმნილია— „პირვანდელი დამოკიდებულება" (I, 109), ხოლო „Первоначальное накопление"—„პირველადი დაგროვება" (I,625). ერთ ადგილას კი პირდაპირ ჯვარზეა გაკრული ეს თერმინი. მაგალითად: „Генезис так наз. первоначального накопления в Англии" უთარგმნიათ ასე: „ეგრედ წოდებული პირველყოფილი კაპიტალის დაგროვების გენეზისი ინგლისში" (I, 139). რასაკვირველია, სპილოს ძარღვებიც ვერ გაუძლებს ასეთ თარგმანს.

ჩვენში, საერთოდ, ხმარობენ სიტყვას— „პირველდაწყებითი". მაგ. პირველდაწყებითი განათლება—первоначальное образование. პირველადი ფილოსოფიური თერმინია. მას ეთანაბრება первичное". რაც შეეხება „პირვანდელს", ეს თერმინი ცუდი არ არის, უფრო ლაკონიურია „პირველ დაწყებითთან" შედარებით და თანამედროვეც. ამიტომ „პირველადი დაგროვება"-ს აჯობებდა „პირვანდელი დაგროვება".

„Что такое „друзья народа"... ყველგან ასეა ნათარგმნი: „რანი არიან „ხალხის მეგობრები". ერთ ადგილას დარღვეულია ეს წესი: „ვინ არიან ხალხის მეგობრები" (I, 4). ჩვენის აზრით, არც პირველი, არც მეორე შეცდომა არ არის, მაგრამ უკეთესი იქნებოდა ეთარგმნათ „ვინ არიან". მართალია, ლენინი სწერს— „Что такое" და არა „кто такие". ამაშია ერთგვარი ლენინური სარკაზმიც, „ხალხის მეგობრების" ირონია. მაგრამ განა „რანი არიან" ამოსწურავს ამას? აშკარაა, არა. „რანი არიან" ძველი ქართულია, ძნელად გასაგებია, მდაბიო მკითხველისათვის კი ხშირათ გაუგებარიც. „ვინ არიან" კი არ სტოვებს იჭვსა და ბუნდოვანების არავითარ კვალს. აქ ცნება სრულებით გამარტივებულია, გაუბრალოებულია.

ვიმეორებთ, „რანი არიან" შეცდომათ არ მიგვაჩნია, არც ვუსაყვედურებთ მთარგმნელსა და რედაქციას. ჩვენის აზრით, აჯობებდა შემოგვეღო „ვინ არიან".

„Самое понятие... автор составил"— უთარგმნიათ: „წარმოდგენა... ავტორმა შეადგინა" (I, 92). ჯერ ერთი, წარმოდგენის „შედგენა" შეუძლებელია, შეიძლება—შემუშავება. მეორე, понятие ცნებაა და არა წარმოდგენა. „С едущими эмигрантами"—„მომავალ (!) ემიგრანტებთან" (XX, 98). „Своеобразный момент"—„თავისებური ხანა" (XX, 42).

„გოტის პროგრამის კრიტიკა" (I, 672), ანდა: „გოტას პროგრამის კრიტიკა" (XX, 174).

ჩვენის აზრით, არც ერთი არაა სწორი. აჯობებს: „გოთის პროგრამის კრიტიკა". გოთა გერმანული წარმოშობისაა—gotha. რუსებს არ აქვთ ასო „თ" და ხმარობენ „ტ"-ს. გერმანული th=თ-ს. მაგალითად: თეორია=Theorien=теория. მართალია, „გოტის პროგრამა" დაკანონებულია ძველ ქართულ პუბლიცისტიკაში, მაგრამ თანამედროვე პუბლიცისტური ლიტერატურისათვის ტრადიცია არაა სავალდებულო აუცილებლად.

როგორც ვსთქვით, „რუსიციზმები" იშვიათად გვხვდება თარგმანში. მაგრამ, რასაკვირველია, აქა-იქ მაინც ვამჩნევთ მათ.

მაგალითად: „ის, რომ პროლეტარიატის გამარჯვებას ამ მონარქიაზე საფუძვლად უნდა დაედოს გლეხობის აჯანყება, ლენინს ესმოდა ჯერ კიდევ"... (I, 31—32). ნამდვილი ხალხური ქართული წინადადება იშვიათად იწყება „ის, რომ"-ით. „ის, რომ", „თუ რომ", „რამდენად"—ეს რეზოლიუციების სტილია და არა ლიტერატურული ნაწარმოების.

„რედაქციულად იგი ძალიან უხეიროა... მაგრამ იმედი გვაქვს ძირითადის შესახებ წარმოდგენას მოგცემთ" (XX, 13) ხაზგასმული სიტყვები გაუგებარია ჩვენთვის. ამ სიტყვებზე „წარმოდგენის მოცემა" (!), მგონი, თვით მთარგმნელსაც გაუჭირდება.

Достаточно простого сопоставления хотя бы приведенных только двух мест из предисловия"...—„საკმაო უბრალო შედარება თუნდაც ორი ადგილისა წინასიტყვაობიდან".. (I, 106). სიტყვა-სიტყვითაა ნათარგმნი, წინადადების წმინდა რუსული კონსტრუქციაა. განსხვავება იმაშია, რომ ქართულ თარგმანში გამოტოვებულია სიტყვა „только". ჩვენ კი ასე დავსწერდით: „საკმაო თუნდაც წინასიტყვაობიდან მოყვანილ მხოლოდ ორი ადგილის უბრალო შედარება".

ან კიდევ:

„ძალა-უფლება, რომელიც დამყარებულია პირდაპირ რევოლიუციონურ დაპყრობაზე" (XX, 123)—სიტყვა-სიტყვითაა ნათარგმნი: „Власть, опирающаяся прямо на революционный захват".

თავისუფალ გვერდზე მსხვილი ასოებითაა დაბეჭდილი: „პირველი სრულიად რუსეთის ყრილობა" (XX). აჯობებდა უსათუოდ: „სრულიად რუსეთის პირველი ყრილობა"

მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება თარგმანი უფრო ცუდი ქართულით. მოვუსმინოთ: „ამიტომ როცა მარქსისტი ლაპარაკობს რუსულ კაპიტალიზმის საჭიროებისა, აუცილებლობასა და პროგრესიულობაზე,— იგი გამომდინარეს (sic მარქსისტი გამომდინარეს?? გ. მ.) საყოველთაოდ დადგენილ (?) ფაქტებიდან, რომლებიც არ მოგვყავს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი საყოველთაოდ არიან დადგენილი (?!), რომ ისინი ახალ რამეს „არ წარმოადგენენ" (I, 367) ან კიდევ: „დასავლეთ ევროპისათვის მარქსმა დაადგინა კანონი" (I. 179).

ჩვენის აზრით, ეს ქართულის დამახინჯებაა.

წაიკითხეთ წინადადება: „ამოძრავებს მოლენებს ამ მიზნისაკენ იმ დაბრკოლებათა კედლის (!!) გადალახვით, რომლებსაც (კედელს?!) ჰქმნიან ბუნების და ისტორიული პირობების სტიქიონური ძალები" (I, 370). აქ სრულიად გაუგებარია, რისთვისაა „კედელი" ნახმარი. აქ ი რამდენიმეჯერაა ეს გამოთქმა —დაბრკოლებათა კედელი—განმეორებული. ლენინს აქვს: „Сквозь строй препятствий". ეს წმინდა რუსული გამოთქმაა და ვერავითარი ქართული „კედელი" ვერ უშველის მას.

მართალია, ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ბუნდოვანი, გაუგებარი ადგილები.

მაგალითად: „ამ თხზულების სხვა ღირებულებებს გარდა დავინახავთ, რომ მასში საუცხოვოთ შემუშავებულია მასალა ზოგადი საკითხის გადასაჭრელად ფორმების დამოკიდებულებაზე მათი არსებობის მატერიალურ პირობებთან და ეს საკითხი საუცხოვოთ არის დასმული განსაზღვრული დარგისათვის" (I, 150—151).

გულზე ხელდაკრეფით ვამბობთ, ეს ადგილი ჩვენ ვერ გავიგეთ ორიგინალის დაუხმარებლათ.

ანდა: „გავიგოთ სახელდობრ რაშია ამ გარდამავალი მომენტის თავისებურება და რანაირი ტაქტიკა გამომდინარეობს მის ობიექტიურ თავისებურებათაგან" (XX, 45). კიდევ: „რუსეთის რევოლიუცია აუცილებლად დააჩქარებს ამ პროცესს უფრო უდიდესი საზომით" (XX, 31) რუსულად: „Русская революция неизбежно ускорит этот процесс в громадных размерах". აქ სიტყვა размер-ი საზომათაა ნათარგმნი. აქედან გაუგებრობაც.

ვიმეორებთ, ბუნდოვანი ადგილები ძალიან იშვიათადაა ორივე ტომში. საქმე გვაქვს ერთგვარ გამონაკლისთან. აშკარაა, ეს „წვრილმანიც" უნდა დავსძლიოთ შემდეგ გამოცემებში.

ჩვენის აზრით, აქ უფრო მნიშვნელოვან გაუგებრობას აქვს ადგილი: „კიდევ უფრო ნაკლებ შეიძლება მათი ახსნა და გამოყვანა კაცობრიობის სულის ეგრედწოდებულ ზოგადი განვითარებისაგან" (I, 108).

დაკვირვებული და მარქსისტულად მომზადებული მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ აქ ვერაა ლენინის აზრი სწორათ გადმოცემული. „ეგრედწოდებულს" უწოდებენ არა „ზოგად განვითარებას", არამედ „კაცობრიობის სულს". ამ შემთხვევაში „ეგრედწოდებულად" გამოცხადებულია „კაცობრიობის სულის ზოგადი განვითარება" მთლიანად. ლენინიც სწერს: „...еще менее возможно их об'яснять и выводить из так наз общего развития человеческого духа". ვფიქრობთ, გასაგებია ეს.

ანალოგიური მაგალითი კიდევ:

რუსული ტექსტი: „До какой степени глубок упадок земледельческого хозяйства у крестьян бедной группы, это лучше всего видно из того, что автор отказывается даже ответить на вопрос, как именно ведется у них это хозяйство".

თარგმანი: „თუ რამდენად დიდი და ღრმა სამიწათმოქმედო მეურნეობის დაცემა ღარიბ გლეხების ჯგუფებში, ეს საუკეთესოდ სჩანს იმ გარემოებიდანაც, რომ ავტორი უარს ამბობს პასუხი გასცეს კითხვაზე, თუ რანაირი წესით სწარმოებს მათში მუშაობა" (I, 72).

ჩვენ ვფიქრობთ, ეს ადგილი სუსტადაა ნათარგმნი. აქ ქართული სტილი მინგრეულ-მონგრეულია. გამოტოვებულია სიტყვა „даже", სამაგიეროთ ჩამატებაც არის. სიტყვები „видно из того" ნათარგმნია: „სჩანს იქიდანაც". ასო „ც" რა საჭიროა? ლენინი სწერს „видно и из того", ე. ი. სჩანს, ხსვა

---

*) ინტერესისათვის: იხ. ლენინის წერილი „Об очистке русского языка" კრებულში: „Ленин и искусство", 1929.

პურის დამზადება

გორის მაზრაში სახ. დამამზადებელ პუნქტებზე გამუდმებით მოდის ხორბლით დატვირთული საზეიმოდ მორთული ურმები. — „არც ერთი მარცვალი კერძო ვაჭრებს“. — ასეთია ღარიბ და საშუალო გლეხთა ლოზუნგი.

გარე-კახეთის რაიონში კოოპერაციას სძინავს, ჩარჩი კი თავისუფლად აწარმოებს პურის შესყიდვას

პროფკავშირების მონაწილეობა პურის დამზადების კამპანიაში

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე გარჩეულ იქნა საკითხი პურის დამზადების კამპანიაში პროფკავშირების მონაწილეობის შესახებ.

ქალაქისა და სოფლის პროფორგანიზაციებმა პურის დამზადების მიმდინარე კამპანიაში მაქსიმალური აქტივობა უნდა გამოიჩინონ. მათ ხელი უნდა შეუწყონ განხორციელებას, პურის დამზადების გეგმის სწრაფად და მთლიანად შესრულებას.

ამ მიზნით პროფკავშირებმა თავიანთ წევრთა შორის უნდა ჩაატარონ ფართო ახსნა-განმარტებითი კამპანია პურის დამზადების კამპანიის მნიშვნელობის შესახებ. მიღებულ უნდა იქნეს ზომები, რომ კავშირის წევრები, რომლებსაც სოფლად მოეპოვებათ საკუთარი მეურნეობა, ინიციატორებს წარმოადგენდნენ სახ. დამამზ. ორგანიზაციებისათვის პურის ჩაბარების საქმეში.

გარდა ამისა პროფკავშ-რები უნდა შეუდგნენ მუშათა ბრიგადების გაგზავნას სოფლად, რომლებიც დახმარებას გაუწევენ გლეხობას პურის კრეფის საქმეში.

პროფკავშირებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ მუშათა ბრიგადები გლეხობას „გასტროლიორების“ სახით არ მოევლინონ, ამისათვის კი საჭიროა ბრიგადებზე პროფკავშირების მხრივ ყოველდღიური ხელმძღვანელობის გაწევა. მუშათა ბრიგადები არ უნდა კმაყოფილდებოდნენ პურის დამზადების კამპანიის მნიშვნელობის განმარტებით მათ თავისი მონაწილეობა პურის დამზადების საქმეში უნდა დაუკავშირონ მომავალ თესვის კამპანიისათვის მზადებას.

პროფორგანოების მიერ დაწესებული უნდა იქნეს მასიური კონტროლი პურის დამამზადებელ ქვედა აპარატზე და კოოპერაციაზე.

მედსანშრომის და განათლების კავშირებმა უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ პურის დამზადების კამპანიის ჩატარებაში ჩაბმულ იქნეს სოფლის ინტელიგენცია. მიწა-ტყის კავშირმა ხელი უნდა შეუწყოს მოჯამაგირეთა და სასოფლო-მეურნეობის მუშათა მონაწილეობას დამზადებაში.

საერთოდ, პროფკავშირებმა ისე უნდა წარმართონ თავიანთი მუშაობა, რომ გაშლილ იქნეს შეჯიბრება სახელმწიფოსათვის პურის თავის დროზე და მეტი რაოდენობით ჩაბარებაზე.

პურს აბარებენ

კვირას, 18 აგვისტოს, გორის რაიონის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის შენობის წინ საზეიმოთ ჩამწკრივებული იყო 20-მდე ურემი. სკრის ხეობის სამმა სოფელმა დამამზადებელ პუნქტს ჩააბარა რამდენიმე ასეული ფუთი ხორბალი, რომელიც პირველ ორ დღეში იქნა შეკრებილი.

განსაკუთრებით უკანასკნელ დღეებში პურის დამზადება ჩქარის ტემპით მიმდინარეობს. მიუხედავად კულაკების და ჩარჩ-ვაჭრების ჭორების, საშუალო და ღარიბებს გლეხებს უკვე კარგათ ესმით პურის დამზადების მნიშვნელობა.



პურის დამამზადებელ პუნქტისაკენ

ურმები მორთული იყო პლაკატებით და ლოზუნგებით: „არც ერთი გირვანქა პური კერძო ვაჭარს“, „გლეხებო, გასაყიდი პური ჩააბარეთ სახ. დამამზადებელ პუნქტებს“ და სხვა.

სკრის ხეობამ გლეხებს შემოუერთდა სამი სხვა სოფლის გლეხობაც,

სოფლებში ბოიკოტი გამოუცხადეს კულაკებს, რომლებიც [illegible] პირნახულს სახ. დამამზადებელ ორგანოებს არ აბარებენ.

დიდი წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე სათესლე ფონდის ბეღლების დაარსება. ზოგ სოფლებში უკვე ააგეს სასოფლო ბეღლები და შეუდგნენ თესლის მოგროვებას.

ქ. გ.

კოოპერაციას სძინავს

(წერილი გარე-კახეთიდან)

წელს გარე-კახეთში საკმაოდ კარგი მოსავალი მოვიდა. რამდენიმე წელიწადია გლეხობას არც ახსოვთ პურის ასეთი დიდი მოსავალი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ წლევანდელი კარგი მოსავლით ისარგებლეს ყოველგვარი სახის ჩარჩ-სპეკულიანტებმა, რომლებიც ყანის გაჭრისთანავე კალიასავით მოედევენ სოფლებს.

გარე-კახეთის მშრომელ მოსახლეობას სწორედ ეხლა, მოსავლის აკრეფის დროს, სჭირია ფული. სპეკულიანტებმა კარგად აუღეს ამ გარემოებას, ისინი ავანსებს აძლევენ გლეხებს და ამ გზით სრულიად მცირე ფასებში იძენენ მათგან პურეულს. გარე-კახეთის მთელ რიგ სოფლებში: საგარეჯო, მანავი, კაკაბეთი, ჩაილური და სხვ. მრავლად დაძრწიან სპეკულიანტები, რომელნიც პურს ამზადებენ თავიანთი საკუთარი ჯიბის გასასქელებლად. კოოპერატიული ორგანიზაციები კი ძალზე სუსტად ჰკიდებენ ხელს, აქა-იქ ადგილებზე, მართალია, არსებობს პურის დამზადებისათვის ხელის შემწყობი კომისიები, მაგრამ ბევრი მათგანი მხოლოდ ქაღალდზე ირიცხება.

კოოპერატივების უმრავლესობას არ გააჩნია ფართლის საკმაო მარაგი, რომელზედაც გლეხობა სიამოვნებით გადასცვლიდა პურს.

საუკეთესო მომენტი გლეხობის კოოპერაციაში წევრად მიზიდვისათვის ეხლაა, რომ კოოპერატიულ ორგანოებმა საჭირო ფხიანობა გამოიჩინონ. მათ ეხლა ადვილად შეუძლიათ პურიც დაამზადონ და თავისი წევრების რიცხვიც გაადიდონ. სამწუხაროდ ამ საქმის შესახებ თითქმის არავინ ფიქრობს.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელნიც განზე დგანან პურის დამზადების საქმიდან, რის გამოც გლეხობა ნაკლებად არის გარკვეული პურის დამზადების საკითხებში.

ამჟამად სოფლად თავმოყრილია ჩარჩ-სპეკულიანტები. ზოგიერთ მათგანს ამერიკული ძველი ტანსაცმელი შეუძენია პურზე გადასაცვლელად, ზოგს იორ-მუღანლოდან მოუტანია ნესვ-საზამთრო და უბან-უბან პურზე სცვლის, ზოგიც სესხულობს დიდი პროცენტით პურს და სხვა.

ამრიგად დღეს გაფთრებული ბრძოლაა პურის დამზადების ირგვლივ. ყველა ჩქარობს, ყველა ფუსფუსებს პურის შესაძენად. ასეთ დროს კოოპერატიულ ორგანიზაციებს გულგრილობა არ ეპატიებათ.

გ. ბარსიაშვილი.

არც ერთი მარცვალი კერძო დამამზადებელთ

(გორის მაზრა)

16 აგვისტოს სოფელ ზემო და ქვემო ხურვალეთში შესდგა ღარიბ და საშუალო გლეხთა კრებები, სადაც განიხილეს საკითხი პურის დამზადების შესახებ. გლეხობამ ერთხმად მიიღო შემდეგი დადგენილება:

„არ გაიყიდოს არც ერთი მარცვალი პური კერძოთ, სანამ სოფელი არ შეასრულებს სახელმწიფო პურის დამზადების გეგმას. პურის სახელმწიფოსათვის ჩაბარება მოეწყოს საზეიმოთ“.

ამ კრების შემდეგ ქვემო ჭალის თემის სოფლებმა მიბაძეს ხურვალეთელებს. იქაც ეწყობა ამ საკითხზე ღარიბ და საშუალო გლეხობის კრებები. სოფ. კოდის წყარო, ნადარბაზევი და სხვ.), რომლებზედაც გამოაქვთ დადგენილება არც ერთი მარცვალი არ მიყიდონ კერძო ვაჭრებს, დაამზადონ პური ნავარაუდევი გეგმის მიხედვით და აგრეთვე აიძულონ კულაკები ჩააბარონ ზედმეტი ხორბალი კოოპერატივს.

სოფლებში კრებებზე გლეხობამ აირჩია პურის დამზადების დამხმარე კომისიები, რომელთაც დაევალა გეგმის შესრულებისათვის თვალყურის დევნება ხელის შეწყობა.

გ. მჭედლიშვილი.

პოლონეთის მუშათა დელეგაცია თბილისში

პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

გუშინ დილით პოლონეთის მუშათა დელეგაცია დაესწრო საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომას. საუბარში, რომელიც 2 საათზე მეტი გაგრძელდა, დელეგატები დაწვრილებით გაეცნენ საქართველოს პროფმოძრაობას, შრომის პირობებს, უმუშევართა მდგომარეობას, უმუშევრობის მიზეზებს, სოციალურ დაზღვევის საქმის, ქალებისა და ახალგაზრდობის მდგომარეობას, სამუშაო დღის ხანგრძლივობას და სხვ.

ზემოხსენებულ საკითხებზე სწორი და ამომწურავი ცნობების მიღების შემდეგ დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. ოტო [illegible] განაცხადა, რომ დელეგაციამ თავის თვალით ნახა, თუ როგორი ენთუსიაზმით და ენერგიით აწარმოებს საქართველოს მუშათა კლასი სოციალისტურ მშენებლობას და როგორ მკვიდრ ნიადაგზე სდგას საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება. პოლონეთის მუშათა კლასი მთელი ძალღონით იღწვის ხელი შეუწყოს მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერებას და სოციალისტურ მშენებლობას საბჭოთა კავშირში, ხოლო თუ პოლონეთის ფაშიზმი გაბედავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებას, პოლონეთის პროლეტარიატი ამ ომს გადააქცევს ომად შინაური მტრების წინააღმდეგ, დაამხობს პოლონეთის ფაშისტურ ხელისუფლებას და მის ნანგრევებზე ააშენებს საბჭოთა პოლონეთს.

პროფსაბჭოს პლენუმის საზეიმო სხდომაზე

გუშინ საღამოს მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგა საქართველოს პროფსაბჭოს საზეიმო სხდომა საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებთან ერთად პოლონეთის მუშათა დელეგაციის პატივსაცემად.

სხდომაზე ამხ. ვ. ანთიძემ დაახასიათა საქართველოს პროლეტარიატის ბრძოლა მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ და ენერგიული მუშაობა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე გასაბჭოების შემდეგ.

ამხ. ანთიძემ მოუწოდა დელეგაციის წევრებს გადასცენ პოლონეთის მუშათა კლასს საქართველოს პროლეტარიატის მხურვალე სალამი და აცნობონ, რომ საქართველოს პროლეტარიატს არ სურს ომი, იგი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩაბმულია მშვიდობიან აღმშენებლობაში, მაგრამ თუ ვინმე დაემუქრება ამ მშვიდობიან შრომას, იგი იარაღით ხელში დაეცემა მტრებს და უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაიცავს საბჭოთა წყობილებას.

საქართველოს პროლეტარიატს, განაცხადა ამხ. ანთიძემ,—სჯერა, რომ თუ პოლონეთის ფაშიზმი გაბედავს ჩვენთან ომის დაწყებას, პოლონეთის პროლეტარიატი ამ შემთხვევას გამოიყენებს შინაური მტრების შესამუსრავად და მაღლა აღმართავს რევოლიუციონურ წითელ დროშას.

ამხ. ანთიძის სიტყვის შემდეგ პოლონეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა პოლონეთის მუშათა დელეგაციის მდივანმა ამხ. ლანცუცკიმ. რომელსაც აუდიტორიამ ოვაცია გაუმართა.

შემდეგ პოლონეთის მუშათა დელეგაციას მიესალმენ რკინის გზელ მუშების სახელით ამხ. ი. ტურიკაშვილი, მელითონეთა სახელით შოშინი, მოჯამაგირეთა სახელით ამხ. ხასანი, ადგილობრივ ტრანსპორტის მუშების სახელით ამხ. სტეპანოვი და რემდასის სახელით ამხ. დარახველიძე.

მისალმებების შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია და სხდომა დაიხურა.

შემდეგ პოლონეთის მუშათა დელეგაციის პატივსაცემად გაიმართა საღამო-კონცერტი.

ჩვენი ხე-ტყის მასალა იტალიის ბაზარზე

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის (იტალიაში) სატყეო განყოფილების გამგე ამხ. ბარაბაში, რომელმაც დაათვალიერა ამიერ - კავკასიის სატყეო მრეწველობის საწარმოები ადგილებზე და შეამოწმა, თუ რამდენად შესძლებენ ეს საწარმოები ევროპის სხვადასხვა ბაზრებისთვის მისაღებ ხე-ტყის მასალის დამზადებას.

იტალიის ბაზარზე ჩვენი ხე-ტყის მდგომარეობის შესახებ ამხ. ბარაბაშმა ჩვენ თანამშრომელთან საუბარში განაცხადა: გასულ წლამდე ამიერ - კავკასიიდან უცხოეთის ბაზარზე გადიოდა მხოლოდ ძვირფასი ჯიშის ხე-ტყის მასალა, როგორიც არის ბზა, კაკლის ხე და სხ. გასული წლიდან კი ჩვენ უცხოეთის ბაზარზე დავიწყეთ მასიური სატყეო საქონლის გაზიდვა და უნდა განვაცხადოთ, რომ ამ მხრივ განვლილ წელ'ში უკვე საგრძნობი მიღწევები გვაქვს.

იტალიის ბაზარზე განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ამიერ - კავკასიის სოჭის და წიფელის მასალამ. ჩვენებური სოჭის მასალა იტალიაში იხმარება ბეტონის სამუშაოებზე (გემთსაშენებში) და საამშენებლო მასალად. ამ ხე-ტყეზე იქ დიდი მოთხოვნილებაა. იტალიის ხე-ტყის საქმის სპეციალისტების დასკვნით, ჩვენებური ხე-ტყის მასალა მიჩნეულია მაღალ ხარისხის მასალად და სრულიად არ ჩამოუვარდება ჩვენი კონკურენტების საქონელს, მოწონებულია აგრეთვე მისი დამზადება-დამუშავებაც.

დიდი ყურადღება მიიქცია აგრეთვე ჩვენებური წიფელის ფიცარმაც (ფანერა). ერთი სიტყვით, იტალიის ბაზარზე ჩვენმა ხე-ტყის მასალამ უკვე მიიპყრო დიდი ყურადღება.

საერთოდ იტალია ბუნებრივი ბაზარია ჩვენი ხე-ტყისათვის და ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ ამ ბაზრის საბოლოოდ დასაპყრობად. ამისთვის საჭიროა ხე-ტყის დამუშავების კიდევ უფრო გაუმჯობესება და თვითღირებულების შემცირება.

დამუშავების გაუმჯობესების მიზნით ამჟამად მიღებულია მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც გამოიხატება ხე-ტყის არსებული ქარხნების რეკონსტრუქციაში და რამდენიმე ახალი ქარხნების მოწყობაში ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

ამჟამად ბევრად გაუმჯობესებულია სავაჭრო საქმის ხელმძღვანელობა მთავარ ექსპორტიორ „ზაკგოსტორგი“-ს მიერ, რომელმაც უკანასკნელი წლის განმავლობაში ამ მიზნით მოიწვია 5 სპეციალისტი ინჟინერი და 6 ექსპერტი. მიღებულია აგრეთვე ზომები ახალი კადრების მოსამზადებლად, რა მიზნითაც პრაქტიკაზე მოწვეულია 5 სტუდენტი და ახლო მომავალში მოწვეული იქნება 3 დაწინაურებული მუშა. ჩვენი ხე-ტყის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას ხელს უწყობს ტრესტების შეთანხმებული მუშაობა და ქარხნებში მომუშავე მუშების გულწრფელი დაინტერესება პროდუქციის გაუმჯობესებით.

ერთ ჩვენ დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს გზების უქონლობა, რაც საგრძნობ გავლენას ახდენს თვითღირებულებაზე და აძნელებს დამზადებული მასალის გაზიდვას. ჩვენ უმთავრეს ამოცანად უნდა დავისახოთ ტრანსპორტის მექანიზაცია (თუნდაც საკანადო გზები), რომ ამ გზით შევამციროთ ზედნადები ხარჯები და ხე-ტყის ექსპორტიდან მივიღოთ ჯეროვანი მატერიალური ეფექტი (ვალიუტით).

ამჟამად დიდი ყურადღება ექცევა მეორე ხარისხოვანი ხე-ტყის მასალის ექსპორტის მოგვარების საქმეს. ამ მიმართულებით სწარმოებს მუშაობა როგორც უცხოეთის ბაზარზე, აგრეთვე ადგილობრივაც.

უკვე გვაქვს იმისი ნიშნები, რომ ეს საქმეც წარმატებით დაბოლოვდება და ჩვენი ხე-ტყის მასალა იტალიის ბაზარზე ახლო მომავალში დაიჭერს გაბატონებულ მდგომარეობას.

მიწა-ტყის მუშაკთა თბილისის საოლქო კონფერენცია

პირველი და მეორე სხდომა

23 აგვისტოს, საღამოს შრომის სასახლის მცირე დარბაზში გაიხსნა მიწა-ტყის კავშირის თბილისის საოლქო კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგის პირველ საკითხად დასმული იყო კავშირის ცენტრალური გამგეობის მოხსენება განვლილი მუშაობის შესახებ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. მელიქაძემ.

თბილისის ოლქში,—ამბობს მომხსენებელი ითვლება არა ნაკლებ 6000 მოჯამაგირე, მათგან ბევრი ჯერ კიდევ არ არის ჩარიცხული კავშირის წევრად. მოჯამაგირეთა კავშირში ჩაბმა განსაკუთრებით სუსტად მიმდინარეობდა ყარაიაში, წალკაში და ბაშკიჩეთში. უნდა აღინიშნოს, რომ მასიური მუშაობა დღემდე სათანადო დონეზე კიდევ არ სდგას. თბილისის ოლქში (ქ. თბილისის ჩათვლით) ჩვენ მოგვეპოვება 23 წითელი კუთხე, 11 წიგნთსაცავი და 10 რადიო-მიმღები. განსაკუთრებით მოისუსტებდა მწყემსთა შორის მუშაობა, მათი დაფანტულობის გამო.

კავშირს აქვს მიღწევებიც. შედარებით წარსულ წელთან სასოფლო-სამეურნეო და ტყის მუშათა ხელფასი გაზრდილია: საბჭოთა მეურნეობებში—12 პროცენტით, აბრეშუმის წარმოებებში—10 პროცენტით, ხე-ტყის დამზადების დარგში—9,1 პროც., „საქართველოს ჩაი“-ს დარგში—9,5 პროცენტით. მოჯამაგირეთა ხელფასი საშუალოდ გადიდებულია—აფხაზეთში—25 პროც., აღმოსავლეთ საქართველოში—9 პროც. და დასავლეთ საქართველოში—16 პროც.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. მინდიაურმა, იზეთ ასკეროვმა, წიკლაურმა, ამირიანმა, ოგანეზოვმა, კვანტალიანმა, სააკოვმა, მარტიროსიანმა, კახიანმა, თასოშვილმა, პაპანდოპულომ, დუმბაძემ, კიკვაძემ, ჰასან-ახმედ-ოღლიმ, სარქისოვმა და სხვ.

კამათი გაგრძელდა გუშინ დილის სხდომაზე დაც. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ ცენტრალური გამგეობა კმაყოფილდებოდა ცირკულიარების გზავნით ადგილებზე და ცოცხალი კავშირი ქვედა ორგანიზაციებთან ძალზე მოისუსტებდა. მოჯამაგირეთა შორის კულტმუშაობას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს და გამონახული უნდა იქნეს თანხები კულტმუშაობის საჭიროებისათვის. ბევრ მოჯამაგირეს წარმოდგენაც არ აქვს, თუ ვის, ან როგორ ემსახურება კავშირი. ზოგიერთ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები უყურადღებობას იჩენენ მოჯამაგირეთა შრომის პირობების გაუმჯობესების საქმეში. მოჯამაგირესა და დამქირავებელს შორის წარმოშობილი შრომის კონფლიქტები ზოგჯერ მთელი თვეობით აწყვია განუხილველი სასამართლოებში. შრომის ინსპექტორებიც იშვიათად იკვლევენ მოჯამაგირეთა შრომის პირობებს.

კამათის დამთავრების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. მელიქაძის საბოლოო სიტყვა.

თათართა რესპუბლიკის მწერლების დელეგაციის ჩამოსვლა

გუშინ სალ. 6 საათზე თბილისში ჩამოვიდა თათართა რესპუბლიკის მწერლების დელეგაცია, რომელსაც სადგურზე შეხვდნენ საქართველოს პროლეტ. მწერალთა ასოციაციის, საბჭოთა მწერლების ფედერაციის და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. დელეგაციას მისასალმებელი სიტყვით მიმართა ამხ. შ. რადიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ შეიქნა შესაძლებელი იმ ერების დაკავშირება, რომლებსაც ერთნაირად აწიოკებდა და სჩაგრავდა თვითმპყრობელობა და რომელთა შორის იგი ხელოვნურად სთესავდა შუღლსა და სიძულვილს.

ასეთივე მდგომარეობა იყო ამიერ-კავკასიაში მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების ბატონობის დროსაც. ეხლა ამიერ კავკასიის ერები, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირში შემავალი ერები, მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი და ხელიხელ ჩაკიდებული ეწევიან სოციალისტურ აღმშენებლობას.

ამ მტკიცე პოლიტიკურ-ეკონომიურ კავშირს ეხლახან დაერთო კულტურული კავშირი. მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა კავშირის ხალხებმა უფრო ახლო გაიცნონ კავშირში შემავალი ყველა ხალხების შემოქმედება, ლიტერატურა და სოციალისტური მშენებლობა. ახლო მომავალში ეს მიზანიც მიღწეული იქნება, რის თავდებიც არის თათართა რესპუბლიკის მწერლების ჩამოსვლა საქართველოში.

საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის სახელით დელეგაციას მიესალმა ბ. ჟღენტი.

თათართა რესპუბლიკის მწერლების სახელით სიტყვა წარმოსთქვა გ. ნიგმატმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დელეგაცია აღფრთოვანებულია იმ გარემოებით, რომ საშუალება ეძლევა გაიცნოს საქართველოს კულტურასა და აღმშენებლობას. ოქტომბრის რევოლიუციამდე თათართა ერის კულტურული ცხოვრება მიძინებული იყო. პროლეტარული მწერლობა სავსებით არ ყოფილა. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ თათრებმა მოიპოვეს არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიური უფლებები, არამედ ამ ხალხს საშუალება მიეცა კულტურულ დარგშიც გამოეჩინა თავისი ნიჭი და უნარი, რომელსაც თვითმპყრობელობა უხეშად ახშობდა. 10 წელზე მეტია სწარმოებს კულტურული მუშაობა, მაგრამ თათართა ლიტერატურა ჯერ თათართა რესპუბლიკის ფარგლებს არ გასცილებია. ამიტომ თათარისტანის მწერლებმა გადასწყვიტეს გაეცნონ მოძმე რესპუბლიკების კულტურულ მიღწევებს. დელეგაცია მოვიდა საქართველოში, იმ ქვეყანაში, რომელსაც აქვს ძველი მდიდარი კულტურა და დიდი ახალი პროლეტარული ლიტერატურა, არა იმ მიზნით, რომ დასტკბეს საქართველოს იშვიათი ბუნებით, არამედ, რომ გაეცნოს და შეისწავლოს მისი მიღწევები აღმშენებლობის და კულტურის ფრონტზე.

დელეგაციის სახელით სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე. დელეგაციის წევრებმა გუმერ გალიევმა და კუტუიმ. უკანასკნელმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ თვითმპყრობელობა განსაკუთრებით სდევნიდა და სჩაგრავდა თათართა ხალხს. ქალაქ ყაზანის ერთ-ერთ მთავარ ქუჩის თავსა და ბოლოში გაკრული იყო დაფები, რომელზედაც ეწერა: „ქუჩაზე გავლა ეკრძალება ძაღლებს და თათრებს“. მაგრამ ეს შავბნელი დღეები ისტორიას ჩაბარდა.

დელეგაციის წევრების სიტყვებს ფარავდა მქუხარე ტაში.

დელეგაციაში არის პროლეტარული მწერალი ქალი ხარვარ ადგამოვა. დელეგაცია დღეს დაათვალიერებს რევოლიუციის მუზეუმს, ნაციონალურ გალერეას, საქართველოს მუზეუმს და სხვა კულტურულ დაწესებულებებს. საღამოს დელეგაციის საპატივცემოდ ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გაიმართება საზეიმო საღამო.

უცხოელ კომკავშირელთა დელეგაცია

გუშინ საღამოს კავკავიდან თბილისში ჩამოვიდა ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალის მიერ გამოგზავნილი უცხოელ კომკავშირელთა დელეგაცია, რომელშიაც შედის 8 გერმანელი, 3 ინგლისელი, 3 შვეიცარიელი, 2 შვედი და 1 ნორვეგიელი კომკავშირელი.

დელეგაციის მიზანია გაეცნონ ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობას, კომკავშირის ყოფა - ცხოვრებასა და მუშაობას, და დაამყარონ კავშირი საბჭოთა კავშირის და საზღვარგარეთელ კომკავშირულ ორგანიზაციათა შორის.

დელეგაციამ მოიარა ლენინგრადი, მოსკოვი და სხვა დიდი ცენტრები, სადაც დაათვალიერა ქარხნები და გაეცნო მუშებისა და კომკავშირელების ყოფა-ცხოვრებას.

თბილისში დელეგაცია დარჩება 27 აგვისტომდე, დაათვალიერებს წითელი არმიის ბანაკს, სტალინის სახელობის ქარხანას, ტრამვაის პარკს და სხ. შემდეგ დელეგაცია გაემგზავრება ბაქოში, სადაც დარჩება ორ დღეს. ბაქოდან დელეგაცია დაბრუნდება თბილისში და ორი დღე მონაწილეობას მიიღებს წითელი არმიის მანევრებში, რის შემდეგაც ბათომით გაემგზავრება ნოვოროსისკში.

დიფერენციალურ პაიზე გადასვლის საკითხი

თბილისის მუშკოოპში

დიფერენციალური პაის შეგროვებისათვის თბილისის მუშკოოპს საჭირო საორგანიზაციო მუშაობა უკვე ჩატარებული აქვს. კოოპერატიულ აქტივს, — კოოპკომისიების სახით მიცემული აქვთ საჭირო ინსტრუქციები ახალი პაის შეგროვების შესახებ.

ჯერ - ჯერობით დიფერენციალური პაის მთლიანად შეგროვება იმ გრადაციის მიხედვით, რომელიც შემუშავებულია, შეუძლებელი ხდება იმ მოსაზრებით, რომ ეს მუშა-მოსამსახურის ბიუჯეტზე მოახდენს გავლენას. ამავე დროს კოოპერატივის მძიმე ფინანსიური მდგომარეობა, რაც გამოწვეულია კოოპერაციისათვის საბანკო კრედიტების შემცირებით, მუშკოოპის გამგეობას აიძულებს მიიღოს რამე საკუთარი თანხის დასაგროვებლად.

ამის გამო ამჟამად მთელ თბილისში ტარდება დიფერენციალური პაის ანგარიშში ავანსების შეკრება. ამის შესახებ სათანადო ინსტრუქციები კოოპკომისიებს უკვე მიცემული აქვთ.

ავანსების შეკრება სწარმოებს შემდეგი სახით: მუშკოოპის წევრები — მუშა - მოსამსახურეები, რომლებიც იღებენ თვიურად ხელფასს 20-დან — 100 მანეთამდე ავანსის სახით იხდიან — 3 მანეთს; ის პირები, რომლებიც იღებენ თვეში 100-დან — 150 მანეთამდე იხდიან — 5 მანეთს; 150-დან — 225 მანეთამდე — 10 მანეთს და 225 მანეთის ზევით — 15 მანეთს.

დიფერენციალური პაის შეკრების წარმატებით ჩასატარებლად თბილისის მუშკოოპი ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში. მას დადებული აქვს სოციალისტური ხელშეკრულება, ჩრდილო - დასავლეთის სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირთან.

მუშკოოპის ამ ღონისძიებას ფართოდ ეხმაურებიან თბილისის წარმოება - დაწესებულებების მუშა - მოსამსახურეები და ისინიც იწვევენ ერთმანეთს დიფერენციალური პაის უკეთ გადახდაში.

მაგალითად ზაჰესის მუშა - მოსამსახურეებმა თბილისში უკვე გადაიხადეს სრული პაი და შეჯიბრებაში გამოიწვიეს წყალსადენის და არსენალის მუშა - მოსამსახურეები.

ა.-კ. სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებაში

ა.-კ. სატრანსპორტო - სამომხმარებლო საზოგადოების ხაზით დიფერენციალური პაის შეგროვების საქმე დაგვიანდა იმის გამო, რომ საზოგადოების რწმუნებულთა ყრილობა დაგვიანებით იქნა მოწვეული. ამას გარდა ამ ახალ ღონისძიების გატარებას ხელს უშლის ტეხნიკური ხასიათის დაბრკოლებები. ვინაიდან სატრანსპორტო კოოპერაციის მეურნეობა უფრო რთულ სახეს წარმოადგენს, ვინემ ქალაქის, ძნელი ხდება წევრთა ხელახალი რეგისტრაციის გატარება. თვით აპარატში ამისათვის საჭირო მომზადებული კადრი საზოგადოებას არ მოეპოვება და ამის გამო საზოგადოების გამგეობა იძულებულია მოიწვიოს ძალები თავის აპარატის გარეშე.

ყოველ შემთხვევაში დიფერენციალურ პაიზე გადასვლა ა.-კ. სატრანსპორტო კოოპერაციაში არ გადასცილდება 1 ოქტომბერს. ახლო მომავალში მოწვეული იქნება თბილისის უბნის პროფესიონალური აქტივის კრება, რომელზედაც გამორკვეული იქნება დიფპაიზე გადასვლის ტეხნიკური შესაძლებლობანი. გამოყოფილი იქნებიან პაის შემკრებლები გზის ცალკე განყოფილების და სამქროების მიხედვით. მათ მიეცემათ სათანადო ინსტრუქციები და შეუდგებიან პაის შეგროვებას თანამოსამსახურეთა შორის. თითოეულ გამოყოფილ ამხანაგს დაევალება პაის შეგროვება კოოპერატივის 100 წევრის შორის.

შეკერილი ტანისამოსის განაწილება კოოპორგანიზაციებს შორის

მუშკოოპის გამგეობის და ვაჭრობის მომწესრიგებელი ორგანოების დაკვირვებით, თბილისის ბაზარზე უფრო მეტი მოთხოვნილება არსებობს ადგილობრივ საქციო საზ. „მკერავი“-ს მიერ დამზადებულ ტანსაცმელზე, ვიდრე შემოტანილზე. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ჯერ „მკერავი“-ს მიერ დამზადებული ტანსაცმელი უფრო აკმაყოფილებს ადგილობრივ მოთხოვნილებას (ფასონი და სხვა) და მეორეს მხრივ ეს ტანსაცმელი შეკერილია უფრო მკვიდრად და საიმედოთ.

„მკერავს“ მუშკოოპთან დადებული აქვს ხელშეკრულება, რომლის მიხედვით იგი 1930 წლის 1 იანვრამდე ვალდებულია თავისი პროდუქციის 95 პროცენტამდე ჩააბაროს მუშკოოპს.

მიმდინარე წელს „მკერავი“-ს პროდუქციის ღირებულება უდრის 2.024.000 მანეთს. მომავალი წლის გეგმით ეს პროდუქცია გაფართოებული უნდა იქნეს 8.500.000 მანეთამდე. ამასთანავე გაბათილებული იქნება „მკერავსა“ და მუშკოოპს შორის ამჟამად მომქმედი ხელშეკრულება და „მკერავი“-ს მთელი პროდუქცია განაწილებული იქნება შემდეგნაირად: ცეკავშირს მიეცემა მთელი პროდუქციის 30 პროც., მუშკოოპს—50 პროცენტი, „ზაკტპო“-ს — 10 პროც., „ზაკვოენპო“-ს —10 პროცენტი.

შემოდგომის თესვისათვის

თათბირი

შემოდგომის თესვის საკითხების განსახილველად 28 აგვისტოსათვის მოწვეულია სამაზრო სამიწადმოქმედო განყოფილებათა გამგეების და მაზრის აგრონომების რესპუბლიკანური თათბირი.

თესვის კამპანიის რესპ. კომისიის ცირკულიარული წერილი სამაზრო ხუთეულს

თესვის ჩამტარებელმა რესპუბლიკანურმა კომისიამ სამაზრო ხუთეულებს მიმართა წერილით, რომელშიაც ნათქვამია:

მომავალი შემოდგომის თესვა გლეხების და საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებათა წინაშე აყენებს მთელ რიგ საპასუხისმგებლო ამოცანებს, რომელთა წარმატებით გადაჭრა ღრმა და გაორკეცებულ მუშაობას მოითხოვს.

ერთ ასეთ ამოცანად მიჩნეული უნდა იქნეს თანხების ეკონომია და მიზანშეწონილად გამოყენება. ვინაიდან სახელმწიფოს არ შეუძლია მთლიანად თავის საშუალებებით დააკმაყოფილოს თესვის კამპანიის მოთხოვნილებები, ადგილობრივი მუშაკები ვალდებულნი არიან მაქსიმალურად და ინტენსიურად გამოიყენონ საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებანი და სხვა ადგილობრივი შესაძლებლობები. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სესხებისა და კრედიტების თავის დროზე და დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახლად მიღებულ მანქანა - იარაღების დროზე და მიზანშეწონილად განაწილებას. ვინაიდან იარაღ - მანქანების არსებული მარაგი მეტად მცირეა და ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, — ადგილობრივი მუშაკები და აგრო-ორგანიზაციები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მანქანა - იარაღების მაქსიმალური დატვირთვა.

შემოდგომის თესვის საკითხების დამუშავებაში ადგილებზე ფართო მონაწილეობა უნდა მიიღონ სოფლის საბჭოებმა, საწარმოო თათბირებმა, სოფლის ყრილობებმა და აგრორწმუნებულებმა, რომლებიც ვალდებულნი არიან უშუალოდ უხელმძღვანელონ თესვის საქმეს. ამავე მიზნით სოფლად გაიგზავნებიან მუშათა ბრიგადები და კომკავშირელთა ჯგუფები. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ამთავითვე უნდა დაამყარონ მტკიცე კავშირი მათთან.

სამაზრო აგრონომებს ევალება აგრომინიმუმის დაჩქარებით ჩატარება იმ რაიონებში, სადაც იგი ჯერ კიდევ არ არის ჩატარებული. ახლო მომავალში უნდა დამთავრდეს აგრორწმუნებულების არჩევა. განსაზოგადოებულ სექტორში ფართოდ უნდა ჩატარდეს ანეულის კამპანია, რაც საგრძნობლად გაადიდებს მოსავლიანობას.

თესვის კამპანიისათვის გადადებული კრედიტები განაწილებული უნდა იქნეს ზედმიწევნით სწორად. კრედიტები პირველ რიგში უნდა მიეცეს კოლმეურნეობებს და შემდეგ ღარიბ და საშუალო გლეხებს. ასევე უნდა მოხდეს იარაღ - მანქანების განაწილება.

თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებაში უახლოესი და აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრონომებმა და ინსტრუქტორებმა, რომლებიც ამ მიზნით მაქსიმალურად უნდა იქნან განთავისუფლებული სხვა საქმეებიდან. ადგილობრივი ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველჰყონ აგრონომიული პერსონალი სატრანსპორტო საშუალებებით.

რა ხდება ადგილებზე

პროდუქციის თვითღირებულების შემცირება

ქუთაისი, 24 აგვისტო. ქუთაისის თამბაქოს ფაბრიკამ 5 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება. თვითღირებულება თანდათან მცირდება აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკაშიაც. შრომის ნაყოფიერების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ქუთაისის თამბაქოს ფაბრიკაში ერთი მუშის გამომუშავება, შარშანდელთან შედარებით, წელს 11 პროცენტით გაიზარდა. შრომის ნაყოფიერება იზრდება აბრეშუმის ძაფ-სახვევ ფაბრიკაშიაც, სადაც აპრილში, მარტთან შედარებით, შრომის ნაყოფიერება 20 პროცენტით გაიზარდა.

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში იანვარსა და თებერვალში ერთი მუშის გამომუშავება დღეში შეადგენდა 200 კილოგრამ ქვანახშირს, ხოლო მარტსა და აპრილში — 270 კილოგრამს. (ადს)

ახალციხე - აბასთუმანის გზატკეცილი

ბორჯომი, 24 აგვისტო. ამასწინად საქართველოს კურორტთა მთავარმა სამმართველომ ახალციხე - აბასთუმანის გზატკეცილის ქვეშ, კურორტ აბასთუმანის ფარგლებში, ჩაალაგა წყალსადენის და კანალიზაციის მილები. კურორტთა სამმართველომ ეს სამუშაო იჯარით გადასცა „ვოდოკანალსტროი“-ს საამშენებლო კანტორას.

საქართველოს საგზაო სამმართველომ მილების ჩაწყობის ნებართვა გასცა იმ პირობით, რომ მილების ჩაწყობის შემდეგ გზატკეცილი სათანადოდ აღედგინათ.

მიუხედავად ამისა, „ვოდოკანალსტროი“-ს კანტორამ და კურორტთა მთავარმა სამმართველომ გზატკეცილის აღსადგენად არავითარი ზომები არ მიიღეს.

ეს კიდევ ცოტაა: „ვოდოკანალსტროი“-მ, კანალიზაციის და წყალსადენის გაყვანის დროს გზისთვის დამზადებული 800 კუბიკურ მეტრზე მეტი ხრეში მიწით დაფარა, ხოლო ნაწილი გაფანტა.

ასეთმა მოქმედებამ ახალციხე - აბასთუმანის გზა ძალიან დააზიანა. მის აღდგენას 27.650 მანეთი დასჭირდება.

საქართველოს კურორტთა მთავარმა სამმართველომ ყურადღება არ მიაქცია იმას, რომ მისმა მოიჯარადრემ ასე დააზიანა გზა.

რადგან კურორტთა სამმართველომ არ იკისრა გზის აღდგენა საქართველოს საგზაო ტრანსპორტის სამმართველომ საჩივარი აღძრა 27.650 მანეთის ანაზღაურების შესახებ. (ადს)

სახელმწიფო აპარატის წმენდის გამო

ბორჯომი, 24 აგვისტო. ბორჯომის პროფბიუროში მოხდა ბორჯომის და მისი რაიონის პროფკავშირის წევრთა კონფერენცია, რომელმაც განიხილა საბჭოთა აპარატის მომავალი წმენდის საკითხები. კონფერენციაზე წმენდის შესახებ მოხსენება გააკეთა პარტიის რაიონული კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგემ ამხ. ეზრალიძემ. მან აღნიშნა, რომ საჭიროა მომავალ წმენდაში მონაწილეობა მიიღონ მუშათა ფართო მასებმა. წმენდის ჩატარების პრაქტიკულ ღონისძიებას უნდა წარმოადგენდეს მასში კედლის გაზეთების მონაწილეობა და დაწინაურებულთა მომზადება. მომხსენებელმა მოუწოდა დამსწრეთ — აღმოფხვრან ის დაბრკოლებები, რომლებიც ადგილებზე ხელს უშლიან წმენდის საქმეს. (ადს)

ბორჯომის და აბასთუმანის გადაღება კინოთი

ბორჯომი, 24 აგვისტო, საკურორტო სამმართველოს მოწვევით ბორჯომში მოვიდა საქართველოს სახკინმრეწვის სპეციალური კინო-ექსპედიცია, ბორჯომის ბუნების და ყოფაცხოვრების გადასაღებად. შემდეგ ექსპედიცია ამავე მიზნით გაემგზავრება აბასთუმანში. ბორჯომისა და აბასთუმნის საკურორტო ცხოვრების ორივე კინოფილმი ამ ზაფხულზევე დამთავრდება და შემოდგომაზე ნაჩვენები იქნება თბილისის კინო თეატრებში და საქართველოს და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში (ადს).

კლასობრივი ხაზის დამახინჯებისათვის

სოხუმი, 24 აგვისტო. კოოპერაციის იდეის დამახინჯებისა და კერძო ვაჭრებისათვის მფარველობის გაწევის გამო სამუშაოდან მოხსნილ იქნა სოფ. აჟარის (აფხაზეთის სვანეთი) საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარე კორძაია. საქმე პროკურორს გადაეცა.

სახელმწიფო სარემონტო სახელოსნოები

სოხუმი, 24 აგვისტო. მიმდინარე შემოდგომის თესვის კამპანიაში აფხაზეთის სხვადასხვა პუნქტებში პირველად მოეწყობა 12 სახელმწიფო სარემონტო სახელოსნო. (ადს).

340 ახალი ფარდული

სოხუმი, 24 აგვისტო, თამბაქოს მოსავლის აკრეფის დასაწყისისათვის აფხაზეთში მოეწყობა 340 ფარდული თამბაქოს გასაშრობად. ამ საქმეზე დაიხარჯება სესხად გაცემული 270.000 მანეთი, რასაც მოსახლეობის სახსრებიც დაემატება. პირველად არის შემოღებული ჯგუფური ფარდულების აგება; თითო ასეთ ფარდულში გაერთიანებული იქნება 3-4 მეურნეობა. ძველი ფარდულების შესაკეთებლად გადადებული 150.000 მანეთი ვერ აკმაყოფილებს მეთამბაქოეთა საჭიროებებს.

მოსავლის დალუპვა

ონი, 23 აგვისტო. ზემო-რაჭაში, სოფელ მრავალძალში დიდმა წვიმამ და მტრედის კვერცხის სიმსხო სეტყვამ სრულებით გაანადგურა ჯერ კიდევ მოუმკელი ქერი. დაილუპა სათიბებიც. ზარალი დიდია. (ადს)

შირაქში ხანძარი ჩააქრეს

როგორც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში იყო მოთავსებული, 22 აგვისტოს შირაქის ველზე გაჩნდა ხანძარი, რომელიც სწრაფად გაძლიერდა.

გუშინ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა კახეთის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. აფციაურისაგან დამატებით მიიღო შემდეგი დეპეშა: „გლეხების ენერგიული დახმარებით და თავგანწირულ ბრძოლის შემდეგ 23 აგვისტოს ღამის 3 საათზე შესაძლებელი გახდა ხანძრის ჩაქრობა. დაიწვა საბჭოთა მეურნეობის 10.000 ფუთი თივა, ხორბლეულის ნაწილი და გლეხების თივის რამდენიმე ზვინი. ხანძარმა გაანადგურა აგრეთვე საზამთრო საძოვრები 12 ჰექტარის სივრცეზე.

ხანძრის გაჩენის მიზეზებს და ზარალს იკვლევს სპეციალური კომისია.

—:—

ხანძარი გორში

გორიდან მიღებული ცნობით ალის ტყეში გაჩენილი ხანძარი ნაწილობრივ ჩაქრობილია. მისი გაძლიერების საშიშროება აღარაა.

შორის, იქიდანაც. აი რამდენად უდიდესი სიფრთხილეა აქ საჭირო.

ჩვენის აზრით, აჯობებდა ეს ადგილი ასე გადმოეთარგმნათ: „ღარიბ გლეხების ჯგუფების სამიწათმოქმედო მეურნეობის დაცემა რამდენად ძლიერი და ღრმაა, ეს ყველაზე უკეთესად სჩანს იქიდან, რომ ავტორი უარს ამბობს პასუხი გასცეს იმ კითხვებზედაც კი, რანაირი წესით აწარმოებენ ისინი ამ მუშაობას“. ყოველ შემთხვევაში, აჯობებდა ასე.

ასეთია ჩვენი შენიშვნები. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ორი ათას გვერდის მანძილზე ეს შენიშვნები ზღვაში წვეთს მოგვაგონებს. შეუძლებელი იყო ორი ვებერთელა ტომის თარგმნა უშეცდომოთ. მაგრამ შეცდომაც არის და შეცდომაც. აქ შეცდომებს ძალიან ნაკლებათ ვხვდებით. უმთავრესი აღვნიშნეთ კიდეც.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ უნაკლო, იდეალური თარგმანი მთელ მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად თუ მოიპოვება. მაგალითად, ინგლისურათ ნათარგმნი „კომუნისტური მანიფესტი“ გერმანულ გამოცემის იდეალური ასლი არ არის. „კომუნისტური მანიფესტი“ ამავე დროს ერთგვარი მხატვრული დოკუმენტიცაა: გასაოცარია მისი სტილი, ენა, მხატვრული სახეები... შევნიშნავთ კიდევ, რომ უაღრესად განვითარებულ ევროპიულ კულტურულ ენებს ჯერაც არ მოეპოვება ბაირონის, ბალზაკის, ფლობერის, გოეტეს, შილერის, როლანის და სხვა მსოფლიო ხელოვანთა ყოველმხრივ უნაკლო „ნათარგმნევი“. თარგმანი, საერთოდ, უახლოვდება ორიგინალურს, მაგრამ ვერ აღწევს მას სავსებით. ამიტომაც არ არის თანაბრად ძლიერი თარგმნისა და ორიგინალის შთაბეჭდილება. თარგმნის კულტურა ჯერ კიდევ ემორჩილება ამ კანონს.

ლენინის თხზულებათა ქართული თარგმანიც, ცხადია, არ არის იდეალური. მაგრამ ეს თარგმანი უეჭველად საუკეთესოა და აშკარად გამოირჩევა ქართულ თარგმნილ ლიტერატურაში.

წაიკითხეთ და დარწმუნდებით.

კორექტურა იშვიათია. ამბობენ, ცხრაჯერაა კორექტურა გასწორებულიო. სჩანს, მართლაც მძლავრი ყოფილა კორექტურის [illegible] ტალღა. შევნიშნავთ მხოლოდ: ხშირად ხაზის მაგიერ დეფიზია ნახმარი. მაგ. — „1895—99, 1905—907 და 1912—14 წლები“ (I, 3). დეფიზი იხმარება მაშინ, თუ ორ სიტყვას შორის არაფერია გამოტოვებული. მაგ. გულ-მკერდი. აქ კი გამოტოვებულია „წელი“ შემდეგ, სიტყვის გადატანა. გადატანილია „პი-რველი“ და სხ. ასე არ ვარგა.

ტეხნიკურად წიგნები იმდენად შნოიანადაა გამოცემული, რომ აქ სალაპარაკოც არაფერია.

შრიფტიც მოხდენილადაა შერჩეული. კარგათაა გამოყენებული ლინოტიპის ახალი შრიფტი, თეთრი მთავრული, რომელსაც თამამად შეგვიძლია „გოგუაძის ასოები“ ვუწოდოთ: სტამბის მუშას, ამხ. მ. გოგუაძეს ეკუთვნის შრიფტის გამომუშავება და, ამრიგად, ქართული შრიფტის გამდიდრებაში „ისტორიული“ ღვაწლი მიუძღვის.

ლენინის ამ პირველი ორი ტომის გამოცემა ჩვენი სასტამბო ტეხნიკის სრული გამარჯვებაა, პოლიგრაფიულ მრეწველობის დიდი მიღწევაა. ეს არის პოლიგრაფიულ მრეწველობის ინდუსტრიალიზაციის უტყუარი ნიშანი.

აუცილებლათ საჭიროა პაკების დამზადება —შეუძლებელია ასეთი წიგნების უპაკოთ დატოვება. უკულტურობა და დანაშაული იქნება ეს.

დასასრულ, ჩვენ გვინდა მივაქციოთ ყურადღება ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს.

ლენინის თხზულებათა ეს აკადემიური გამოცემა მასიური არ არის. სხვათა შორის ამას მოწმობს გამოცემის მხოლოდ ხუთი ათასიანი ტირაჟი. ერთი სიტყვით, ლოზუნგი: „ლენინი მასებს“ ამ გამოცემაში ვერ პოულობს გამოძახილს.

ამხ. მამია წინასიტყვაობაში გვპირდება 5—6 ტომის ცალკე გამოცემას. ამ ტომებში მოთავსდება ლენინის რჩეული ნაწერები. ალბათ, ეს გამოცემა იქნება მკითხველთა ფართო მასისათვის გათვალისწინებული.

ეს ჩინებული აზრია. მაგრამ, ჩვენის აზრით, არც რჩეულ ნაწერების ცალკე ექვსტომიანი გამოცემაც იქნება მასიური გამოცემა. ჯერ ერთი, როგორც წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, ეს 6 ტომი დაიბეჭდება ლენინის თხზულებათა მთლიანად გამოცემის შემდეგ. ამას საკმაო დრო მოუნდება. მეორე, ექვსივე ტომის შეძენა გაუძნელდება ხელმოკლე მკითხველს.

ჩვენი წინადადებაა ახლავე შევუდგეთ „ლენინის ბიბლიოთეკის“ შედგენას. უნდა გამოიცეს ცალკე ბროშურებათ ლენინის რჩეული ნაწერები, სიტყვები, რაც შეიძლება მასიური ტირაჟით და იაფად. რასაკვირველია, ეს გამოცემა არ იქნება „აკადემიური“, და ეს არცაა საჭირო ამ შემთხვევაში. ცალკე აპარატი არ დასჭირდება ამ საქმეს: უნდა გამოვიყენოთ ლენინზე მომუშავეთა არსებული კადრი. მაგალითად, ახლავე შეიძლება I და XX ტომიდან ლენინის შესანიშნავი წერილებისა და სიტყვების ამოღება, ცალკეთ ამობეჭდვა, სპეციალურად გამოცემა.

ჩვენ ვაყენებთ ამ საკითხს და ვფიქრობთ, სათანადო ორგანოებიც გამოგვეხმაურება. კიდევაც მივაღწევთ ლენინიზმის მასიურათ გავრცელების მიზანს: რამდენიმე წლის შემდეგ გვექნება ლენინის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა, ექვსტომიანი რჩეული ნაწერები და „ლენინის ბიბლიოთეკა“. ამჟამად „ლენინის ბიბლიოთეკა“ მოითხოვს გამახვილებულ ყურადღებას.

მთავარია გავრცელების საქმე. არც ერთი წიგნი არ უნდა დარჩეს გამომცემლობის საწყობში. უნდა იქნას მიღებული რადიკალური ზომები ლენინის თხზულებათა გასავრცელებლად.

ამ საქმეში უდიდესი ინიციატივა ჩვენი პარტიისა და კომკავშირის წევრებმა უნდა გამოიჩინონ. გროშ-შაურათ არ ვარგა ის კომუნისტი, კომკავშირელი, რომელიც აქტივათ ითვლება და ლენინის თხზულებათა ამ აკადემიურ გამოცემას არ მოაწერს ხელს, არ შეიძენს, არ წაიკითხავს...

ლენინის აკადემიური გამოცემა ჩვენი პარტიის, კომკავშირისა და პროფორგანიზაციების აქტივის „კულტურული გამოცდაა“.

ვნახოთ, როგორ იქნება ეს გამოცდა ჩაბარებული...

გრ. მუშიშვილი.

ნიუ-იორკი

(შთაბეჭდილებანი)

— ქართველები, როგორ არა, არიან, ცხოვრობენ ამერიკაში, მაგრამ მე მაინცა და მაინც მათთან დიდი არაფერი კავშირი მაქვს, მითხრა მისტერ სმიტმა, როდესაც შევეკითხე:

— ქართველებს ხომ არავის იცნობთ მეთქი?

— ქართველები, განაგრძო სმიტმა, ერთს დროს დიდს მოწონებაში იყვნენ აქ. ცირკში გამოდიოდნენ, ცხენებზე კასრის მოსატეხ რაღაცას თამაშობდნენ. ეს კარგა ხნის ამბავია. ეხლა მათი ასავალ-დასავალი გაჰქრა. არ ვიცი, იქნებ, ისევ უკან დაბრუნდნენ. თითო-ოროლა, იქნებ, ეხლაც არიან სადმე, მაგრამ მათი ცნობა არა მაქვს.

— ნუ თუ ამ ვეება ქალაქში, ამ 7—8 მილიონ ხალხში, ერთი ათიოდე ქართველი არ უნდა იყოს?! არ მჯერა.

— შეიძლება იყოს კიდევაც, მაგრამ ნახვა არ უნდა? ეძიე შენ ამდენ ხალხში ქართველი. ოჰ, როგორ არა?! ვიცნობ ერთს მოსწავლე ახალგაზრდას. აქ ცხოვრობს. ამასწინათ ჩემთან მოესწავლებიათ, იყო, მართლაც, ჩემთან მისამართი და ტელეფონის ნომერი დამიტოვა.

— იქნებ მომცეთ ეს მისამართი, მე თვითონ მოვძებნი.

— კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ეგ რა საჭიროა. სახლში რომ გავბრუნდები, მოვნახავ იმ ქაღალდს, მე დავურეკავ და გადავცემ, რომ მან თითონ მოგინახულოსთ.

ამაზე შევთანხმდით. ამის შემდეგ რამოდენიმე დღემ გაიარა. მე სრულებით გადამავიწყდა ეს ამბავი და ერთს საღამოს, როცა სახლში ვიჯექი და ინგლისურ სიტყვების გაზეპირებით „ვირთობდი თავს“, ეს ქართველი ახალგაზრდა სრულებით მოულოდნელად დამეცა თავზე.

— კი, რასაკვირველია, მე თქვენ კარგად გიცნობთ. თქვენ გაზეთებში სწერდით ხოლმე, მეუბნება ეს ახალგაზრდა.

— სიდაური ბრძანდებით? ვეკითხები მე.

— ქუთაისელი გახლავართ.

— დიდი ხანია, რაც საქართველოში აღარ ყოფილხართ?

— კარგა ხანია.

— მაინც?

— იქნება ასე ცხრა წელიწადი.

გამოირკვა, რომ ეს ახალგაზრდა პირველად გერმანიაში ყოფილა სასწავლებლად წამოსული ჯერ კიდევ მენშევიკების დროს. იქ აღარ მოუცდია და ამერიკაში გადმოხვეწილა. ამერიკაში სულ რაღაც ოთხი წელიწადია რაც ვარო, მითხრა.

— არ აპირობთ საქართველოში დაბრუნებას?

— როგორ არ ვაპირობ. მაგრამ... გაუჭირდა მეტის თქმა.

— მაგრამ, რა? ჩამოვართვი მე სიტყვა.

— ვინ გამიშვებს? ვინ მომცემს იქ წასვლის უფლებას?

— განა რატომ? დანაშაული ხომ არაფერი მიგიძღვით?

— არაფერი, მე ჯერ კიდევ მთლად ბავშვი ვიყავი იქიდან რომ წამოვედი. არც არაფერი დამიშავებია და არც არაფერი გამიკეთებია—ვსწავლობდი.

— ეხლა აქ რას აკეთებ?

— მე ჯერ გერმანიაში ვიყავი, იქ [illegible] სწავლა დავამთავრე უმაღლეს სასწავლებელში, მას უკან აქ ვარ და აქ პრაქტიკულად ვეცნობი ამ საქმეს. დიდი გამოცდილება შევიძინე.

ჩვენი მუსაიფი კარგა ხანს გაგრძელდა. დღევანდელ საქართველოს შესახებ მას რაღაც ველური წარმოდგენა აქვს. როგორც ჰგავს ჩვენს შესახებ მხოლოდ ის იცის, რასაც ბურჟუაზიული პრესა მოჰყვება. ჩემი ნათქვამი სანახევროთ სჯერა. იჭვიანობს, ალბათ, დარწმუნებულია საგანგებოთ შემოჩენილი ვინმე, უნდა გზა და კვალი ამიბნიოსო.

მისი „მორჩილება“ არ შეადგენს ჩემს მიზანს. ვიცი, რამდენადაც მიეძალები, იმდენად „ფეხს გაიდგამს“. როგორც ეტყობა, მინდა მაინც გამოვიყენო ის აქაური ქართველების მოსაძებნათ.

მისგან მე, მართლაც, მივიღე ერთი აქაური ქართველი ოჯახის მისამართი. ვეცდები ვნახო და გავეცნო მათ აქაურ ყოფა-ცხოვრებას.

— თქვენ გაგიჭირდებათ მათი მიგნება. მე ეხლავ დაურეკავ, ვკითხავ, როდის შეიძლება მათი ნახვა და დანიშნულ დროზე ერთად წავიდეთ.

დანიშნულ დროს მე და ჩემი ახალ გაცნობილი ქართველი (—რა ხელობის არის მე თვითონ არ ვიცი, თქვენ რა გითხრათ—) ერთი სიტყვით ეს ქართველი ახალგაზრდა და მე უკვე ვიყავით იმ კარებთან, რომელსაც ინგლისურათ ეწერა „მისტერ ჩელი“.

— შეგეშალა, ალბათ, აქ, როგორც ჰგავს ვიღაც ამერიკელი ცხოვრობს.

— არა, არა, ეს არის, ჩვენებური კაცია, გვარათ ჰელიძე, რაჭველი უნდა იყოს. ვყოფილვარ რამოდენიმეჯერ მე მასთან.

კარებში თვითონ მისტერ ჩელი გამოგვეგება ერთი შეხედულებით ნამდვილი ამერიკელია. წვერ ულვაში ძირზე აქვს მოსისინილი. ძალიან მარჯვე რწყილი უნდა, რომ ფეხი მოიკიდოს. გავეცნო, გამაცნო თავისი მეუღლე—მისის მერი ჩელი. ესეც ნამდვილი ამერიკელი მანდილოსანია. ნებივრათ ცხოვრობენ, როგორც ჰგავს ეს გაამერიკელებული ქართველები. ეს მეტადრე ამ ქალს ეტყობა. ტანისამოსი, [illegible], ავეჯი, მაგრამ იმდენად და იმდენი, რომ [illegible] ტანს ზოგ-ზოგიერთი ადგილა [illegible] და სხვადასხვა სამკაულები ჩამოაკიდოს.

ჩვენი თითქმის ნაძალადევი სტუმრობა საწყენათ არ დარჩენიათ. გულღიათ მიგვიღეს.

ქმარი ჯარგვალა ბიჭია. ფართო და რქისგან გაკეთებული მსხვილ რგოლებში ჩაყენებული სათვალეები აქვს. ეს თითქოს აქაურ ამერიკულ იერს ჰგვრის მის სახეს, მაგრამ, ქცევა, მიხრა-მოხვრა და სიტყვა-პასუხი... ეს სულ არ ჰგავს ამერიკელისას—ნამდვილი ჩვენებური ქალაქელი ავარა-ბიჭია.

მისი მეუღლე მერი კი უფრო ნაკლებათ ჰგავს ამერიკელს. ის ჩვეულებრივი რუსი ქალია. ერთად ერთი, რაც ორთავეს ნამდვილი ამერიკული აქვს, ეს მათი სახელი და გვარია.

„მისტერი“ უფასო დამატებაა ყოველი სახელისა და გვარის. ამ სიტყვას დიდი გასავალი აქვს და არავითარი ფასი: მისტერია თვით [illegible], მისტერია ქუჩის დამგველიც. სახელი ჩემს ნაცნობს გარი, ანუ კიდევ ჰარი ჰქვია. გადაკეთებულია, რასაკვირველია ჩვენებურა სახელიდან. ეს აქ დასაძრახისი ან და აკრძალული რამ არ არის. ვინაც რას სახელსა და გვარს მოისურვებს, იმას დაირქმევს. ჩვენში ეს, ალბათ, გრიგოლი, გრიშა ან სხვა ასეთი სახელის პატრონი იქნებოდა, აქ ჰარი, თუ გარი გამხდარა.

რატომ მოხდა ეს ცვლილება?!

ამის პასუხი თვით მისტერ ჩელისაგან არ გამიგონია, არც კი არის საჭირო ამის გამოკითხვა.

ჩამოვიდა, ალბათ ამერიკაში—1905 წლის შემდეგ პოლიცია დაჭერას მიპირობდაო, ასე ამბობს თვითონ—ვიღაც რაჭველმა როგორ ჩამოაღწია აქამდე ალაჰმა უწყის, თანაც მარტო ხომ არ ჩამოსულა, მეუღლეც თან ჩამოუყვანია. ხელობა რაღაც სკოდნია.

ეს უენო და უფულო ადამიანი დახეტიალობდა, როგორც ჰგავს, ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში ლუკმა პურის საშოვნელად.

ძნელია უცხო ქვეყანაში შენი კუთხის ქუდითა და სამოსელით გამოჩენა, უფრო ძნელია, როდესაც ამერიკელს რაღაც უცხო და უცნაურ სახელს ეუბნები, რომლისათვისაც მას გაუჭირდება ყურის შეჩვევა.

გამოჩნდა, ალბათ, ვიღაც მადლიანი ადამიანი, შეიძლება, ისიც იმავე წესით ჩამოსული ამერიკაში, და ურჩევია სახელი გამოიცვალეო.

მაგრამ რას ნიშნავს ეს ჩელი? მას უნდა ვკითხო.

— ჩემი ნამდვილი ქართული გვარი ჰელიძე არის, მითხრა მისტერ ჩელმა. რაჭველი ვარ. ჭრებალოს ახლოს ვცხოვრობდით, ლეჩხუმის საზღვარზე. აქ მოკლე გვარები იციან და მეც ჩემი გვარი ასე გადავაკეთე.

მაგრამ მარტო გვარი და სახელი რომ არ შველის ადამიანს?

აქაც უუთათ გამოუჩენია ჭრებალოდან წამოსულ ჰელიძეს. დაუდევს სამართებელი და ისე პირწმინდათ „გაუხვისნია“ პირის სახე, რომ ბუმბული აღარსად დაუტოვებია. ვინ იცის, ეს სამართებელი, იმას, შეიძლება, ქუთაისში ჰქონდა ნაყიდი „ებრაელების ბაზარში“—იქ, სადაც მანეთად საგანს დაგიფასებდნენ და შემდეგ ორ უზალთუნად შემოგაძლევდნენ. ვინ იცის, ეს სამართებელი იმას ეხლაც აქვს სადმე შემონახული.

ამერიკელი ჰარი ჩელი, თანაც მისტერი. გვარი და სახელი ისეთი აქვს, როგორც საზოგადოთ არის წესათ შემოღებული ამერიკაში. გამოწყობილი და მოკაზმულიც ისე, როგორც შეშვენის ამერიკელს.

—ქართული გახსოვთ, შევეკითხე მე მას, როდესაც სასტუმრო ოთახში შეგვიპატიჟა და რაღაც რუსულ, ინგლისურ-ქართულ ნარევით დაიწყო ბოდიშის მოხდა. თითქოს იმის თქმა უნდოდა, მე თვითონ უნდა მოვსულიყავი და უნდა მენახეთო, თუ სხვა რამ ამის მზგავსი.

— ქართული? ძალიან ცოტა, ძალიან ცოტა! მე აგერ დევიატსოტ პიატი გოდას შემდეგ აქ ვცხოვრობ. რაჭველ კაცს რომ კილოზე არ შეეტყოს, არ შეიძლება. ქართული იმდენად დავიწყებული არ ექნება, მაგრამ, როგორც ჰგავს, არ უნდა გამხილოს—იქნებ ეშინია ამერიკული „ფასონი“ წამიხდებაო.

— ამერიკაში რა ენას ხმარობთ?

— ინგლისურს.

ვერაფერი ნათქვამია ეს „ანგლიცური“, მაგრამ რას მოჰკიდებს მისტერ ჩელის, როდესაც მას ქართული დავიწყებია და ეს „ანგლიცური“ ალბათ ისე იცის, ჩვენში რომ იტყვიან „[illegible]“.

— ცხოვრობენ კიდევ ქართველები ამერიკაში?

— არიან, როგორ არა! არიან, მაგრამ ბევრს მათგანს ვერ ვიცნობ. შორს არიან, მისვლა-მოსვლა გვიჭირს.

მისის მერი ჩელი, მისტერ ჰარი ჩელის მეუღლე თავისუფლად ლაპარაკობს რუსულს.

— ჩვენ, მე და ჩემი ქმარი ვაპირობთ ამერიკიდან რუსეთში წასვლას, მაგრამ ძალიან გვეშინია; არ ვიცით, მოგვცემენ ნებას, თუ არა?

— მინდა ერთი ჩემი ქვეყანა ვნახო, თანაც კარგი რამე საქმეების გაკეთება შემიძლია ჩვენი ქვეყნისათვის, თუ რომ მთავრობაც დამეხმარება.

ამერიკელი-ამერიკელია, თუნდაც რომ ჭრებალოდან იყოს ერთ დროს წასული. ის ვაგლახათ არ იკადრებს ჩვენში ჩამოსვლას. მისტერ ჰარი ჩელი—ერთ დროს ჩვენებური გრიგოლა ჰელიძე—დღეს ამერიკელი მოქალაქე გახლავთ და ასე იოლად არ იკადრებს საქმის დაჭერას „ვინმესთან“.

— რაში გჭირდებათ მთავრობის დახმარება?

— მე შემიძლია ისეთი ქარხანა გავხსნა, რომელიც სრულებით არ არის საქართველოში!

— სახელდობრ მაინც?

— მე კარგად ვაკეთებ ელექტრონის ლამპიჩკებს. ეს გამოსადეგი საქმეა ჩვენში!

— ოლონდაც, რატომაც, არა, მაგრამ მაგნაირი ქარხნები ჩვენ საკმარისად გვაქვს.

— სად, საქართველოში?

— არა, საბჭოთა კავშირში!

— ესე იგი, მთელ რასეიში, არა?

— დიახ, უწინ მაგ სახელი ერქვა, ეხლა ჩვენში წესებიც სხვანაირია და სახელიც.

— მაშ, ჩვენში მაგისთანა რამეები საჭირო არაა, რაღა?

— ვერ გეტყვით დაბეჯითებით. აი თქვენ თვითონ ჩახვალთ, მოელაპარაკებით იქაურს ხალხს, იქ გაიგებთ დაწვრილებით ყველაფერს.

— მაშ, თქვენ მირჩევთ, წასვლას, არა?

— ეს თქვენი საქმეა. მე შემიძლია მხოლოდ იმის თქმა, რომ იქ საშიში და სახიფათო არაფერია.

— ოჰ, ხომ გითხარი მე შენ, მოუბრუნდა მისტერ ჩელი თავის მეუღლეს, რა უნდა იყოს საშიში? აი ეს ადამიანი აკი ლაპარაკობს...

მისის ჩელი ნერვიულად ალაპლაპებს თვალებს, ეტყობა, მართლაც ეშინია. ჩემი ნათქვამი მისთვის არც იმდენათ ურყევი საბუთია. მინდა დამწვარზე მდუღარე დავასხა. მინდა დავუფრთხო ანგელოზები.

ჩვენ აქ რას გვეუბნებოდნენ. რუსეთში ადამიანის ხორცს სჭამენო.

კარგა ხანს გავყევით ლაპარაკს. მისტერ ჩელის მართლაც იმდენი აღმოაჩნდა ქართული ენის ცოდნა, რამდენსაც მე მოველოდი. ლაპარაკობს ისე, როგორც სოფელს ადრე მოშორებული და ქალაქებში ნახეტიალები ხალხი.

სადილით მისტერ ჩელი კარგი მასპინძელი დაგვხვდა.

აქ ღვინო აკრძალულია, მაგრამ ღვინოსა და მაგარ სასმელებს ყველა სვამს. როგორც ეტყობა, არც მისტერ ჩელი არის უმი წყალის მოყვარული.

— ღვინოს მე აქ თვითონ ვაკეთებ. ყურძენს ვყიდულობ, დავწურავ ხოლმე და იმას ვსვამთ. ისეთი დაგალევინოთ, ნამდვილ ყიფიანისას ჰგავს.

ღვინო, მართლაც, კარგი გამოდგა. ეტყობოდა სიმაგრისათვის სპირტიც ჰქონდა გარეული, ამიტომ მეტად მაგარი იყო და მისტერ ჩელის ჩქარა დაეტყო შეზარხოშება.

გადაკრულს მისტერ ჩელის ახალი თვისებები გამოაჩნდა: გადაუკიდა ქართული დუქნური სიმღერები.

— თქვენ ხომ ახალი ჩამოსული ხართ საქართველოდან, ხომ? აბა, თქვენ თუ გეცოდინებათ ჩემოდენი ქართული? არ გეცოდინებათ, მე და ჩემმა ღმერთმა! მე სულ ზეპირად ვიცი ავთანდილის ლექსი.

დაიწყო:

„ავთანდილ გადინადირა მინდორ მაღალი ტყიანი,
ასი ჰკრა და ოცი მოკლა, ერთი ნადირი რქიანი,
იქვე ხის ძირში ჩამოჯდა მწვადი ააგო მცვრიანი,
ლურჯმა კაცი დაინახა თოფით მხარზე მომავალი
ჩაუსაფრდა და ესროლა სისხლი ადინა ძლიანი...“.

— ხომ მცოდნია, ხომ?

— სად ისწავლეთ, გაქვთ აქ ქართული წიგნები?

— არა! აქ არა მაქვს, მე ეს იქ მქონდა ნასწავლი.

რაც მართალია—მართალია, მე ეს ლექსი ბავშობისას „დედა-ენაში“ მისწავლია, მაგრამ იქ სხვანაირათ იყო მოთხრობილი ავთანდილის ნადირობის ამბავი. მისტერ ჩელის, ალბათ, პირდაპირ ვეფხის ტყაოსნიდან ამოუზეპირებია.

მოგვეიანებული იყო, როდესაც მისტერ ჰარი ჩელის გამოვეთხოვე. დამშვიდობებისას მითხრა:

— საქართველოში, თუ ჩავედი, ერთი ჩოხა ახალოხი უნდა შევიკეთო, კოხტად უნდა გამოვიწყო და ისე უნდა ავიდე ჩვენს სოფელში.

— ჩვენ შეიძლება წავიდეთ საქართველოში, მაგრამ იქ დიდხანს არ გავჩერდებით, ჩვენ უკვე ამერიკელი მოქალაქეები ვართ, წამოაყოლა დამშვიდობების დროს მისის მერი ჩელმა.

მასუკან მე ისინი აღარ მინახავს. არც სხვა ქართველების შესახებ გამიგონია რამე. ბოლოს, შემთხვევით გადავეყარე ერთს ქართველ მანდილოსანს.

— თქვენი მისამართი ერთმა ჩემმა ნაცნობმა მომცა, მისტერ ჩელმა, იცნობთ ალბათ. თქვენთან საქმე მაქვს, თქვენთვის ეს საქმე ძნელი შესასრულებელი არ იქნება, ჩემთვის კი... იცოდეთ, დიდათ დამავალებთ.

ეს მანდილოსანი ჭაღარა შერეული ქალი გახლდათ 50 წელს გადაბიჯებული.

— თუ კი რამე შემიძლია, დიდი სიამოვნებით.

— მე დიდი ხანი არ არის რაც აქ ვარ. აი კი რა მინდა მე სიბერის დროს ამ დაწყევლილს ქვეყანაში, მაგრამ გაჭირვება რას გაჩვენებს ადამიანს?

—რატომ, ზოგიერთებს ძალიან მოსწონს და თავს იკლავს აქ მისვლისთვის.

— მართალია, მართალი; მაგრამ, იმათ რა იციან რა ჯოჯოხეთია აქაური ცხოვრება. ჩამოვედი აქ მე... თვითონ კი არ ჩამოვსულვარ, შვილებს ჩამოვყევი; ისინი წამოვიდნენ და მეც მარტოს სხვაგან რა გამაჩერებდა? ვჭამთ გაძაღლებულ ლუკმას. ისინი მსახურობენ, მე კი საათობით გავდივარ და სხვის ბავშვებს ვუვლი. საღამოს ოთიოდე გროშს ვიღებ. ჩემთვის, იცოდეთ, რომ ძალიან ძნელია ყოველივე ამის მოყოლა, მაგრამ ესეც გაჭირვებით მომდის.

— რითი და როგორ უნდა დაგეხმაროთ მე თქვენ?

— საქმე ისაა, რომ იქ საქართველოში, ალბათ რუსეთშიაც, იქაურ ხალხს ასე წარმოუდგენია, რომ აქ ოქროში ისევ ურევით ხელს, როგორც ნაცარში, რომ აქ ყველა მილიონის პატრონია, რომ აქ ფული ქუჩაში ყრია და თუ ვინმემ არ დაიზარა აღება და ჯიბეში ჩადება...

— გამიგონია; მართალია, აგრე იციან, ასეთი წარმოდგენა აქვთ აქაურობის შესახებ.

—ეს არაფერი, ბატონო, მაგრამ მე ამ წარმოდგენამ წელში გამტეხა. იქ—საქართველოში გვყავს ნათესავები. უჭირთ, ალბათ იმათაც, რასაკვირველია, მაგრამ იქაური ცხოვრება რომ გამახსენდება, სამოთხეთ მეჩვენება ხოლმე აქაურთან შედარებით. ოჰ, იმას ვამბობდი, მოიდგეს, ბატონო, ჩვენზე კიბე და ყოველ თვეში გვწერენ.

— „არიქა გვიშველეთ, ფული გამოგვიგზავნეთო!“.

— ვუგზავნით ცოტ-ცოტას, მაგრამ ეს ცოტა მძიმე ტვირთია ჩვენთვის. მინდოდა მიმეწერა აქაური ამბები, გამეგებინებია ყოველივე რაც აქ ხდება, რა უბედურებაშიაც ვართ ჩავარდნილი, მაგრამ შვილები არ მიშვრებიან. მოგეხსენებათ, ახალგაზრდობა, თავმოყვარეობა და სხვ.—არ დამანებეს. მეც მინდა ეხლა თქვენ გთხოვოთ, იქნებ თქვენ თავათ მისწეროთ ჩვენი აქაური გარემოება და, რავა დავიჯერო, ვერ მიხვდნენ და არ დაგვანებონ თავი. თორემ გვწყდება წელში...

— თქვენ თვითონ რატომ ვერ მისწერთ? არა სჯობია თქვენ რომ მისწეროთ, მე გარეშე პირი რატომ უნდა გავერიო თქვენს საქმეში?

— მე რომ მივწერო, შვილები სახლში აღარ დამაყენებენ, სახელი გაგვიტეხა, თავს მოგვჭრიო.

— რას აკეთებდნენ თქვენი შვილები საქართველოში?

— რა ვიცი, რომ გითხრათ, თქვენ იქნებ არც კი მოგეწონოთ, მაგრამ ჩემი შვილები არაფერში დამნაშავე არ არიან... ჯარში მსახურობდნენ იმ მთავრობის დროს...

— იმ მთავრობის დროს, რომელიც ეხლა პარიზში ცხოვრობს, არა?

— ჯანდაბის ოროლობამდე, ბატონო, საცაც უნდა იქ ცხოვრობდეს. ჩვენ კი ამ ცეცხლში და უბედურებაში გადავვარდით. ჩემი შვილები ახალგაზრდები არიან, მაგრამ მე ამ მოხუცებულ ადამიანს, რა მეამერიკება შენი ჭირიმე....

გარკვეულად შეპირება არ მიმიცია. ვუთხარი „ზომებს მივიღებთქო“. არ ვიცი დაწყნარდა ამით, თუ არა. გამომეთხოვა და წავიდა. მეც ჩემს შეპირებას ამ წერილით ვასრულებ. თუ გაიგონებენ და მიხვდებიან, ხომ კარგი, თუ არა და... როგორც ერჩიოთ.

პ. მ. საყვარელიძე.

ქრონიკა

მზადება შენებელთა კავშირის ყრილობის მოწვევისათვის

ალმშენებელთა კავშირის საორგანიზაციო ბიურომ დაადგინა ჩატაროს გადარჩევები შემდეგ ქვედა ორგანიზაციებში: პირველ, მეორე და მესამე საუბკომში, მეოთხე ქარხკომში, პირველ ალმშენკომში, პირველ ჯგუფკომში, მესამე ჯგუფკომში, საალმშენებლო სასწავლებლის, ნატახტარის წყალსადენის, მცხეთის, ზაჰესის, რუსთავის და ყარაიას ადგილკომებში. ამასთანავე ყველა ქვედა ორგანიზაციებში ჩატარებული იქნება დელეგატების არჩევნები ალმშენებელთა კავშირის ვადამდე მოწვეულ ყრილობისათვის (ყრილობის მოწვევა განზრახულია ოქტომბერში).

დაწინაურებულ მუშათა კრება

ორშაბათს, 26 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, იუსტიციის სახალხო კომისარიატის საორგანიზაციო განყოფილებაში დანიშნულია დაწინაურებულ მუშათა ბრიგადის კრება.

ქალთა აქტივის თათბირი

სამშაბათს, 27 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე შრომის სასახლის მცირე დარბაზში მოწვეულია ქალთა აქტივის თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ ყველა ადგილკომის თავმჯდომარე და წევრი ქალები და დელეგატ ქალთა აქტივი. თათბირზე გარჩეული იქნება ფაბქარხადგილკომების გადარჩევის საკითხი.

ახალი ექიმები

მიმდინარე წელს სამკურნალო ფაკულტეტი დამატებით დაამთავრეს და ექიმის წოდება მიიღეს შემდეგმა პირებმა: ელენე თომას ასული ანანიაშვილი, გრიგოლ ერმილეს ძე არაბიძე, ნიკოლოზ ლევანის ძე ზაუტაშვილი, ნინო ივანეს ასული ლორთქიფანიძე, მარიამ ანდრიას ასული მამესწარაშვილი, თამარ ვლადიმერის ასული სახოკია, ვერა თომას ასული ქემოკლიძე, მარიამ ილიას ასული ჩაგარიძე, გალაქტიონ ეპიფანეს ძე ცაგარეიშვილი, ელენე ანტონის ასული წულუკიძე-ჩიქოვანი.

კერძო ვაჭრების კრება

საქონლის ბირჟაში, დღეს, 25 აგვისტოს, დღის 11 საათზე დანიშნულია კერძო ვაჭართა საერთო კრება, რომელზედაც განხილული იქნება საკითხი ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხზე ხელის მოწერის შესახებ.

თბ. აღმასკომში

◆ **ღამის გასათევი სახლი.** თბ. აღმასკომი საბჭოს ქუჩაზე, ამ დღეებში გახსნის ღამის თავშესაფარს უბინაოთათვის.

◆ **შემოდგომის თესვასთან** დაკავშირებულ საკითხების განსახილველად თბ. აღმასკომი იწვევს აგრონომების საოლქო თათბირს.

სხვადასხვა

◆ **გურიის ულარიბესი თემების დამხმარე** კომიტეტი, ორშაბათს, 26 აგვისტოს სახ. ბაღში თავის საშუალებათა გასაძლიერებლად აწყობს დიდ საღამო-სეირნობას.

ამხ. მ. კახიანის წიგნი

„სახელგამმა" გამოსცა ამხ. მ. კახიანის წიგნი: „სოციალისტური მშენებლობა და საქ. კომუნისტური პარტიის (ბ) ამოცანები"—მოხსენება საქ. კომპარტიის მე-6 ყრილობაზე. ტ. 5.000, ფასი—80 კ.

„სახელგამის" გამოცემანი

რედაქციამ მიიღო „სახელგამი"-ს ახლად გამოცემული შემდეგი წიგნები: ინჟ. ა. გულისაშვილი—„მანქანათა ნაწილები", მგელაძე-შაფაქიძე-კვინიკაძე—„მათემატიკა შრომის სკოლაში", ხარაბაძე-დევიძე-ლორთქიფანიძე—„მათემატიკური ამოცანები", ს. მამულია—„აგიტაციის, პროპაგანდის და კულტურული მშენებლობის ძირითადი ამოცანები საქართველოში", მახათაძე—„სოფლის ახალგაზრდობის სკოლები და კომკავშირის ამოცანები", გუროვი—„მსროლელი ათეული ბრძოლაში", იუშკოვი—„მსროლელი მოგერიების დროს", იუშკოვი—„მებრძოლი შეტევის დროს", თსოკინი—„მებრძოლი ძიებაში",

სასამართლო

ულირსი პროკურორი

ჩვენს საბჭოთა აპარატში ჯერ კიდევ მრავალია თავისი თანამდებობისათვის შეუფერებელი პირები, რომლებიც შეუწყნარებლად იქცევიან და სახელს უტეხენ ხელისუფლებას. ისინი ხშირად ბოროტად იყენებენ მინიჭებულ უფლებებს, რაც სამართლიან გულისწყრომას იწვევს მშრომელთა შორის. ასეთ პირთა რიცხვს ეკუთვნის ყოფ. პროკურორი გრიგოლ იოსელიანი.

21 ივლისს გრიგოლ იოსელიანი თავის მეგობრებთან—შალვა მეძმარიაშვილთან და ლავრენტი სხირტლაძესთან ერთად, დილა ადრიანათ დაითრო. დღის 10 საათი იქნებოდა, როცა სამივე ერთ-ერთ რესტორანიდან ბარბაცით გამოვიდნენ გარეთ.

მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ მთვრალები იყვნენ, იოსელიანის რჩევით გადასწყვიტეს ქეიფის გაგრძელება. იყიდეს რამდენიმე კვარტი ღვინო, სანოვაგე და ეტლით გაეშურენ საერთო ამხანაგთან—დავით მუქერიასთან რომელიც სცხოვრობს გორის შესახ. № 8.

იოსელიანი და მეძმარიაშვილი შევიდნენ მუქერიას ბინაში, ხოლო სხირტლაძე იმდენათ მთვრალი იყო, რომ დარჩა ეტლში და დაიძინა.

სტუმრები და მასპინძელი მაშინვე შეუდგნენ მოლხენას. მალე სიმღერაც შემოსძახეს. ძალზე „გამხიარებულმა" იოსელიანმა იძრო რევოლვერი და ოთახში ასტეხა სროლა. შეშინებული მეზობლები გარედ გამოცვივდნენ. ერთმა მათგანმა ალექსანდრე ხარატიმ ამის შესახებ აცნობა 1-ლ რაიონის სამილიციო განყოფილებას, რომელმაც ადგილობრივ საქმის გამოსარკვევად გაგზავნა მილიციელები. მილიციელებმა სთხოვეს იოსელიანს და მეძმარიაშვილს წაჰყოლოდნენ მათ მილიციაში, რასაც ისინი არ დაემორჩილენ. შემდეგ მუქერიას ბინაზე გაემგზავრა მორიგე არუცევი, რომელსაც იოსელიანმა უბრძანა უკანვე წასულიყო, თან დაუმატა: „მე შენ არ გემორჩილები; ვინ ხარ, რა ხარ, თვალით არ დამენახო".

არუცევი იძულებული შეიქნა გაცლოდა მათ, მხოლოდ წაიყვანა ეტლი, რომელშიაც სხირტლაძეს ეძინა.

იოსელიანმა ამყათ გადახედა შეგროვილ ხალხს და შებრუნდა მუქერიას ბინაზე. ცოტა ხნის შემდეგ მილიციის განყოფილებაში გამოცხადდა „თვითონ" იოსელიანი და გაუცხადა არუცევს, რომ ის არის პროკურორი და წინადადება მისცა მას გაენთავისუფლებია სხირტლაძე. არუცევმა არ შეასრულა მისი „ბრძანება", რის გამო გაბრაზებულმა „პროკურორმა" დაუწყო გინება, ლანძღვა და დაექადნა.

ბოლოს იოსელიანი შევიდა განყოფილების უფროს—მაჭარაშვილთან კაბინეტში, სადაც იყვნენ 1-ლი უბნის გამომძიებელი ჯვარშეიშვილი, საქ. საკონტროლო კომისიის წევრი გარიშვილი, ა.-კ. ცაკის წევრი ფირცხალავა და განყოფილების უფროსის მიერ გამოწვეული ადმინგანის უფროსი ამხ. ს. ხმალაძე, რომლებიც შეეცადნენ იოსელიანის დაწყნარებას. მან კი უფრო ხმამაღლა დაიწყო ყვირილი, როგორც „პროკურორმა" და გინებით მოითხოვდა გაენთავისუფლებიათ სხირტლაძე, რომელსაც გულიანად ეძინა განყოფილების ერთ-ერთ ოთახში.

იოსელიანმა უშვერი სიტყვებით მიმართა მაჭარაშვილს და ჯვარშეიშვილს, მილიციელებს უწოდა ხულიგნები და აგინა ამხ. გარიშვილს.

ამგვარი ხულიგნობისა და საბჭოთა დაწესებულების მუშაკისათვის შეუფერებელი საქციელისათვის იოსელიანი გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან და მისი საქმე გადაეცა უზენაეს სასამართლოს.

გრიგოლ იოსელიანს უზენაესი სასამართლო როდონაიას თავმჯდომარეობით გაასამართლებს დღეს.

გასამართლება მოხდება საჯაროდ, ამხ. ორჯონიკიძის სახ. მუშათა კლუბში. საქმის განხილვა დაიწყება დილის 10 ს. იოსელიანს ბრალს სდებს თბ. მაზრა-ქალაქის პროკურორი მაისურაძე, იცავს მ. ღვამიჩავა.

კასიო.

ფიზკულტურა და სპორტი

შერეული გარბენა თბილის-ბათომის შორის

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო, ა.-კ. ფიზკულტურის საბჭოსთან, ერთად 30 აგვისტოდან—1 სექტემბრამდე თბილის — ბათომის შორის აწყობს შერეულ გარბენას.

გარბენის მთავარი მარშრუტი ასეთია: თბილისი-მცხეთა-ძეგვი - კავთისხევი - წითელი ქალაქი -დოესი - ხიდისთავი-გორი - რუისი არადეთი-გომი- ხაშური -შორაპანი-ზესტაფონი-ჰოგნარი -ქუთაისი - ქვიტირი -ფარცხანაყანევი = ჩოხატაური-ნატანები -ქობულეთი-ბათომი.

გარბენა უმთავრესად იწარმოებს ველოსიპედებით, მხოლოდ მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში გაიმართება მძლეოსნური ესტაფეტი.

გარბენაში მონაწილეობას მიიღებს სპორტსმენების ხუთი ჯგუფი, დაახლოვებით 500 კაცის შემადგენლობით. ჯგუფები იქნებიან: თბილისის, გორის, შორაპნის, ქუთაისის და ბათომის.

გარდა ველოსიპედებისა გამოყენებული იქნება ტრანსპორტის სხვა საშუალებებიც. მაგალითად თბილისში ყოფ. ლენინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკამდე გაიმართება მძლეოსნური ესტაფეტი. აქედან გარბენის მონაწილენი ხაშურამდე ჩავლენ ველოსიპედებით. ხაშურიდან-შორაპნამდე ჩავლენ მატარებლით. შორაპან-ზესტაფონის შუა გაიმართება მძლეოსნური ესტაფეტი. ზესტაფონიდან-ქუთაისამდე იმგზავრებენ ცხენებით. ქუთაისიდან-სამტრედიამდე და ნატანებამდე რბენა იწარმოებს ისევ ველოსიპედებით. აქედან ქობულეთამდე ჩავლენ მოტოციკლეტებით. ქობულეთიდან-ბათომამდე გარბენის მონაწილენი ჩავლენ ნავებით (ზღვით).

გამრბენნი გაივლიან 60-ზე მეტ დასახლებულ რაიონს. გარბენას უმთავრესად საგიტაციო მნიშვნელობა აქვს. გზადაგზა გაიმართება მიტინგები, რომლებზედაც გამოვლენ გარბენის მონაწილეები და განუმარტავენ გლეხებს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის მნიშვნელობას, მომავალ შემოდგომის თესვის კამპანიასთან ჩასატარებელ მუშაობის მეთოდებს, მიმდინარე პოლიტიკის საკითხებს და სხვა. ამასთანავე გაიმართება სხვადასხვა სახის ვარჯიშობანი და მიღწევების დემონსტრაცია ფიზკულტურის დარგში. აგიტაციის მიზნით გამრბენთ თან მიაქვთ ლიტერატურა, პლაკატები, ფურცლები და სხვა საგიტაციო მასალა სხვადასხვა საკითხებზე, მოსახლეობის შორის დასარიგებლად.

ადგილებზე წინასწარ მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად გარბენამდე იგზავნება ცხრა კაცი და ამასთანავე დაგზავნილი აქვთ მოწოდებები ფიზკულტურის ადგილობრივ საბჭოებს, რათა ჩაატარონ საჭირო მოსამზადებელი მუშაობა გარბენისათვის.

გამრბენთ თან მიჰყვება ექიმი და სანიტარული ტრანსპორტი.

გარბენის ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს საქ. ფიზკულტურის საბჭოს პასუხისმგებელ მდივანს ამხ. ბოხუას. გზა და გზა გამართულ ვარჯიშობათა უფროს მსაჯად გამოყოფილია ამხ. ამბოკაძე.

გარბენა თბილისიდან დაიწყება 30 აგვისტოს საღამოს.

ბათომში, ის სპორტსმენები, რომლებიც პირველ ადგილს დაიკავებენ გზაში გამართულ ვარჯიშობებში, მონაწილეობას მიიღებენ საქ. წყალჯომარდობის დღესასწაულზე.

რკინის გზაზე

აეროპლანი „რკ. გზ. ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექცია".

ა.-კ. რკინის გზების თბილისის კვანძის ინჟენრებმა და ტეხნიკოსებმა თავის უკანასკნელ საერთო კრებაზე დაადგინეს გადასდონ ერთი დღის ხელფასი აეროპლან „რკინის გზის ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექცია"-ს ასაშენებლად.

თბილისის უბნის ინჟენერ-ტეხნიკოსებმა ხსენებულ აეროპლანის ასაგებ ფონდში ხელფასის გადარიცხვის მიზნით გამოიწვიეს გზის ყველა უბნების ინჟენერები და ტეხნიკოსები.

მოწაფეების პრაქტიკულად აღზრდა

ა.-კ. რკ. გზების გამგეობაში მიღებული ცნობის თანახმად გზათა სახ. კომისარიატს მომავალი წლიდან გადაწყვეტილი აქვს შეიტანოს საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლების და საზოგადო მოწაფეთა სკოლების პროგრამაში მოძრავ შემადგენლობის შეკეთება.

ყველა ზემოხსენებული სასწავლებლები წინასწარ იქნებიან უზრუნველყოფილნი შესაკეთებელ ობიექტებით.

რკინისგზელების ექსკურსია

ამიერ-კავკ. რკინისგზელების ინტერნაციონალური დაკავშირების ექსკურსია, რომელიც დანიშნული იყო ამ თვის დამლევს, გადატანილ იქნა სექტემბრის შუა რიცხვებისათვის.

თბილისის საუბნო კომიტეტის პლენუმი

ორშაბათს, 26 აგვისტოს პლეხანოვის სახელობის კლუბში გაიხსნება რკინისგზელთა პროფკავშირის თბილისის საუბნო კომიტეტის გაფართოებული პლენუმი.

პლენუმის წინაშე განსახილველად დასმულია შემდეგი საკითხები: „სოციალისტური შეჯიბრების შედეგები", „საბჭოთა აპარატის წმენდა" და „ადგილკომების გადარჩევა".

ცისტერნების დაგროვება

სადგ. ზესტაფონში დაგროვდა 36 მაზუთით დატვირთული ცისტერნა. 29 ცისტერნა სდგას სამტრედიაში. ეს გარემოება აძნელებს გზის მუშაობას და აფერხებს ნავთის პროდუქტების ექსპორტს.

მიღებულია ზომები სადგურების განსატვირთავად.

ახალი ხიდი

სადგ. აქსტაფასთან მდ. გოლაფსუზე შენდება რკინის გზის ახალი ხიდი.

ხიდის აშენების გასაადვილებლად ჩრდილოეთის რკინის გზებიდან გამოგზავნილია გამზადებული ფერმები.

შემთხვევები

თვითმკვლელობა

ანდრეევის ქ. № 89 მცხ. ივანე ტროფიმეს ძე პროსკუროვმა რევოლვერით მოიკლა თავი. მიზეზი გამოურკვეველია.

შეპყრობა

სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ფ.-ტელეგრაფის ქსელის დარაჯი მიხეილ მაისურაძე, რომელიც სისტემატიურად იპარავდა ფ.-ტელეგრაფის საწყობიდან სხვადასხვა ნივთებს.—შეიპყრეს კატუშა გალინი, რომელმაც თამარა ლიპარტიანს მცხ. წითელი მთის ქუჩა № 25, მოპარა კაბები და 5 მან. ფულად,—ივლიტე მარკოზის ასულ გიორგობიანის ბინა (კიკეთის ქ. № 33) გაქურდა მისმა ბიძაშვილმა ერასტი გიორგობიანმა,—თელასის საწყობის გაქურდვის განზრახვისათვის შეიპყრეს ლუდვიგ გასპაროვი.—დაპატიმრებულია არშავაზ ოგანეზიანი, რომელმაც სინდიკატში მოქ. ებრალიძეს ამოაცალა 35 მანეთი.

ქურდობა

გაქურდეს რუსთაველის პრ. მდებარე „ზაკნიგას" მაღაზია. ვიტრინიდან წაღებულია 75 მანეთის ნივთები,—არტელ „მესვეური"-ს საწყობიდან მოიპარეს 250 მანეთის ნივთები,—გაქურდეს სევერიანე ხვიჩიას ბინა (ანდრეევის ქ. № 20), წაღებულია 200 მ. ნივთები.—მიკირტიჩ ასანანიანის ბინიდან (გონჩარის ქ. № 60) მოიპარეს 230 მანეთის ნივთები.—გლეხის სახლში მცხოვრებ გრიგოლ ჩიხლაძეს ოთახიდან მოიპარეს ტანისამოსი,—გაქურდეს ლევ კრასიკის ბინა (არტრუნის ქ. № 30.—გაქურდეს კრემოვი ტერ ნელმულმეროვიჩის სამკერვალო (ნავთლუღის ქ. № 11).

ჯიბგირობა

სინდიკატში რიგში დგომის დროს თაქო მურადოვს ამოაცალეს 120 მ.—თათრის მოედანზე ალექსანდრე ბედენაშვილს ხელიდან გამოსტაცეს 87 მანეთი,—ტრამვაის ვაგონში ლევან ფალავას ამოართვეს 27 მანეთი,—სინდიკატში ალექსი სალანდაშვილს ამოართვეს 120 მანეთი.—ტრამვაის ვაგონში ალექსანდრე სილკაძეს ჯიბიდან ამოაცალეს 90 მანეთი.

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) დ. ჟღენტი (თბილისი)

(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

(ამოცანა) ნ. ჩუბინიძე (ზესტაფონი)

(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

10 მაისის №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა

ამოცანა ს. კალანდაძესი. შამათი ოთხ სვლაში. გადაწყვეტა: 1 ეf3—c3! (ცუგცვანგი) 1.., b4:c3 2. ეh3:c3!, b5—b4 3. კa5—b6, b4:c3 4. კb6:c5×

ამოცანა დ. ჟღენტის. შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: 1. მფe2—d3 (კd4×მუქარით) I. 1.., ლg8—d5+ 2. e4 : d5× II. 1.., ლg8—c4+ 2. მb6 : c4× III. 1., მg7—f5 2. e4 : f5× IV. 1.., მg7—e6 2. მb6—c4× და სხვა...

16 მაისის №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა

ამოცანა კ. ფირცხალავასი. შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა 1. ლg6—c6! (მa7 : b5× მუქარით) I 1.., ლd7:c6 2. მa7:c6× II.. 1.., მb7—d6 2. ლc6—c5× III. 1.., f5 : g4 2. ლc6—c4× და სხვა....

ამოცანა ა. კეზელის. შამათი სამ სვლაში. გადაწყვეტა: 1 ეh8—h1! (ცუგცვანგი) I. 1.., კc4:d3 2. e2:d3, მფc5—d5 (ან d6—d5) 3. ეh1—h5× (ან ეh1—c1×) II. 1.., d6—d5 2. ლd3:c4! მფd5 : c4 (ან d5:c4) 3. ეh1—c1× (ან ეh1—h5×).

პასუხი მკითხველებს

კ. ფირცხალავას ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: კ. სანაძემ, ზ. შანიძემ, ა. ჩირაძემ, ნ. ჩუბინიძემ (ზესტაფონი), ა. ჭიპაშვილმა (ხაშური) და ვ. შავგულიძემ (ქუთაისი).

დ. ჟღენტის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ზ. შანიძემ, ა. ჩირაძემ, ნ. ახვლედიანმა (ზესტაფონი, საქარა) და ზ. წულუკიძემ (ქუთაისი).

ს. კალანდაძეს ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ა. ჩირაძემ და ნ. ჩუბინიძემ (ზესტაფონი).

ა. კეზელის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ა. ჩირაძემ და ა. ჭიპაშვილმა (ხაშური).

ანჯაფარიძეს და შეკიშვილს (ორლოვი): გამოგზავნეთ თქვენი ამოცანები. თუ გამოგვადგება, დავბეჭდავთ.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა - ხელზე

დღეს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

რკინის გზელთა სექციიდან—ალექსანდრე ჯავახიშვილი, არმენაკ ბაინიანცი, ვასილ ზდელაშვილი, ესტატე დემეტრაშვილი, სერგო მოლოდინაშვილი, ერემია კვაჭანტირაძე, ლაბაძე, ხუტონიევი, არტემ კონგელაძე, კონსტანტინე ორაგველიძე, ივანე დავითაშვილი, იასონ დათაშვილი, ვარა დემეტრაშვილი, შიო მეხიგლა, ტარასი დარჯანია, მიხა ბითაძე, ანატოლი ბერაძე, ზაქარია საათაშვილი, მიხეილ ავლახაშვილი, გიორგი ღონღაძე, ალექსი მიქელაძე.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან—ისაკი გერგენიძე, ივანე ლომსაძე, იპოლიტე კერესელიძე, დათიკო ბერიშვილი, ვახტანგი ჯაფარიძე, ვასილი გიორგობიანი, ალექსანდრე ასანიძე, შალვა მესხი, სერგო ვარძიგულოვი, კონსტანტინე სოლტინი, ეფრემ გიორგიევი, არჩილ ვგარამაძე, გერონტი ჩხეიძე, ივანე ლომაძე, გიორგი სტეფანოვი, კარლო ბერძენიშვილი, რომანოზ კიკაშვილი, დათიკო ლაფერაშვილი, კლიმენტი მიღავა, აკოფოვი, სერაპიონ სოხაძე, თეიმურაზ ლორთქიფანიძე, ივანე ხითაროვი, მიხა ნაცვლიშვილი, ვასო ზაუტაშვილი, გიორგი აბაშიძე, ბიქტორ მახათაძე, არუთინოვი, ზურაბ ანდრონიკაშვილი.

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან—ივანე მელქოიანი, ერმოლოზ უნგაძე, ნიკოლოზ პუშნოვი, სიგიზმუნტ ტარხანოვსკი, ივანე მატიენკო, მიკირტიჩ ტონიანი, ზავალიშოვი, ხაჩატურ ბოსტანჯიანცი, ვლადიმერ იაკიმოვი.

მედსექციიდან—მიხეილ ჯიშკარიანი, ერვანდ ოგანეზოვი, არტყოკ საფრონოვი, ევგენია ლარინა, ეკატერინე ეგროლინი, ეკატერინა ქურხული, სოფიო ხაჩატურიანი, ელიზავეტა სიმონიანცი, მარგარიტა ასაქმაძე, თამარა ზულატაშვილი.

მშენებელ მუშათა სექციიდან—არუთინ რევაზოვი, არამ ხაჩატუროვი, გიორგი არუთინოვი, ბორის სერლაპოვი, ალექსანდრე მირზოევი, თედორე სტარჩენკო, კონსტანტინე დენისენკო, ალექსანდრე მარგიშვილი, მიხეილ ნოვასელოვი, პავლე დოლმატოვი, მელიქ ალახვერდოვი, გიორგი ვაჩაძე, მასხულია, ახვერდოვი მანუკ, ოვანეზოვი, გაბიჩვაძე, მიხაილი პოპოვი, სარქის პეტროსოვი, ვართან აკოფოვი, ნიკოლოზ კასრაძე, მართა ბაქრაძე, ესტატე ნაცვლიშვილი, ნიკოლოზ სულიევი, კარაპეტ მერაბოვი, რუბენ მღებრიშვილი, დავით ცერაძე, გიორგი ვალადაშვილი, გაბო თოხაშვილი.

მუშათა სექციიდან—გიორგი დათაშვილი, სათენიკა ვართანოვი, მიხა ტატელაშვილი, მიხეილ სალარიძე, აქსენტი სოდარიშვილი, ვახტანგ ედილაშვილი, არტაშ ტეროგანეზოვი, ჯღარკავა, სუბატიანი შალვა, ვასიბაძე, მარტიროსოვი, კოდუა, აბრამ ჩირაზოვი, მიხეილ არუთიხოვი, ვიქტორ ბიკოვი, ალექსანდრე მასხულაძე, იპოლიტე კობიძე, მნაცაკან ტერავაქოვი, ანტონ კოზლოვი.

პარტიული და საბჭოთა ცხოვრება

პარტწმენდა იწარმოებს შემდეგ უჯრედებში

1) 25 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე მოძრაობის დარგის უჯრედის, განყოფილების დარბაზში. შემმოწმებელ კომისიის წევრები: კალაძე, გლინსკი და იეტკო.

2) 26 აგვისტოს, მთავარი სახელოსნოების სამღებრო ცეხის უჯრედის, პლეხანოვის სახელობის კლუბში საღამოს 6 საათზე. შემმოწმებელი კომისიის წევრები: ჯატიევი, კოჩენევი და ორაგველიძე.

—:—

საქ. კომპარტიის თბილისის საოლქო კომიტეტის საალრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება (რუსთაველის პრ. № 23, ოთახი № 66) იწვევს შემდეგ ამხანაგებს: პავლე პეტრენკო, ტროფიმე ლიტვიშკოვი, ვასილ ბეტლინი, ნიკოლოზ ლიხოშერეტოვი, გრიგოლ განჩაროვი, ანნა გონჩაროვი, ანასტასია პოპოვი ვასილ ხელაძე და ევა მღებრიშვილი („კომუნისტი"-ს რედაქცია).

—:—

ხვალ, 26 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგება სარაიონო ქალორგანიზატორების თბილისის საოლქო თათბირი. ქალაქის უჯრედების მდივნების, უჯრედების ქალორგანიზატორების და ქალთა კომისიების თავმჯდომარეებთან ერთად. დღის წესრიგი: 1) პოლიტიკური მოხსენება; 2) ცეკას დირექტივების შესრულების შემოწმება ქალთა შორის მუშაობის შესახებ; 3) სადელეგატო კრებების გადარჩევები და 4) დედათა და ბავშთა დაცვის განყოფილების მუშაობის შესახებ.

—:—

საქ. კომპარტიის თბ. ორგანიზაციის ლენინის რაიკომი იუწყება, რომ ორშაბათს, 26 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე შესდგება უჯრედების მდივნების და ფაბქარხადგილკომების თავმჯდომარეების თათბირი.

—:—

თბ. სახ. უნ-ის ა.ლ.კ.კ: გაერთიანებულ უჯრედთა ბიურო აცხადებს ამავე უჯრედის იმ წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოდ, რომელნიც არიან კახეთის ოლქიდან, დღეს, 25 აგვისტოს, სრულ 3 საათზე უნდა გამოცხადდნენ ბიურო კოლექტივში.

—:—

ორშაბათს, 26 აგვისტოს, დილის 9 საათზე, საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სოციალ-კულტურული სექციის გამგის ამხ. ვარო ჯაფარიძის კაბინეტში (რუსთაველის პრ. № 24) შესდგება თათბირი პერიოდული პრესის გავრცელების შესახებ.

გაუბედურებული მეუღლე ლიზა, შვილი კუკურით აუწყებს ნაცნობ-მეგობრებს, რომ ა. წ. 29 აგვისტოს გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოთ დაკარგული უძვირფასესი მეგობრის

ექიმ ფილარეტ ლაბაძის

ხსოვნის აღსანიშნავათ სოფ. ნიგოზეთში. 2983

გაუბედურებული მშობლები ლევანტი და ალექსანდრა, დები შურა და ცაცუნა იუწყებიან, რომ ა. წ. 29 აგვისტოს გადახდილი იქნება ძვირფასი

ექიმ ფილარეტ ლაბაძის

ხსოვნის აღსანიშნავათ სამოქალაქო პანაშვიდი სოფ. ნიგოზეთში. 2982

დედა ტასო, და არაფინა და ძმა პოლიკარპე დოლიძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 23 აგვისტოს დღის 5 საათზე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ქ. ბორჯომში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ქეთო

დაკრძალვა თბილისში სამშაბათს, 27 აგვისტოს, ხაშუადღევის 4 საათზე.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ეკატერინე, შვილები: ნინო, ლუკა, ბაბალე, თამარი, პეტრე, ფეფო, რუსუდანი, რძლები: ელენე და ქეთო, სიძეები: გერასიმე კვაჭაძე, ნიკო ყრუაშვილი, გიორგი ჩაჩუა და ვახტანგ სვიმონიშვილი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ საყვარელი და ძვირფასი მეუღლის და მამის

გიორგი ლუკას-ძე ბაქრაძის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. პანაშვიდი საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე. გამოსვენება სამშაბათს, 27 აგვისტოს, საღამოს 4 საათზე. საკუთარი ბინიდან არაგვის შესახვევი № 5. 2990

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 23 აგვისტოს ქ. გორში გარდაიცვალა

სოფიო თომას ასული მაჭარაშვილისა,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს მაზლი ნესტორ, რძალი ეკატერინე, შვილები: ელენე, თამარ, ვასო, კოტე და ლევან მაჭარაშვილები და სიძე ნიკოლოზ სულიკაშვილი. 2989

თავზარ დაცემულნი დედა ატატო, მამა არსენ ჩხიკვაძეები და საშა, სიძე ლადიკო ცინცაძეები აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ მათთვის ძვირფას

ვალიკო არსენის-ძე ჩხიკვაძის

ხსოვნის აღსანიშნავათ შაბათს, 31 აგვისტოს 1 საათზე დ. ჩოხატაურში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2930

ორშაბათიდან, 26 აგვისტოდან

საზაფხულო კინო-თეატრებში

პალასი

მონტი ბენქსი

ახალ კომედიაში

მფრინავი ბედნიერება

ეთერი

3 ოთახი სამზარეულოთი

რეჟისორი შპიკოვსკი

ოპერატორი სტანკე

საზაფხულო კინოები

საზაფხულო აპოლო დარბაზის (ბაღში)	ცეცხლის კაცი ორშაბათიდან, 26 აგვისტოდან რადიო ლომი
საზაფხულო ეთერი	დამნაშავეა ორშაბათიდან, 26 აგვისტოდან 3 ოთახი სამზარეულოთი
საზაფხულო პალასი	ადამიანის ფასი ორშაბათიდან, 26 აგვისტოდან მფრინავი ბედნიერება

მალე: „მიწა ეძახის" და „სევილი"

0—20

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

აცხადებს კონკურსს

ოპერის გუნდში შესვლის მსურველთათვის (ახალგაზრდობისათვის). ჩაწერა სწარმოებს თეატრის კანტორაში 24 აგვისტოდან, 10-დან 2 საათამდე.

კონკურსის დღის შესახებ ცნობის მიღება შეიძლება კანტორაში. თეატრს ესაჭიროება სცენის თანამშრომლები (ჯამაგირიანი სტატისტები) მიღების სავალდებულო პირობებია: წერა-კითხვის სრული ცოდნა, სცენიური ტანადობა და ფიგურა—ფიზკულტურის ცოდნა.

უპირატესობა მიეცემა ხმის მქონე პირებს. 3133

სარეწაო კოოპერაციის ურთიერთ დამხმარე სალაროს გამგეობა ამით აცხადებს, რომ

ა. წ. 1-ლ სექტემბერს დანიშნულია

საქ. სარეწაო კოოპერაციის ურთიერთ დამზღვევ სალაროს

დამფუძნებელი ყრილობა

ყრილობა შესდგება სარეწაო კოოპერაციის კლუბის დარბაზში (პლეხანოვის გამზ. № 66), დილის 10 საათზე

დღის წესრიგი:

1. რუსეთის სალაროთა კავშირის მოხსენება.
2. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართვ. სალაროს გამგეობის მუშაობის ანგარიშები და სარევიზიო კომის. მოხსენებები.
3. საქ. რესპუბლ. სალაროების ცენტრის დაარსების შესახებ.
4. რესპუბლიკანურ სალაროს გეგმის და ხარჯთ-აღრ. განხილვა.
5. წესდების განხილვა და დამტკიცება.
6. ხელმძღვანელ ორგანოების არჩევნები.
7. სალაროთა საკავშ. ყრილობაზე გასაგზავნ დელეგ. არჩევნები
8. მიმდინარე საკითხები.

ყრილობის დელეგატებმა ყოველივე ცნობებისათვის უნდა მიმართონ სალაროს ბინაზე პუშკინის ქ. № 4.

3—1 ნ. 3119 გამგეობა.

გამოვიდა და იყიდება

მიხ. კახიანი

სოციალისტური მშენებლობა და საქართველოს კომპარტიის (ბ) ამოცანები

მოხსენება საქ. კომპარტიის ყრილობაზე

გვ. 204, ფასი 80 კ. ნ. 3141

საზაფხულო

აპოლო

(დარბაზის ბაღი)

ორშაბათიდან 26 აგვისტოდან

ფილის ხვედრი

(სურათ „ჩიკაგო"-ს გმირი ქალი)

უცხოეთის კომედიაში

რადიო ლომი

ნ. 3140

საზ. ტრესტი „ტეჟე"-ს

ნაწარმოების მომხმარებელთა საყურადღებოთ

აქციზის ახალ ნიხრის შემოღების გამო (დადგენილება ს.ს.რ.კ. ცაკისა 29 ივლისის 29 წ.) საპარფიუმერიო საქონელზე ტრესტ „ტეჟე"-ს მიერ 1-ლ აგვისტოდან საქციზო ნაწარმოებზე აწეულია საეტიკეტო ფასები. მხოლოდ ტეხნიკურ მიზეზების გამო „ტეჟე" იძულებულია გამოუშვას საქონელი გასასყიდათ ძველ ფასების დაწესებით.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ყიდვის დროს ვთხოვთ ყველა მყიდველებს გაუწიონ კანტროლი ფასებს, შე არებით ჩვენ პრეისკურანტთან, რომელიც არის გამოკრული ყველა მაღაზიებში სადაც ვაჭრობენ ჩ/საქონლით.

საზ. ტრესტ „ტეჟე"-ს ა.-კ. განყოფილება.

ნ. 3137 თბილისი, სომხის ქ. № 22, ელმენი 19—91.

იყიდება ავტომობილი

„ბენცი"

პირობების გაგება ყოველდღე დილის 8—2 ნახ. საათამდე. მისამართი ამხ-ბა „მწყემსი" კალინინის ქ. 54

2—2 2954

ბუხჰალტრები

მცოდნე ქართული ენის სჭირდება პროვინციაში გასაგზავნათ ს.მ.უ ს. სამთოქიმტრესტს, პუშკინის ქ. № 3.

ს. მთო-ქიმტრესტი.

2980

თანახმად საქ. ეკონომსაბჭოს 1929 წლ. 17 აგვისტოს დადგენილებისა

(ოქმი № 13) ა. წ. 25 აგვისტოდან

იწყება ლიკვიდაცია

სმუს-თან არსებულ ახალშენებათა სამმართველოსი.

ამიტომ ყველა დაწესებულებანი და კერძო პირნი, რომელთაც აქვთ რაიმე პრეტენზია ახალშენებათა სამმართველოსადმი, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ასეთები ა. წ. 25 სექტემბრამდინ, რის შემდეგაც არავითარი პრეტენზიები არ იქნება განხილული.

ყველა საკითხების შესახებ, რომლებიც არიან დაკავშირებული ახალშენებათა სამმართველოს მუშაობასთან ა. წ 25 აგვისტოდან უნდა მიმართონ სალიკვიდაციო კომისიას, ქ. თბილისი პუშკინის ქ. № 4.

სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე გარინი.

ნ. 3125 3—3

გაზ. „კომუნისტი"-ს

გამომცემლობა ამით აცხადებს

წლიური („კაპიტალი"-ს დამატებით)

ხელისმომწერთა საყურადღებოთ

რომ ა. წ. 1-ლ სექტემბრამდის მათ გადახდილი უნდა ჰქონდეთ ცალზე **14 მანეთი**, ვისაც ხსენებულ რიცხვისთვის 14 მანეთი სრულად არ ექნება გადახდილი, ამ რიცხვიდან მათ შეუწყდება გაზეთების გზავნა. მათი წლიური ხელისმოწერა გაუქმებული იქნება და შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ იქნება მიღებული.

პროვინციის ხელისმომწერლებმა ფული უნდა გადმოგზავნონ იმ ვარაუდით, რომ იგი მიღებული იქნეს 1-ლ სექტემბრისათვის. 0—2

გაზ. „კომუნისტი"-ს

ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზეთის ქაღალდის ეკონომიის გამო, თვის პირველ რიცხვებში გაზეთის ზედმეტი კომპლექტი არ იბეჭდება, რისთვისაც გაზეთ „კომუნისტი"-ს გამომცემლობა სთხოვს ყველა ხელისმომწერლებს, აგენტებს და კონტრაგენტებს, ხელის მოწერა მომავალი თვისათვის მოგვაწოდონ აუცილებლივ მიმდინარე თვის 30-მდე.

დაგვიანებით მიღებული შეკვეთები შესრულებული იქნება მხოლოდ იმ დღიდან, როდესაც მიღებული იქნება შეკვეთა.

ხელის მოწერის დღეს გაზეთი არ მიეცემა.

0—2

საბჭოთა აპარატის წმენდის ჩამტარებელი კომისია

აცნობებს კოლექტივების ყველა თანამშრომელს, რომ **სექტემბრის პირველ რიცხვებში ჩატარდება შრომის სახალხო კომისარიატის კოლექტივების შტატის თანამშრომელთა წმენდა.**

ვთხოვთ კოლექტივების ყველა მუშაკს, ვისაც აქვს განცხადება რომელიმე თანამშრომლის წინააღმდეგ, შეიტანოს გაერთიანებულ კოლექტივთა სამმართველოს ქვე-კომისიაში, ვოლოდარსკის ქ., № 3, ან შრომის სახალხო კომისარიატის საორგანიზაციო განყოფილებაში.

საბჭოთა აპარატის წმენდის ჩამტარებელი კომისია.

4—2 ნ. 3134

ბაღდათის უბნ. სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

ი. დ. ლომთაძე

ამით აცხადებს, რომ ის 31 აგვისტოს 1929 წ. დღის 12 საათზე სოფ. დიმში (ქუთაისის მაზრა), **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის იოსებ მამუკას-ძე კვინიხიძის ქონებას, რომელიც შეიცავს: 1) ორ თვალ ფიცრულ შენობას, ერთი მათგანი სამზარეულო, ხოლო მეორე საქონლის დასაბამი, დახურული ყავრით, შეფ. 200 მან., 2) ათი ათას ცალ აგურს, შეფ. 200 მან., 3) ას ცალ კრამიტს, შეფ. 15 მან., 4) ფიცრულ ბეღელს, დახურული ყავრით, შეფ. 50 მან., 5) კალიასკას, შეფ. 100 მან., 6) ტანისამოსის შკაფს, შეფ. 50 მან., 7) ქვის მაგიდას, შეფ. 15 მან., 8) ძველ ფარდაგს, შეფ. 40 მან., 9) ორპირიან ცენტრალკას, შეფ. 80 მან., დასაკმაყოფილებლად ბაღდათის თემაღმასკომის ფულადი გადასახადისა.

ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 2886

1929 წლის 30 აგვისტოს, დღის 12 საათზე საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის გზატკეცილების სამმართველოში, მაჩაბლის (ყოფ. სერგიევის) ქ., № 8, მოხდება

შეჯიბრება

ფშავ-ხევსურეთის საყამირო გზის გასაყვან სამუშაოთა სანარდოდ გაცემაზე. გზა გაყვანილ უნდა იქნას სოფელ ჟინვალიდან სოფელ ბარისახომდე, გარდა ამისა გზას შტო მიყვანილ უნდა იქნას სოფელ შუაფხომდე. გზის საერთო მანძილია 52 კილომეტრი. გზის გასაყვან სამუშაოთა საერთო ღირებულება უდრის დაახლოვებით 210.000 მანეთს. გზის სამუშაოებიდან მიმდინარე სამშენებლო სეზონში შესრულებულ უნდა იქნას ვარაუდით—30.000 კუბ. მეტრი მიწის სამუშაო და 5.500 კუბ. მეტრი კლდის სამუშაო, რის ღირებულებაც უდრის დაახლოვებით 53.000 მანეთს. შეჯიბრებაში დაშვებული იქნება ყველა მსურველი, როგორც ცალკე პირები, ისე ორგანიზაციები, რომელნიც შემოიტანენ დაწესებულ 10 პროცენტ საწინდარს 53.000 მანეთიდან, ან წარმოადგინონ საწინდრის შეტანისაგან განთავისუფლების უფლების დამადასტურებელ კანონიერ დოკუმენტს. პროექტთან და კონდიციებთან გაცნობა შეიძლება ყოველდღე სამსახურის საათებში საქართველოს საგზაო-სატრანსპორტო სამმართველოს („რუზდორტრანს"-ის) საგზაო განყოფილებაში. დაბეჭდილი პაკეტები განცხადებით ფასების შესახებ და შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველთა პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტისა და საქართველოს საგზაო-სატრანსპორტო სამმართველოს სალაროში საწინდარის შეტანის ქვითრის თანდართვით უნდა გაიგზავნოს ნაჩვენები მისამართით „ფშავ-ხევსურეთის გზის სავაჭრო კომისიის" სახელზე.

შეჯიბრებიდან ერთი დღის გასვლის შემდეგ მოხდება ხელახალი ვაჭრობა, ხელახალი ვაჭრობის დროს განცხადებათა შეტანა შეიძლება წერილობით ან სიტყვიერად.

საქართ. საგზაო-სატრანსპორტო სამმართველო.

უგზო-უკვლოდ დაიკარგა

ვასო ექვთიმეს-ძე ხელაძე

(28 წლის), მნახველებს ვთხოვთ აცნობოთ ცოლს ლიუბა გვენდიას ასულს მეგრაბიან-ხელაძეს. მცხოვრები არღუთინის ქუჩა № 6, მე-4 5 რაი-მილიცია. 2986

პ. ს. ფონ-ირეთელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—10

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სხეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 როსტაველის გამზირის კუთხე.

ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 6. 10. 25—1

გ. მ. ფხალაძე

სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი) და კანის სნეულებანი.

მიღება:
- დილის 7—7 ნახ. საათ.
- საღამ. 6—7 საათ. ქალები
- 7—9 საათ. კაცები

მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან).

25—1

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

წასული ა. განაახლებს ავადმყოფების მიღებას 1 სექტემბერს.

253325—15

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე

ტელეფ.—12—67 25—1

ქ. ქობულეთში

ბავშვების ექიმი

ალ. მაღალაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 საათამდე. მესხეთის ქ. № 14. 2838 25 | 1

ექიმი

მ. ბ. შახნაზაროვი

სპეციალურად

სიფილისი, „914" შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი

ავადმყოფების მიღება ნაშუადღევს 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასლის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

ექიმი

ი. ი. ქეიშვილი

სიფილისი („914" შეშხაპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და კანის სნეულება.

მიღება:
- დილ. 7—9 საათ.
- ნაშუადღ. 4—5 საათ.
- საღ. 8—9 საათ.

მისამართი კამოს ქ. № 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა), ქალ. მეორე საავადმყოფოს პირდაპირ.

2984 25—1

პროფ.

სვიმონ ყიფშიძე

დაბრუნდება 1 სექტემბერს, მიღება საღ. 6—7 ს. ვარდისუბნის ქ. № 9.

13—1 2987

დაკარგა პირადობის მოწ. ლ. № 16, კავშირის წიგნაკი № 19926, სამხედრო აღრიცხვის მოწმობა № 55240, პოლიკარპე ლეჟავას სახელზე, ჩ. გ. 2981

დაკარგა პენსიონერის წიგნაკი № 1251 ევა თარხნიშვილის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგა სამხედრო წიგნაკი ფ. № 4. გაცემული ოზურგეთის მაზრის სამხედრო სააღრიცხვო მაგიდის მიერ ნესტორ ნიკოლოზის-ძე სიმონიშვილის სახელზე. ჩ. გ. 2983

დაკარგა საეკლესიო სამრევლო სკოლების მასწავლებლობის უფლების მოწმობა № 63 გაცემული ქუთაისის ყოფილი სეპარქიო გაბრიელის სახელობის ქალთა სასწავლებლიდან 14 თებერვალს 1913 წ. იულიტა ლუკა კვატაშიძის ასულის სახელზე, ჩ. გ. ნ. 3135

დაკარგა შრომის სია № 4425 გაცემული ქუთაისის მაზრ. მილიციის სამმართველოს მიერ გერონტი ალექსანდრეს ძე კოტრიკაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 3135

დაკარგა წლოვანობის და სოც. მდგომარეობის მოწმობა № 1076 გაც. 26/VII 29 წ. და საბუთი მშობლების ხმის უფლ ბიანობის შესახებ გაც. 18/VIII მეტეხის თემსაბჭოს პრეზიდიუმის მიერ თამარ პლატონის ასულის ასათიანის სახელზე, ჩ. გ. ნ. 3131

ტირაჟი—46.729

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამ ოს ქუჩა № 68.